619
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა

№ 9 სექტემბერი 1965



ტყვარჩელი

ფოტო თ. არჩვაძისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (170) სექტემბერი, 1965 წ.

გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალატოზები — გაიოზ მიქელიანი, იოსებ თეთრუაშვილი და ვალიკო დიდებაშვილი. ფოტო ო. თ უ რ ქ ი ა ს ი.

# პროსპექტი მხრებს შლის

ბულდოზერმა მარჯვნივ გადაუხვია და ექვსი მეტრის სიმაღლის კედელს მიაწვა. მოტორისა და ქვების გრიალი ერთიმეორეში აირია. მტვერში გაეხვია ყველაფერი.

— ბიჭო, ცოცხალი ხარ? — შეჰყვირა ვილაცამ და ბულდოზერს მივარდა.

მტვერში მებულდოზერეს თეთრი კბილები გამოჩნდა.

— ხომ ამოვაბრუნე ძირფესვიანად, აბა რა ეგონა! — ხითხითებდა ის.

— ქვეშ რომ მოჰყოლოდი? ასე როგორ შეიძლება? — ბრაზობდა უბნის უფროსი ვალერიან კახაძე.

— მაშ როგორ, თითო-თითოდ ხომ არ გადმოვალაგებდი ქვებს, ერთი მიწოლა და მორჩა ყველაფერი.

— წინდახედულება საჭიროა!

— რა ვიცი, სამი წელია ჩემი ბულდოზერი ასე ბუღრაობს ამ ძველ სახლებში და ჯერ არაფერი მომსვლია, — დაიმედა მებულდოზერემ.

ვალერიანმა იცოდა მებულდოზერეს ხასიათი. აღარ შეჰკამათებია. ხელი ჩაიქნია და გაშორდა.

სახლიდან გარიჟრაჟისას გამოვიდა ვალერიანი, დილასაქეთ მუხლი არ მოუხრია, არც ბიჭები მოასვენა, ახლა კი უკვე შუადღე იწურება.

— შევისვენოთ, — გასძახა მშენებლებს. მუშები წამოწვნენ. ქერა ჭაბუკი საუბარს არავის აცდიდა:

— ახლახან დავბრუნდი ჯარიდან და სასაცილო ამბავი დამემართა, ვეღარ ვიცანი ჩემი ქუჩა. ვერც მამაჩემის სახლი ვიპოვე. გავიფიქრე, ალბათ მხარი შემეცვალა-მეთქი... მაგრამ წარწერას ვერსად გავექეცი, ყოველი კედლიდან მანათებდა წარწერა: „აკაკი წერეთლის პროსპექტი“.

— ჩვენთან მუშაობ? — შეეკითხა მოსაუბრეს მებულდოზერე.

—ახლა მხედავ პირველად? — ცოტა არ იყოს იწყინა ჭაბუკმა.

— შენ კი არა, ჩემ თავს ვეღარა ვცნობ. მოვყვები ამ ქუჩას და ვანგრევ და ვანგრევ ამ ძველ სახლებს.

— რას ამბობს ეს კაცი, ვანგრევთ, თუ ვაშენებთ, ვეღარ გავიგე!

— მე რასაც ვაკეთებ, გასაგებია, მაგრამ შენ რას აკეთებ?

— ელექტროშემდუღებელი ვარ.

— ხელობა აქ ისწავლე?

— არა, ჯარში.

— კარგი ხელობაა!

მართლაც რა სჯობია აშენებდე და ამშვენებდე მშობლიურ ქალაქს, აფართოებდე ქუჩებს, გაგყავდეს წყალსადენები. აკაკი წერეთლის პროსპექტის მშენებლებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. ძველი ქოხმახების ადგილას აქ აშენდა მრავალსართულიანი სახლები, გაბრწყინდნენ ყელმოღერებული ლამპიონები.

მძლავრი მექანიზმები დილმის ხიდისაკენ მიიწევენ. ვალერიან კახაძე თვალს არ აშორებს ბელტიყლაპია მანქანას, ღრმა არხი რომ გაჰყავს გაზის მილებისათვის. მიბობღავს ექსკავატორი და მიწასთან ერთად ამოაქვს დამპალი ხის ფესვები... ფესვები შუა პროსპექტზე!.. და უბნის უფროსის თვალწინ წარსული ცოცხლდება.

მაშინ ის მოკლე შარვლით დარბოდა დიდუბის მიწაზე. აქ ხეხილის ბაღებში ჩაფლული პატარა ოდა-სახლები იდგა. მიდამო ორღობეებით იყო დაქსელილი. ისიც ახსოვს პირველად, როგორ გაკაფეს ბუჩქნარი და როგორ ჩაუყარეს საფუძველი მაუდ-კამვოლის კომბინატს. მერე ქალაქის საბჭოს საგზაო სამმართველო შეიქმნა, რომელმაც გარეუბნის კეთილმოწყობას მოჰკიდა ხელი.

თავიდანვე ოცნებობდა კახაძე ინჟინერი გამხდარიყო, მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ სწორედ ამ სამმართველოში მოუხდებოდა მუშაობა. ახლა რომელი პროსპექტია, კახაძის ხელი რომ არ ეტყობოდეს. მეგობრებმა ხუმრობით „ნგრევა-შენების ოსტატი“ შეარქვეს.

მალე მშენებლები ქუჩის გაფართოების სამუშაოებს სამხრეთით გადაიტანენ. შორს აღარ არის ის დრო, როცა „დინამოს“ სტადიონიდან დილმის მასივამდე მხრებს გაშლის ფართო და ლამაზი მაგისტრალი — მკერდდამშვენებული მაღალი კორპუსებით, ქარხნებით, ფაბრიკებით, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მიმზიდველი პანორამით.

— ამ ძველს ხომ ვანგრევთ — ამბობს მეექსკავატორე ევგენი ზოტოვი, — ამ ახალსაც ვაშენებთ და ვაშენებთ, შეხედავ, მართლაც ლამაზი სახლებია, მაგრამ, რა ვიცი, კაცო, ეს აივნები კი არ მომწონს. ისეთი ციცქნა და გამოუსადეგარია, ადამიანს რაღაც ხარახურის დასაწყობად თუ გამოადგება. თბილისელისათვის კი აივანი მცხუნვარე მზისაგან ოთახის კარ-ფანჯრის მაჩრდილებელიც იყო და დასვენებისა და გართობის ადგილიც. აბა, ერთი გახედეთ, ამ ერთი ხელისდადება აივნებს, კატა კუდს ვერ მოიბრუნებს შიგ, ზამთარში ქარს ვერ დაიჭერს და ზაფხულში თაკარა მზეს...

ჰო, მშენებლებსაც თავისი შენიშვნები აქვთ არქიტექტორთა მუშაობაზე და არც თუ საფუძველს მოკლებული.

მაგრამ თანამედროვე ქალაქის ქუჩებსა და პროსპექტებს მარტო შენობები კი არ ამშვენებს, არამედ ყველაფერი, რაც კი მათზე დგას ან მოძრაობს.

აკაკი წერეთლის პროსპექტი უკვე ახლა სტაცებს კაცს თვალს, მაგრამ საკმარისია მასზე ტრამვაის გამოჩენა, რომ უცებ დაგეკარგება შთაბეჭდილება. ტრამვაი კი არა, როგორც აქაურები ამბობენ, ნამდვილი ურჩხულია, ძველი, მონჯღრეული, უშნოდ აწოწილი და შეღებილი ვაგონები ისეთი ხრიგინ-გრიალით, ჯაყჯაყითა და ჭრიალით დადიან, რომ მებულდოზერეებიც კი ყურებში თითებს იცობენ.

მშენებლებს ესეც აღარდებთ, ან რატომაც არ უნდა აღარდებდეთ, როცა ამ პროსპექტზე ჩვენმა ადამიანებმა უნდა იცხოვრონ.

გიორგი გიგაური

9775

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა





ფოტო თ. არჩვაძისა





მიტროფანე გიგინეიშვილი

ქარხნის დირექტორის მოადგილე ა. მეტრეველი და განყოფილების უფროსი ო. ბურჭულაძე.

# თავფარავნელი მებადურები

დილაა. ცა ლურჯია და კამკამა. აღმოსავლეთით, ზედ ჰორიზონტზე, ღრუბლის ფთილები ძოწისფერ ალში არიან გახვეულნი. მეთევზეებს რეზინის ყვითელი სპეცტანსაცმელი აცვიათ და საოცრად ჰგვანან ერთმანეთს.

— აბა, ბიჭებო, მოემზადეთ, ზღვაში გავდივართ! — გვესმის თევზის ქარხნის დირექტორის გიორგი ხვედელიძის ძახილი.

— ისევ საზღვაო კაპიტანი ხომ არ გგონია შენი თავი, გოგი? — იცინის დირექტორის მოადგილე ანატოლ მეტრეველი.

ხვედელიძე და მეტრეველი ყოფილი მეზღვაურები არიან. ისინი ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ერთად წავიდნენ სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, ომის დროს უკვე ოფიცრები იყვნენ, სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდნენ.

ახლა ბედმა ისევ შეახვედრა ისინი ერთმანეთს ამ დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეზე.

მალე დაიწყეს თევზის ამოყვანა. ბადის თავი ორ ნავზე ეფინა; მოწინავე მებადურები — ალასიმ ვასლიევი, ვლადიმერ კოჩოგანოვი, ფეოხან კაბიროვი მძიმე ბადეს ძლივს ეწეოდნენ. თევზები სხმარტალებდნენ, ბადეს აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო. 700-800 გრამამდე წონის კობრებს მებადურები უკან წყალში უშვებდნენ. გაკვირვება რომ გამოვთქვით, მეთევზეებმა გაეღიმათ და გვიპასუხეს, ჩვენ მომავალი წლების მარაგზეც ვფიქრობთ, ესენი ჯერ ზრდადაუსრულებელი არიანო.

წყალში ღრმად ჩამჯდარი, ნადავლით დატვირთული ნავები, ნაპირისაკენ მძიმე-მძიმედ მოიწევდნენ. იქ ფარდულში მათ გამოცდილი მეთევზე მიტროფანე გიგინეიშვილი ელოდებოდა. იგი იღებს პროდუქციას, აღრიცხავს, ახარისხებს და ცოცხალ თევზს თითქმის ყოველდღიურად გზავნის თბილისის თევზეულობის მაღაზიებში.

• • •

მიტროფანე გიგინეიშვილს აქ ყველა მოხუცს ეძახის. მართლაც, უკვე სამოცდათვრამეტი წლისათვის მიუღწევია, მაგრამ სიმხნევე და შრომის უნარი კი ნამდვილად ახალგაზრდული აქვს.

ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ჭაბუკი იყო, აბაშის რაიონის სოფელ მარანში მცხოვრებმა მდ. რიონში რომ დაიწყო თევზის ჭერა. მერე აზერბაიჯანში გადავიდა სამუშაოდ და 1927 წლამდე სათავეში ედგა საკმაოდ დიდ წარმოებას. ახსოვს მიტროფანეს ისეთი დღეებიც, როცა ასეულობით ფუთი თევზი დაუჭერია და ათ დღეში 500 ფუთი შავი ხიზილალა დაუმზადებია. 1941 წლიდან მიტროფანეს ფარავნის ტბის თევზის წარმოება ჩააბარეს და თანაც ხრამის წყალსაცავის თევზის წარმოებაც შეუთავსეს. ბევრ საინტერესო ამბავს მოისმენთ მიტროფანესაგან, მაგრამ მოხუცი ბევრ რამეზეც არის გულნაკლული და ამის დაფარვაც არ შეუძლია. აი, რა შევიტყვეთ მასთან საუბარში:

— თევზი მალე ფუჭდება. ამისათვის საჭიროა დაჭერისთანავე იგი მოთავსდეს სამაცივრო განყოფილებაში, საიდანაც გაიგზავნება სარეალიზაციო პუნქტებში, მაგრამ ასეთი მაცივარი არა გვაქვს, ხოლო ძველებური პატარა მოცულობის კუსტარული მაცივარი დღეს უკვე ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას: ზამთარში ნაგროვები ყინულის ბრიკეტები, რომელსაც ტბის ზედაპირიდან იღებენ, არ არის საკმარისი, ამიტომ ივნისის შუა რიცხვებიდან შორეული მთა-გორებიდან უხდებათ თოვლის მოზიდვა. ეს დიდ დროსართმევს შოფერებს, რომლებსაც დავალებული აქვთ სასაქონლო პროდუქცია მაღაზიებამდე გადაზიდონ.

თევზის დამზადების ფარდულიც კუსტარული და მეტად უხეიროა. ჭერი შეუკეთებელია. არა აქვთ დამხმარე იარაღები.

წელს, მაისის შუა რიცხვებში, როცა თევზის ჭერის სეზონი გაიხსნა, ფარდული თოვლით იყო სავსე. მეთევზეები იძულებული გახდნენ თოვლი ხელით გამოეზიდათ, ფარდულის ერთი კუთხე გაენთავისუფლებინათ და იქ შეუდგნენ თევზის მიღება-დამზადებას. გიგინეიშვილი თევზის შრობის კარგი



ტბის საჩუქარი.

სპეციალისტია. თბილისის მაღაზიებში ხშირად შეხვდებით მის მიერ გამოყვანილ შამაიას მსგავს რიპუსს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი წვალებით ამზადებს მას გიგინეიშვილი — კუსტარულად, ღია ცისქვეშ! საჭიროა მოწესრიგდეს ფარდული, გადაიტიხროს და გამოყოფილ იქნეს თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული საშრობი საამქრო. ეს აუცილებელია, რადგან ფარავნის ტბაზე მთელი წლის მანძილზე თევზის რეწვის დიდი პერსპექტივებია. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ საწარმოში არ არის გაყვანილი ელექტროდენი, რომლის ხაზი სულ რაღაც ასიოდე მეტრით არის დაშორებული ამ საწარმოდან. გარდა ამისა, პირდაპირ სამარცხვინოა, რომ წყალს ვედროებით ეზიდებიან თევზის გასარეცხად, იმ დროს, როცა ირგვლივ ყველგან წყაროა და მისი ფარდულში შემოყვანა სულ უმნიშვნელო ხარჯებს მოითხოვს.

რა ქნას, წუხს ყოველივე ამაზე მოხუცი მეთევზე!

• • •

დიდი ყურადღება ექცევა ფარავნის ტბაში თევზის მოშენება-მოპოვების საკითხს. ამ მიზნით აქ ბათუმიდან მოვლინებულია „საქთევზრეწვის" სამეცნიერო-კვლევითი სადგურის შიდაწყლების განყოფილების უფროსი ოთარ ბურჭულაძე.

ეს ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი დიდი ენთუზიაზმით შესდგომია თავის საპატიო მოვალეობას და რამდენიმე წელი სისტემატურად დაიარება ფარავნის ტბაზე. მისი ხელმძღვანელობით აქ აშენებულია თევზსაშენი ქარხანა (ინკუბატორი), სადაც ხდება რიპუსისა და კალმახის ლიფსიტების გამოჩეკა. მაგრამ ეს ქარხანაც ვერ არის კეთილმოწყობილი, რაც მთავარია, ის მომარაგებული არ არის სუფთა წყლით, ეს კი აუცილებელია ქვირითის საინკუბაციოდ. ინკუბაცია ექვს თვეს გრძელდება. ღელის მღვრიე წყალი, რასაც ხშირი უამინდობა მეტისმეტად ატალახებს, ქვირითზე თანდათანობით აფენს ლექს. გამოჩეკილი ლიფსიტა თავს ველარ აღწევს ლექიდან და იღუპება. თუ ქარხანაში შემოყვანილი იქნება წყაროები, რომლებიც ამ მიდამოებში (ერთნახევარ კილომეტრზე) უამრავია, ლიფსიტების გამოჩეკის პროცენტიანობა მკვეთრად გაიზრდება — ახლანდელი 25 მილიონის ნაცვლად 75 მილიონამდე. ეს კი მნიშვნელოვნად გაადიდებს თევზის მარაგს.

ისეთი პერსპექტიული ტბა, როგორიც ფარავანია, ძალიან იშვიათად გვხვდება. თუ დაცული იქნება თევზის მოშენებისა და რეწვის წესები, შესაძლებელი გახდება აქ მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდეს თევზის ჭერა, თანაც იგი შეიძლება ერთი-ორად გაიზარდოს.

• • •

სამართლიანად ამბობს წარმოების ხელმძღვანელი მიტროფანე გიგინეიშვილი: აქ ჩვენზე მეტ თევზს ბრაკონიერები იჭერენო. ეს გარემოება ძალიან დამაფიქრებელია და, თუ ახლავე არ იქნა ზომები მიღებული, შეიძლება საქმე იქამდე მივიდეს, რომ ფარავანში თევზის მოპოვება შეწყდეს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ მოხდა.

ბრაკონიერებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სოფელ ფოგაში ცხოვრობს, არ არსებობს თევზის მოპოვების ვადები. ისინი მთელი წლის მანძილზე ქურდულად იჭერდნენ ცენტნერობით თევზს, დიდსაც და პატარასაც. ბრაკონიერები იმ დროსაც კი, როცა ტბას ყინულის სქელი ფენა ადევს (70-100 სანტიმეტრი) ყინულს ტეხენ და ჩასადგმელი ბადეებით, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, გამოყავთ თევზის დიდი მარაგი. აქ იყო შემთხვევა, როცა სექტემბრის ბოლო რიცხვებში (თევზის ჭერის სეზონი დახურული იყო) ერთი ოჯახი ღამით გავიდა სათევზაოდ. ნავი თევზის ნადავლით აავსო, მაგრამ თვითონ დაიღუპა. ეს, რა თქმა უნდა, დიდად სამწუხაროა. მოდი და ნუ ეტყვი ამ ადამიანებს: თევზს თუ არა, თქვენს თავს მაინც გაუფრთხილდითო!

**შოთა კაპანაძე,**
**ბორის მირცხულავა**



# ხალხის საყვარელი პოეტი



„პოეზიისადმი ერთგულება, მისი დიდი და მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება, უკვდავება, რაც მას გაუკეთებია როგორც პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, მკაფიო მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის; სამშობლო, სიყვარული, სიმამაცე იყო მისი ლოზუნგი. გაუმარჯოს იგი მის შემდგომ!" — ასე მთავრდება გამოჩენილი რუსი პოეტის ნიკოლოზ ტიხონოვის სამგლოვიარო დეპეშა დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ გრიშაშვილის გარდაცვალების გამო.

სამართლიანი სიტყვებია! იოსებ გრიშაშვილი მუდამ უყვარდა ჩვენს ხალხს, ასე მიაჩნია მისი ბრწყინვალე პოეზია, მისი უანგარო საზოგადო მოღვაწეობა და მოქალაქეობრივი სიწმინდე. ხალხს უყვარს მხოლოდ მაღალი მიზნისადმი ერთგული ადამიანები, ვისი შემოქმედება და ზნეობრივი სიფაქიზე სამაგალითოა, ვისი ცხოვრება და საქმიანობა მისაბაძია ყველასათვის.

ი. გრიშაშვილმა თეთული წლების მანძილზე დაიმკვიდრა ხალხის ეს უღრმესი სიყვარული. დიახ, ხალხი არასოდეს შეიყვარებს და არ განადიდებს ისეთ ადამიანს, ვისაც გული მთლიანად არ მიუტანია თავისი ერის და, მაშასადამე, კაცობრიობის სამსხვერპლოზე, ვისაც სული ბოლომდე არ ჩაუქსოვია ხალხის სიყვარულში, არ მიუძღვნია თავისი შრომა, ოფლი არ დაუწურია სამშობლო ქვეყნის საკურთხეველზე, მისი აწმყოს დასამშვენებლად, მისი მომავლის ასამაღლებლად.

იოსებ გრიშაშვილი ფრიად თავისებური შემოქმედი და უჩვეულოდ მრავალმხრივი მოღვაწე იყო, მაგრამ მთელი მისი ლიტერატურული, მეცნიერული თუ საზოგადოებრივი ღვაწლის ზენიტი მაინც მისი პოეზიაა. ი. გრიშაშვილი, უპირველეს ყოვლისა, უბადლო პოეტია, ქართული ლექსის ახალი თვისების შემქმნელია, სიტყვის აბლაბუდური ქსოვილის შეუდარებელი ოსტატია. ი. გრიშაშვილის ფრაზა განსაკუთრებულად დახვეწილია, ნატიფია და გამჭვირვალე, აზრი ნათელი, მუსიკალურად ნაზი და მომხიბვლელი, რითმები — უჩვეულოდ მოულოდნელი და მშვენიერი.

იოსებ გრიშაშვილის ლექსები სამშობლოზე, სიყვარულზე, ახალგაზრდობაზე ჩვენი ხალხის დიდი პატრიოტული სულის ხატებაა. მის ლექსებზე იზრდებოდნენ ჩვენი ადამიანები, მიდიოდნენ ომში ჩვენი მებრძოლები, ეს პოეზია აუძლიერებს ჩვენს შვილებს.

ბუნებით მომადლებული ხალასი პოეტური ნიჭის გარდა, ი. გრიშაშვილს რაინდული სულიც გააჩნდა. მან ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, რაც იმაში გამოიხატა, რომ სკოლის გარეთ დარჩენილმა, უდედმამო, ხარფუხელმა პატარა ბიჭმა თავისი დაუცხრომელი შრომით შემოქმედების მაღალ მწვერვალებს მიაღწია და სამარადისო ადგილი დაიმკვიდრა ხალხის გულში.

ი. გრიშაშვილი უღრესად კეთილი კაცი იყო. გულწრფელად ახარებდა სხვისი ღირსეული წარმატება. განსაკუთრებული მზრუნველობითა და სიყვარულით ეპყრობოდა ახალგაზრდობას, ნამდვილი გულითადობით უყვარდა თანამოკალმენი.

ი. გრიშაშვილმა უსაზღვრო ამაგი დასდო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას თავისი ბრწყინვალე თარგმანებით და ფუძემდებლური მეცნიერული გამოკვლევებით. ამ მეცნიერული მუშაობის გვირგვინი მაინც დიდი აშუღის, ხალხთა ძმობის შთაგონებული მომღერლის, საიათნოვას თითქმის მივიწყებული ქართული ლექსების აღმოჩენა და მათი გამომზეურება იყო.

გაიხსენეთ მისი შესანიშნავი გამოკვლევები: „საიათნოვა", „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", „ალექსანდრე ჭავჭავაძე", „ახიკო ცაგარელი", „ძველ თეატრში", „ქართული შექსპირიანა", „კრილოვი ქართულ პოეზიაში", აუარებელი წერილები და ნარკვევები ლიტერატურაზე, თეატრზე; მისი შეუდარებელი მთარგმნელობითი და რედაქტორული მოღვაწეობა, მისი ტექსტოლოგიური და ბიბლიოგრაფიულ-ბიბლიოფილური მუშაობა თუ სხვა, ცალ-ცალკე რომელ მწერალ-მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს არ მოუხვეჭდა ხალხის გულწრფელ სიყვარულს!

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ეს შესანიშნავი ადამიანი. მისი დაკარგვით ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა; მშობელმა ერმა გულმდუღარედ დატირა თავისი დიდი შვილი, უსაყვარლესი პოეტი და სულმნათი ადამიანი, ცრემლით მიაცილა იგი სამარადისო სავანემდე — მთაწმინდის პანთეონამდე, სადაც მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებს აძლევდა რიგზე ხალხი.

**ანდრო თევზაძე**

# უოლ-სტრიტის ესპანელი ბაზა



**მ**ადრიდი. ქუჩებში ფრთხილი ნაბიჯით დადიან დაღვრემილი, გამხდარი და ჩამოძონძილი ადამიანები. მოსახვევებსა და შესასვლელებთან ჯაშუშები და სპეკულიანტები ატუზულან. მძიმედ მოაბიჯებენ ფრანკისტული პოლიციის პიკეტები. ისინი წყვილ-წყვილად დადიან, შავმუნდირიანნი, პირქუშნი, მხარზე გადაკიდებული ავტომატებით...

გრან-ვიაზე საეჭვო ხალხით სავსე კაფეებში „ადგილგადანაცვლებული“ გესტაპოელები და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორები გულარხეინად შეექცევიან მალაგას. მთავარ პროსპექტზე მიჰქრიან კომფორტაბელური ლიმუზინები მილიონერებისა, რომლებიც მდიდრდებიან იმით, რომ მილიონობით ესპანელს შიმშილით ხდება სული.

ასე გამოიყურება დღეს მადრიდი, ოდესღაც მხიარული, სიცოცხლით სავსე ქალაქი, ხოლო თვითკმაყოფილებით სავსე ქონდრისკაცი, დიქტატორი ფრანცისკო ფრანკო თავმომწონედ აცხადებს: „ესპანეთში სოციალური მშვიდობა და წესრიგია დამყარებულიო“.

წავიდა ის დრო, როცა ტურისტებს ესპანეთში ტანწერწეტი ტორეადორების ოქრომკერდით ნაქარგი ქურთუკები, მურსიის ლიმონის პლანტაციები და კასტანეტების ტკრციალი იზიდავდა. როცა საბჭოთა ტანკები ოდერზე გადადიოდნენ, მადრიდის აეროდრომზე ზედიზედ ეშვებოდნენ იმ „ტურისტებით“ სავსე „იუნკერსები“, ნიურნბერგის საკნებს ესპანეთის ჰავა რომ ამჯობინეს.

ამაზე ცოტა ხნით ადრე ფრანკო გაჰკიოდა: „თუ ბერლინი განსაცდელში ჩავარდა, ესპანეთი მილიონ ჯარისკაცს გაგზავნის მის საშველადო!“

შემდეგ მან მადრიდის აგარაკებში მდუმარედ გაანაწილა ბერლინელი სტუმრები და მდუმარედ დაუწყო მათ ცქერა.

მადრიდელი დიქტატორი იცდიდა.

და აი, როცა ფრანკოს ერთი ბატონი — მუსოლინი ფეხებით დაჰკიდეს მილანის მოედანზე, ხოლო მეორე — ჰიტლერი ბომბებით ამოთხრილ ორმოში ცეცხლმა შთანთქა, კაუდილიომ ცხვირი მაშინვე ქარის მიმართულებით მიაბრუნა. ოკეანის გაღმა მან ახალი ბატონები იპოვნა და დაგეშილმა ქოფაკმა ლაქუცით შეწკმუტუნა მათ. ბატონებმაც უპასუხეს. ამით აღფრთოვანებულმა ფრანკომ მაშინვე გამოთქვა მათთან მსახურად დადგომის სურვილი. „ესპანეთი მოხარულია იქონიოს ახლო ურთიერთობა ერთადერთ მდიდარ და ძლიერ ქვეყანასთან—ამერიკასთან, — განაცხადა ფრანკომ, — გარკვეული აზრით ჩვენ, ესპანელები, ამერიკელებად ვთვლით თავს“.

1942 წელს კი „ფრანკოს ესპანელები“ „გერმანელებად“ თვლიდნენ თავს.

მალე ვაშინგტონიდან მადრიდისაკენ მრავალი ახალი „ტურისტი“ გაეშურა. უოლ-სტრიტის ბანკირები, ყველა ჯურის მუნდირიანი თუ უმუნდირო საქმოსნები მოულოდნელად გაიმსჭვალნენ ესპანეთის „ზღაპრული ბუნებისადმი“ ინტერესით. ამერიკის ყვითელმა პრესამ დაუფარავად დაიწყო წერა ესპანეთზე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმებში შემავალ „დიდად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პლაცდარმზე“; ღერძი „მადრიდი-ვაშინგტონი“ ესპანეთ-ამერიკის აგრესიული პოლიტიკის მოქმედი ფაქტორი გახდა.

ესპანეთი შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზად იქცა. მის ტერიტორიაზე ამერიკის თითქმის 130 დიდი აეროდრომია აგებული, რომელთაგან თვითეულზე თავისუფლად მოთავსდება ფრანკოს მთელი „სამხედრო-საჰაერო ფლოტი“. მათ შექმნეს მსხვილი სამხედრო-საზღვაო ბაზები ლა-კორუნიაში, ალიკანტეში, კადიქსში, მალაგასა და სხვა ადგილებში. თვითონ ესპანეთის ბიუჯეტის 80 პროცენტი იხარჯება არმიის, სამხედრო მშენებლობის, დამსჯელი აპარატის გაძლიერებისათვის. ფრანკისტული არმია მთლიანად ემორჩილება ამერიკელ სარდლობას და ამ სარდლობის მითითებითვე ხდება მისი რეორგანიზაცია.

„ესპანეთს, — ცინიკური გულახდილობით წერს ჟურნალი „ნიუს უიკი“, — შეუძლია ხელი შეუწყოს დასავლეთ ევროპის დაცვას არა პირენეიზე, არამედ რეინსა და ელბაზე. ექვსიოდე კარგად შეიარაღებულ ესპანურ დივიზიას, მომზადებულს იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, სხვებთან ერთად, დაიძრას პირენეიდან აღმოსავლეთისაკენ, შეუძლია არსებითად განამტკიცოს დასავლეთ ევროპის დაცვა“.

თავის დროზე ჰიტლერიც იმედოვნებდა მესამე რეიხის „არსებითად განმტკიცებას“ ფრანკოს „ცისფერი დივიზიით“, მაგრამ სულ მალე მისგან ცარიელი სახელის მეტი არაფერი დარჩენილა. მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორია მხოლოდ გონიერთათვის არის ჭკუის მასწავლებელი.

ფრანკო შეურიგებელი მტერია განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა. მისი აზრი ასეთია: კუბას უეჭველად უნდა დავესხათ თავს, ბერლინი ღირს იმად, რომ კაცმა ომი დაიწყოს, კოლონიზატორები, რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა დარჩნენ აფრიკაში!

ფრანკისტული ხროვისა და მისი ოკეანისგაღმელი მფარველების მტაცებლურმა პარპაშმა აოხრა და გააპარტახა ესპანეთი. დღეისათვის ამ ქვეყნის ეკონომიკაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ამერიკის შეერთებული შტატების ორასზე მეტი კომპანია, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ქიმიური, ნავთის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის მთავარი პოზიციები. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უცხოურმა კაპიტალდაბანდებამ აქ 150 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ყოველივე ამან, სამხედრო ხარჯებსა და მათთან დაკავშირებულ გადასახადების სიმძიმესთან ერთად, გამოიწვია ესპანეთის მთელი სამეურნეო ცხოვრების რღვევა. სამთამადნო, საფეიქრო და მრეწველობის სხვა დარგების პროდუქცია შემცირდა 30-40 პროცენტით. ქვეყნის მთელი ტერიტორიის ოთხ მეხუთედ ნაწილში—ანდალუზიის, ესტრამადურის, კასტილიის და არაგონიის ვრცელ რაიონებში თითქმის არაფერი არ შეცვლილა უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე; აქ მემამულეები კვლავინდებურად ფლობენ მიწების თითქმის 70 პროცენტს; ფრანკომ ესპანელ გლეხებსა და მოჯამაგირეებს წაართვა 5 მილიონი ჰექტარი მიწა და ამ ფრანკისტულმა „რეფორმამ“ თითქმის საუკუნით დასწია უკან ესპანური სოფელი. ყველაზე მეტად დაზარალდა სოფლის მეურნეობის ოთხ მილიონზე მეტი მუშა, რომლებმაც მთლიანად დაკარგეს მიწა.

ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით კატალონიის მუშა-ფეიქრების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 30 წელს არ აღწევს. ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი ფრანკისტული ტირანიის წლებში ერთი სამად გადიდდა. იმავე მონაცემების თანახმად, ესპანეთის მკვიდრნი საშინელ საბინაო კრიზისს განიცდიან, მაშინ, როცა ფრანკო ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდ პესეტს ხარჯავს ამერიკული აეროდრომებისა და ნავსადგურების აგებაზე.



უმუშევრობითა და სიღატაკით გაწამებული ესპანელი იძულებულია მძიმე და უსიხარულო ემიგრაციის გზას დაადგეს. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე ესპანეთიდან გადაიხვეწა თითქმის მილიონი ადამიანი. სულ ემიგრაციაშია სამ მილიონზე მეტი კაცი. აქედან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 150 ათასი, საფრანგეთში — 500 ათასი და ა. შ.

მაგრამ ესპანეთის გმირი მუშათა კლასი, მთელი ესპანელი მშრომელები იარაღს როდი ყრიან. ისინი თავდადებით იბრძვიან თავიანთი საარსებო დონის გაუმჯობესებისათვის, ადამიანური უფლებებისათვის. 1962 წლის აპრილში იფეთქა ასტურიელი მეშახტეების ორთვიანმა გაფიცვამ. შემდეგ გაფიცვამ მოიცვა კატალონია, ბასკების ქვეყანა, ანდალუზია. მეშახტეებთან ერთად გაიფიცნენ მეტალურგები, მემაღაროენი, გემთმშენებლები, ქიმიკოსები, ელექტრიკოსები, ფეიქრები... ფრანკომ ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, ოცდაათი ათასი პოლიციელი გადასროლილ იქნა გაფიცულ რაიონებში, დააპატიმრეს და გადაასახლეს ათასობით მეშახტე.

მართალია, ფრანკოს რეჟიმის პერიოდში მოხპობილ იქნა თითქმის მილიონი ესპანელი, სხვადასხვა რეპრესიები განიცადა ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა, ხოლო ამჟამად ორასი ათასზე მეტი ქალი და კაცი იტანჯება საპყრობილეებში, ამ მხეცურმა ტერორმა მაინც ვერ შესძლო ესპანელი ხალხის მზარდი წინააღმდეგობის ჩახშობა.

ამ ბრძოლას სათავეში უდგას გმირული კომუნისტური პარტია, რომელიც ამჟამად იატაკქვეშეთშია და თავდადებით იბრძვის ანტიფრანკისტული ძალების ერთიანი ფრონტის შექმნისათვის.

სერვანტესის, ველასკესის, გოიას ქვეყანა დღეს პარტიზანული ომის ცეცხლშია გახვეული. ასტურიისა და გრანადის, ვალენსიისა და კასტილიის გმირი პარტიზანები, რომლებიც ერთი წუთითაც არ წყვეტენ ბრძოლას, მარტო როდი გრძნობენ თავს. მათთან არიან მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები, რომლებიც მკაცრად გმობენ ფრანკისტული რეაქციის თარეშს.

ნ. პეტრიაშვილი

# ზაფხულის გარჯანი

**ქრისტიონას დონელაიტისი**

სალამი შენდა, ათასფერო
ჭრელო ბუნებავ,
ზაფხულის ხილვით
მოხიბლულო ადამიანო,
ყვავილთა ამო სურნელებით
ეგზომ დამტკბარო!
ღმერთმა მრავალი გაზაფხულის
ზეიმს დაგასწროს
და დრო ჯანმრთელად,
ლაღი გულით გეტარებინოს.
სულყველა ვისაც ლიტვა უყვარს,
ვინც მას ადიდებს,
ვინც ლაპარაკობს
ლიტველების ლამაზ ენაზე,
შეასწარ, ღმერთო მოწყალეო,
მრავალ გაზაფხულს
და გაზაფხულს შემდეგ კიდევ
მხიარულ ზაფხულს! —
ამგვარი სიტყვით მოუხმობდა
პრიჩკუსი გლეხებს
და აფრთხილებდა,
რომ დგებოდა ალო ზაფხულის.
„ძალა, რომლითაც ძნელ საქმესაც
იოლადა ვძლევთ,
არის ძვირფასი
ნიჭი ღვთისგან მომადლებული.
მზის ამოსვლიდან მიმწუხრამდე
ვინც ალალ ოფლს ღვრის,
ცოტა საჭმლითაც კმაყოფილი
ივიწყებს შიმშილს,
მადლობას სწირავს
და ჩვენს გამრჯე ხელს
ყველაფერი ეადვილება.
მაგრამ თუ ცოტა ლორის ქონი
პურს მივატანეთ,
ანდა ლიტვური ძეხვით პირი
ჩავიტკბარუნეთ, —
მაშინ ხომ გარჯა ერთი ორად
გვიიოლდება.

ამბობს მოხუცი ლაურასი:
— ეს გაზაფხულიც
ხომ გავისტუმრეთ ღვთის შეწევით
და კარგადა ვართ,
ჯანით და გულით მთელნი ვხვდებით
ახლა ზაფხულსაც.
აჰა, მზემ სრბოლა შეაჩერა
თავისი ეტლის,
ცის შუა გულზე შედგა მისი
ოქროს ბორბალი
და აღარ იძვრის, ცის კიდისკენ
აღარ იჩქარის.
მაღლიდან გზავნის მოვარვარე
სხივების კონებს
და დედამიწის მწვანე სამოსს
აშრობს ნელ-ნელა,
რომ ის აქციოს ოთხფეხისთვის
ზამთრის საკვებად.
ხედავთ, ყვავილებს? როგორ ჩუმად
წასვლიათ ფერი,
დედაბერივით საცოდავად
წელში მოხრილან.

უფალს უხვი წყალობისათვის
და მხიარული
არხეინად წვება ჯანმრთელი...
რით არ ჯობს კაცი ამნაირი
კოხტად მოკაზმულ
უქნარა მჭლე კაცს,
საჭმელს ზიზღით თვალს რომ
არიდებს!
ჩვენ ლიტველ გლეხებს ქალამნები
გვაცვია ფეხთ და
თავს არ ვუტოლებთ არც ბატონებს,
არც მათ მსახურებს,
არ გვაქვს ქონება, არც სენი გვაქვს
მრავალი მათებრ.
რა სოდომია ბატონების სახლებში
ახლა,
როცა ზაფხული მიდგომიათ კარს
მუქთახორებს:
ერთის ყვირილი ცამდე აღწევს,
პადაგრა სტანჯავს,
მეორე გულისგამწყალებლად
ექიმს მოუხმობს...
რატომ აწვალებს სნეულება
ბატონებს აგრე,
სიკვდილზე ადრე რატომ აძვრენს
ცოცხალს მიწაში?
იქნებ იმიტომ, რომ სძულთ ჩვენი
შრომა გლეხური
და ზარმაცები ბეჯითობენ
მხოლოდ ჭამაში.
ჩვენ კი, კაცადაც რომ არ გვთვლიან
ის ბატონები,
შევჭამთ თუ არა ლუკმას, წამსვე
საქმეს ვეცემით

რამდენი ვკრიფეთ გაზაფხულზე
ბაღში და მინდვრად,
ვტკბებოდით მათი სიტურფით და
უცხო სურნელით
და ოდნავ დამჭკნართ, დაუდევრად
ძირსვე ვაგდებდით.
ჩვენი ფრთოსნებიც არ ხარობენ
წინანდებურად
ბულბულის ყეფა, გუგულების
„გუგუს“ ძახილი,
ცაში აჭრილი ტოროლების
ტკბილი სიმღერა —
ან უკვე წყდება, ანდა აღარც
ისმის სრულიად.
მრავალი მათგან, ბუდეში
რომ გამოიჩეკენ,
წამოიჩიტნენ და დედ-მამას
უკვე მოშორდნენ,
საზრდოს თვითონვე შოულობენ
და თვით გალობენ.
ამ მცირე დროში მთლად განახლდა
ირგვლივ ბუნება.

მე ხნიერი ვარ, ამგვარ ზაფხულს
ბევრს მოვესწარი,
გავყურებ განვლილს სინანულით
და ჩუმად ვოხრავ, —
ვამბობ, ჰოი, რა ხანმოკლეა,
წუთისოფელი!
სუსტი თიხისგან შექმნილნი ვართ,
დიდი დღე არ გვაქვს,
აღმოვცენდებით, ავყვავდებით
მცენარის მსგავსად
და თითეული ჩვენთაგანი
მწვანე კვირტსა ჰგავს,
რომელიც უნდა გაიშალოს
ლამაზ ყვავილად.
ყველა ჩვენგანის ყვავილობას
ჭკნობა მოჰყვება,
ნაყოფს დავტოვებთ და სოფლიდან
უჩუმრად წავალთ.
ეს ბედი ყველა ადამის ძის
ბედისწერაა!
ერთგვარად ჩნდება
ბატონისა და გლეხის ბავშვი
ორივე კვირტს ჰგავს მომავლისას,
სუსტს და დღემოკლეს,
შემდეგ როდესაც ყვავილობის
დრო დაუდგებათ,
ბატონიშვილი ნებივრად და
ნაზად იზრდება,
ხოლო გლეხის შვილს ჩვენებურად
უბრალოდ ზრდიან.
სინორჩის დღეებს არხეინად
ფლანგავს ორივე,
მაგრამ როდესაც სახე ღინღლით
შეემოსებათ,
და მძიმე ჭაპანს გასაწევად
შეებმებიან,
მაშინ სად ქრება ის ბალღური
უზრუნველობა?
რამდენი ჩვილი ბავშვი მიჰყავს
ულმობელ სიკვდილს,
შავი ყვავილი რამდენ მოზარდს
უსწრაფებს დღეს და
ციებ-ცხელება ნაადრევად
რამდენ ბავშვსა სპობს.
არც ჭაბუკებს და ქალიშვილებს
ინდობს სიკვდილი,
მათთვისაც ლესავს ბასრ ცელს
ჩუმად
და ზოგჯერ ისე
მოიქნევს ბრმად, რომ მათ ქოჩორს
და
ნაწნავებს ძნებად
ჩამოჰყრის ძირს და წამსვე
აქცევს არარაობად.
უდღეურ ყვავილს ჰგავს ხანმოკლე
კაცის ცხოვრება;
ამიტომ მიკლავს გულს
საწუთროს ამაოება.

უცებ ვახმისტრის ნაბიჯის ხმა
გაისმა მძიმედ,
თავს წამოადგათ მედიდურად
და საშინელი
ლანძღვა-გინებით ცა და მიწა
შეაზანზარა:
— ძაღლთაპირებო! ეშმაკების
ნაშიერებო!
— რამ გაგაცოფა, აგრე ურცხვად
რას იგინები?
იქნებ გაგიჟდი, ან სატანა აღარ
გასვენებს?
გვითხარ, რა მოხდა, დაეხსენი
ენა-მყრალობას!
საქმე არა გაქვს? კიდევ უფრო
უმატა ყვირილს,
გინებას მოდგა, გაუგონარს
ცხრასართულიანს,
უმალ დააფრთხო ფრინველები
მისმა ღრიალმა,
თავბრუდასხმული ბეღურები
ცვიოდნენ ციდან,
ისე ჰყვიროდა, [illegible]
ეშმაკის-კერძო!
— ღმერთო, [illegible] —
ამბობს [illegible] —
პირმყრალებს გველი და ბაყაყი
უზით ენაზე,
ლოგინში უსწრებთ მზის ამოსვლა
იმ დამთხვეულებს,
ლოცვა ზეპირად არ იციან,
არც წიგნს გაშლიან
ღვთის ყვედრებითა და გინებით
სტოვებენ საწოლს.
დილიდან საწყალ სახლში მყოფებს
თავს დაჰყვირიან,
და სამუშაოდ ჯანდაბისკენ
ერეკებიან.
არ მოსწყინდებათ შუადღემდე
ქუჩური ლანძღვა,
შემდეგ სადილსაც აკურთხებენ
ისევ გინებით,
და პურს გასტეხენ ისევ მყრალი,
უშვერი სიტყვით.

როგორც გათენდა დღე დათქმული,
გლეხები ადგნენ
და დაფაცურდნენ ბეგარაზე
გამოსასვლელად.
ზოგმა ნიჩაბი და ფიწალი
გაიდო მხარზე,
ზოგმა ბარსა და ცოცხს დაავლო
ხელი ყოჩაღად.

თაკარა მზეზე, პაპანება სიცხეში
მინდვრად,
ღვარად გვდის ოფლი საცოდავებს
წელში წახრილებს.
ჩუმად ღრღნას გიწყებს ცარიელი
მუცელიც ამ დროს,
კუჭსაც ყოველდღე რამე უნდა
ამოსავსებად.
რით გაძღეს გლეხი
დამშეულმა სად მოიჩრდილოს,
საგზლად შინიდან თითქმის
არა მოყოლია რა.
დაჯდება ღონეგამოცლილი,
ნარჩენებს ღღნის,
ყელში გამხმარი პურის ქერქი
ძნელად გადადის,
დასაყოლებლად ლუდს არავინ
გამოუწოდებს.
რა ქნას მწყურვალმა, მაღლობიდან
დაბლა ეშვება,
უწმინდურ გუბეს დაემხობა
სულმოუთქმელად.
და ხარბად რომ სვამს,
მოურავი გაჩნდება უცებ,
თავს დაადგება და საბრალოს
ზურგზე კეტსა სცემს.

**თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა.**



* ამას წინათ მოძმე ლიტველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა თავისი სახელოვანი პოეტის, ლიტვური ლიტერატურის ფუძემდებლის ქრისტიონას დონელაიტისის (1714—1780) დაბადების 250 წლისთავი. ვაქვეყნებთ ერთ თავს დონელაიტისის პოემიდან „ზაფხულის გარჯანი“.



## მერაბ ელიოზიშვილი

მოთხრობა

ვუძღვნი გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას

— ნავთი, ნავთი! — ყვირის ცალმკლავა მიხო და ზარს იქნევს ზედ ყურის ძირთან. მიხოს ძახილს ზარის წკრიალი აკომპანიმენტივით სულ თან ახლავს.

— გამოჩნდა, როგორც იქნა, ლამის წელიწადი გაიყვანა, სად იყავ, შე ოჯახქორო, სადა?—უწყრება მაკო მენავთეს და ტაშტებსა და ბიდონებს უყრის წინ.

— რა ამბავია ქალო, რა ნახე, ბაქოს ნავთი სულ შენ ხომ არ უნდა შეხვ-რიპო, შენს მეტს აღარავის ჩავუსხა?

— რიგი ჩემია, ვაჟრობა თავისუფალია, შენც ახალ მთვარესავით დაიგვია-ნებ ხოლმე. მაშ რა ვქნა, არ მოვიმარაგო?

— ნავთის აბაზანები ხომ არ გინდა მიიღო, მოიტა ბარემ ემაგ გიტარაშიაც ჩაგისხავ, მომე, მომე, — დასცინა მენავთე მიხომ მაკოს და ილლიაში ამოდე-ბული ქარვისფერი გიტარისაკენ გაიშვირა ხელი.

— უი, მომიკვდეს თავი, გამომყოლია, — დაირცხვინა ქალმა და ერთი ბიდონიც შეარბენინა გიტარასთან ერთად.

— რახან მოგიტანია, ბარემ დაუკარი ქალო მაკინე, მეც მომიმადლიერებ და ჩემს შამილასაც, — სიტყვა დაადევნა მენავთემ მომღერალ ქალს და თავისი ცხენისაკენ გაიშვირა ხელი.

ძალიან ქალია მაკინე, ოპერის ყოფილი მომღერალი, დაკვრაც უყვარს, სიმღერაც, ცეკვაც. დილიდან საღამომდე რომ უკრას და იმღეროს, არ მობეზრ-დება. მეზობლები იადონს ეძახიან. საკუთარ სახელს ურჩევნია მაკოს ეს მეტ-სახელი. არც შვილი, არც ძირი. სილამაზესა და სიმღერაში გაატარა ახალგაზრ-დობა. არცა ნანობს, რომ ნანობდეს, ხომ აღარ იმღერებდა, გიტარას აღარ გამო-იყოლებდა ბიდონთან ერთად.

ხანდახან ძველი მოტრფიალე ესტუმრება ხოლმე, პენსიონერი მომღერალი ქედნებივითა ღუღუნებენ აივანზე, ვახშამსა თუ ჩაის შეექცევიან.

— ფა-დიეზი თუ შეგიძლია კიდევ, ბენო? — ეკითხება ღიმილში განაბული მაკინე ქალი ოციოდე წლის წინ ევროპაში ცნობილ ბანს, თან შეფუნჩულებულ თითებზე უსვამს ხელს ნაზად.

— და-ლა-ლია-ა, ფა-დიეზ, მოუღერრებიააა!

* * *

— სანდრო, სანდრო, დროზე, შემოგევლე, დროზე... ნავთი მოვიდა, ნავ-თი, ელირსა სანდროო! — უძახის მაკინე ბაღში მომუშავე მეუღლეს, გიტარასა და ბიდონს აივანზე აწყობს და სადილის თადარიგს იჭერს. სასხლავი მაკრატ-ლის წკაპუნი აღარ მოისმის ბაღიდან. სანდრო სახლის წინ ჩაივლის მომწვანო წინსაფრის ფერთხვით. ცალ თვალს აივანს შეავლებს.

— რატომ მე ვერ გავიგონე ზარის რეკვა?—ჩაილაპარაკებს ზომიერი ხმით.

— მაკრატლის წკაპუნში რას გაიგებდი, — პასუხობს მაკინე და მოაჯირს ეყრდნობა. მცირე ხნით, ტკაცუნობს შეძველებული აივნის რიკული. სანდროს ჭაღარით შემოჩარჩოებულ მელოტს ღიმილით ჩახედავს მაკინე ქალი. ხმელი ტოტის ნაკუწი აგდია მებაღე სანდროს მელოტზე.

— შეიძლება მეორე დილამდე შერჩეს ჩხირი თავზე,—გაიფიქრა მაკინემ, მერე რიკულზე მოგორიალე ჭიამაია შუათითზე გადაიყვანა, თითი აღმართა და ღიმილი გააყოლა აფრენილ დაწინწკლულ მწერს. მერე უცებ,— „უით“ დაიძა-ხა და როგორღაც, დასანახავად დაფაცურდა.

— ზეცის როგორ თაღებშია, შიგ მიზის, ტარინანანა, ყელიც მოუღერებია,— რატომღაც ბანის პარტიას ღიღინებს აკვიატებულად, ქალურად.

ვერცხლისფერი ქაფი ადგება პირღია სანავთეს.

— გაივსო, გაივსო, ჰოო, ჰო! — სანდრო სწვდა ონკანის საკეტს მენავთის მაგიერ, გადაკეტა.

— ოოჰ, დამექცა განა,—სხვათაშორის აღნიშნა მენავთე მიხომ და მაკი-ნეს აივანს მოსწყვიტა ღიმილით შებოჭილი თვალი,—კარგ ხილს კარგი მებაღე უნდა, ჰა სანდრო? ეგრე არ არის?!

— შეუდგი მეორე ჭურჭელი, ლაპარაკად ნუ იქეცი,—სანდრო წაიხარა სავსე ბიდონის ასაღებად, ხმელი კაწაწი წკაპუნით ჩახტა ლურჯად მოკამკამე ნავთში.

— ვაჰ, საიდან?—კითხა გაკვირვებულმა მებაღემ და მიიხედ-მოიხედა.

— თავიდან, — გაუღიმა მენავთემ და მელოტზე ანიშნა თითით.

— ნავთიი, ნავთიი! — ახლა შორიდან მოისმოდა მენავთესა და მისი ზარის დუეტი.

სანდრომ ბიდონები და სავსე ვედროები გაამწკრივა აივანზე.

— სხვა ხომ არაფერი გინდა, მაკინე?

— არა, სანდრო, გენაცვალე, დედლის დაკვლა რომ დამჭირდება, მაშინ დაგიძახებ.

— ნაყიდი გყავს?

— ჰო, აგერ, — ფეხშეკრული შავი დედალი დაანახვა მაკინემ კუთხეში. კარგია, რა მიეცი?

რვა მანეთი.

— ძვირი მიგიცია, მაგრამ კარგია, — ჩაილაპარაკა კიბეზე ჩამავალმა მებაღე სანდრომ, სასხლავი მაკრატელი ამოიღო ჯიბიდან და გახსნა.

ერთი ციცქნა ბაღი იყო, რვაასამდე კვადრატული მეტრი ძლივს იქნებოდა. ბაღში სამრიგად იყო გამწკრივებული ვაშლისა და მსხლის ხეები. პეპინ-ლონ-დონი, ბანანი, რამდენიმე სახის რენეტი. ვაშლებს შორის მსხლები — [illegible]-ფინა და ვილიამსი იყო ჩარგული. ბაღს გარშემო [illegible] ხეები ჰქონდა ჩაყრილი. ქლიავის ძირებში, ლობის მახლობლად ყოჩივარდა და ია ამოდიოდა.

კაცმა რომ თქვას, ამ მოციცქნულ ბაღს მებაღე არც სჭირდებოდა. წელი-წადი თორმეტი თვე, მაგრამ მყავდა. პენსიონერი აგრონომი სანდრო, მაკოს მეუღლედ წოდებული, უვლიდა აქაურობას.

...მებაღე სანდრომ მაკრატელი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და ადრევე დაყენე-ბული ემულსიებით აპარატის დატვირთვა იწყო. ცოტა ხანიც და ბუნიკის თქორმა ცისარტყელა დაჰკიდა ბაღსა და სახლს შორის.

თავის დროზე საკმაოდ ცნობილი კოლორატურა გახლდათ მაკო. ოპერის მრავალ სპექტაკლს საკმაოდ ბევრი სიყვარულიც გაატანა. მოტრფიალეთა უმეტესობა ბანი გახლდათ, დიდი დიაპაზონის ბანები.

— სანდრო, სანდრო, ცოტა ფრთხილად, ნიავს თქორი აქეთ მოაქვს, საჭ-მელს არაფერი მოხვდეს, სანდროო! — აფრთხილებს მაკინე ქალი მეუღლეს.

— თეოფოსი არ გამირევია, საშიში არ არის, არაფერს ავნებს,—სანდრომ ზურგი უბრუნა სახლს და ცისარტყელაც გაქრა.

— საწყლები, როგორ გაუძალლდათ გაზაფხული!—თავის ქნევით ჩაილა-პარაკა მებაღე სანდრომ და წეროების გუთნეულს გახედა ემულსიების თქო-რში.

აპრილის პირველი რიცხვები იყო, კონუსის ფორმით გამწკრივებული წეროების ქარავანი მეოთხედ ბრუნდებოდა კავკასიონიდან თრიალეთის მი-მართულებით. — ამინდის ბიურო ციკლონს ისე ხშირად ხმარობს, როგორც უბნის ექიმი ვირუსულ გრიპს, — გაიფიქრა სანდრომ, აპარატი მცირე ხნით გადაკეტა და ფრინველებს თვალი გაადევნა.

ზეცას მინდობილი სანდრო წყვილმა ბათქმა შეაქანა. ბათქი ზევიდან ჩა-მოიჭრა და მაღლე მოკრიალებულ ცაზე რეაქტიული თვითმფრინავის თეთრი სვეტი აიმშვილდა.

წეროს გუთნეულის მუქი ნაცრისფერი ძეწკვი ვერცხლის ჯვრად აელვა-რებულმა რეაქტიულმა გააპო. გააპო და გაუჩინარდა. მხოლოდ გრძელი ზოლი დატოვა თავისი ვაჟკაცობის მოწმედ.

— ო, როგორ გაძალლდა გაზაფხული, როგორ გაუძნელდათ საწყლებს!— თქვა სანდრომ და ავტომაქსი მოიხსნა. თანაბარი მოძრაობით ტვირთავდა დგუშს. რეაქტიულმა არივდარია მწყობრი ქარავანი. ერთი ხანობა ჭილყვავებივით და-ფარფატებდნენ წეროები, მაგრამ მაინც თრიალეთისაკენ მიიწევდნენ. აპარატი დატვირთული იყო. მაგრამ სანდრო წამოკიდებას აყოვნებდა. — ნეტავი დროზე დალაგდნენ ეგ საწყლები, აფსუს!—წეროების გუნდმა როგორც იქნა კვლავ მიიღო კონუსის ფორმა, სანდრომაც შვებით ამოისუნთქა და აპარატი წამო-იკიდა. უკვე მკრთალი ძეწკვილა კრთოდა თრიალეთის მიმართულებით. აპარა-ტის ბუნიკიდან ამოსუნთქულმა თქორმა ის წვრილი ძეწკვიც წაშალა.

ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა სანდროს, აპარატი არ გაუჩერებია, ისე მოაბრუნა თავი: მთელს ევროპაში ცნობილი ბანი ზნექდა აივანს. მაკო კისკი-სებდა, თან საქმეს ხელს არ უშვებდა. უცებ შედგებოდა ბენოს წინ, რაღაცას წასჩურჩულებდა, მერე ორ ხმაზე იფეთქებდა სიცილი, მერე ბოლთასა სცემდა ბენო, ძლიერი ბანის შესაფერ ბოლთას.

— სიცაა დამიძახებს, დედალი დაკალიო, — ის იყო გაიფიქრა სანდრომ, რომ აკრიახდა კიდეც აივანი, რამდენჯერმე დაიხარა და გაიმართა ცნობილი ბანი, მაკინეც ქოთქოთებდა და აივანზე მირბი-მორბოდა. სანდრომ სასწრა-ფოდ მოიხსნა აპარატი და ჩქარი ნაბიჯით აიარა კიბეები.

— ნავთში ჩაგვივარდა დედალი, სანდრო, მომიკვდეს თავი! როგორ მო-მივიდა, ხელში ავიყვანე შენთან მომყავდა დასაკლავად, ნეტავ, ორი მაინც მეყიდა. აფსუს!

— გამარჯობათ, სანდრო! ბოდიშს ვიხდი, ხელი ნავთიანი მაქვს, — მაჯა გაუწოდა ბენომ სანდროს. სანდრომ ხელი ჩამოართვა.

— ხომ კარგად, — მოიკითხა მებაღემ.

— როგორც შეეფერება, — გაისმა ხავერდოვანი გრგვინვა ცნობილი ბანისა და სანდრომ როგორღაც დაპატარავებულად იგრძნო თავი.

— რას უზამ, მაკო, გენაცვალე მაგ ნავთიან დედალს, აგრე ხელში ხომ არ გეჭირება? — მიუბრუნდა უცებ მაკინეს.

— ახ, ორი მაინც მეყიდა... არაფერია, გაეცლება... ახლავე, აგერ წყალი, თბილი წყალი, შენ დამისხი ბენო, მე საპნით, ხელად... ჯერ გამჯდარიც კი არ ექნება, — დაფაცურდა მაკინე და სულ მალე საპნის ქაფი დაადგა შავ დედალს.

ოდნავი ღიმილი გაუკრთა მებაღე სანდროს კიბეებზე ჩასვლისას.

— თავი არ დამაძახებინო, იცოდე სანდრო, სადილზე ისე მოდი.

— პირდაპირ ცეცხლი და მარიფათი ხარ, მაკო! — გრგვინავდა ხავერდო-ვანი ხმით ბენო და თბილი წყლით სავსე ტოლჩას უმარჯვებდა. ნავთში ამო-ვლებული, საპონწასმული დედალი კი ისე ბლეტავდა თვალებს, თითქოს ტანი უკვე მდუღარე წყალში ეხარშებაო...

— მოვალ, მოვდივარ! — ისე დაიძახა სანდრომ, თითქოს ვიღაცას პასუ-ხობსო.

— სად მიდიხარ?—მოაჯირს არ მობყუდებია მაკო, ისე ჰკითხა სანდროს.

— ქვემოთ, მეზობელმა მთხოვა, წამალი დამიყენეო.

# წეროები

ეროვნული ბიბლიოთეკა



— არაფერი გამიგია, — აივანს მოშორდა მაკინე ქალი.

სანდრომ აპარატი გარეცხა, გაამშრალა და სარდაფში ჩამოკიდა. ხილის გრილი არომატი სუფევდა სარდაფში. ორ-სამგან მაკინეს ძველი გარდერობის ატრიბუტებიც იყო მიკიდულ-მოკიდული, შევარაყებული წამოსასხამები, ვერცხლით მოჭედილი ქოშები. ბაღში მუშაობისას იცვამს ხოლმე სანდრო ხალათს, ან თუ სარდაფში შესასვენებლად მიწვებოდა, მაშინ წაიფარებდა, სიგრილეს რომ არ დაეცადა ოფლიანზე...

სადილობისას მკვეთრად იკლო სითბომ და კარგადაც აცივდა.

— ეს ოხერი, ველარ გაიგებ იანვარია თუ აპრილი, რა უნდა? რას იკლაკნება წელიწადი? — ქუჩაში მიმავალმა სანდრომ ზევით აიხედა: ერთი ჩამორჩენილი წერო გაჰკვროდა ზეცას, ისიც სამხრეთისაკენ მიკანკალებდა.

— ნეტა დაეწიოს, — გაიფიქრა სანდრომ,' — დაეწევა ალბათ, ყოველ წელს ასეა, ხან ორი, ხან სამი წერო ჩამორჩება გუნდს... ალბათ ყოველთვის ეწევიან ხოლმე.

ქუჩის ბოლოს კინოთეატრი იყო, „წელიწადია არა ვყოფილვარ, შევალ ერთი, რაც არი, არი", ჯიბეში მოიფათურა ხელი სანდრომ. ხურდამ გაიჩხაკუნა. ამოიღო, შავი ფული გამოდგა, ოთხი ცალი შაურიანი, ერთი სამკაპიკიანი და ერთიც კაპიკიანი. კაპიკიანის დანახვაზე გაეცინა. ერთი მეგობარი ჰყავდა აგრონომი, კაპეიკინი იყო გვარად. სანდრო მას ხუმრობით კაპიკიანს ეძახდა ხოლმე. პატარა ტანის კაცი იყო, მოლეული. ერთხელ კაპეიკინმა რაიკომის მდივანს ახარა: — ისეთი ყანებია ჩემს მეურნეობაში, ისეთი, რომ წელზე მწვდებაო. დავღუპულვართო, გაიცინა რაიკომის მდივანმა. სანდრომ ხელისგულზე დაყრილ შავ ფულს დახედა, სალოკი თითით მისწი-მოსწია. კაპიკი აკლდა კინოს ბილეთს. კაპეიკინი რომ აქა მყავდეს,შევიდოდით, გაიფიქრა ღიმილმორეულმა სანდრომ.

— როგორი სურათია, ბიჭიკო?

— აი! — ცერი უჩვენა ბიჭმა, — სულ ომია: ბახ-ბუხ, ბუხ-ბახ!—სალოკი თითიც გაშალა ბიჭმა ცერთან და რევოლვერივით დაუმიზნა სანდროს.

— აღარ გათავდა, — ჩუმად ჩაილაპარაკა სანდრომ, მაგრამ ბიჭმა მაინც მოჰკრა ყური ნათქვამს.

— გათავდა, როგორ არა ძია, აბა მაშ მაგისთანა სურათიდან გამოვიპარებით?!

— არ გამოვპარულვარ და შვიდი წელი ვხეხე, — ახლა უკვე უხმოდ თქვა სანდრომ — მერე უცებ გაბრაზდა. სახე აუწითლდა, ნაბიჯი ააჩქარა, ჭონქაძის ქუჩის შესახვევში გაუხვია და ჭელიძის ქუჩაზე გავიდა. ოცდათორმეტი ნომერი მოძებნა, წარწერა შეათვალიერა კარზე და ღილაკისაკენ აღმართა ხელი. გადაიფიქრა დარეკვა, ხელი ჩამოიღო, ჯიბეში ჩაიყო. კვლავ შავი ფული აჩხარუნდა.

ნელ-ნელა მოშორდა ოცდათორმეტ ნომერს. სანდროს ფული ემართა ნიკო ტურაშვილს, წინა კვირას გამოართვა ოცი მანეთი, ორშაბათს არ გადავაცილებო.

ისევ კაპეიკინი მოაგონდა, პეტო კაპეიკინი.

— გაიცნობ კაცს, მოგეწონება, დაგიახლოვდება, ჯერ ამხანაგია, მერე დამეგობრდებით, მერე ძმად გაეფიცები. ერთად იქირავებთ ოთახს, ღამის სამამდე ლაპარაკობთ, ერთს ამტყუნებთ, მეორეს ამართლებთ, ერთად დადიხართ ოპერაში, — ოპერა, ოპერა, ო-პე-რა-ვო! — წაიღიღინა სანდრომ.

უკვე კინოს უახლოვდებოდა, — ნეტა სად არი ახლა პეტო, რას აკეთებს? ან სად იკარგება ასეთი მეგობრობა? შევიდე, თუ არ შევიდე? ეჰ, წავალ ერთი. კაპიკიანი რომ იყოს, — გაიღიმა. ეს ღიმილი იყო და უფროსი ვაჟი მეუღლითურთ აესახნენ წინ სანდროს. რაკიღა ღიმილია, ღიმილი იყოსო, — უფრო გახსნა სანდრომ სახე, შვილსა და რძალს ხელი ჩამოართვა, რძალს აკოცა კიდეც.

— რატომ ერთხელ მაინც არ შემოივლით? ახლა ხომ პენსიაზე ხართ, არც ახლა გცალიათ? — გაუღიმა რძალმა. სანდრომ შვილიშვილს კიდევ ერთხელ აკოცა. დაბლა დასვა.

— საით თქვენი მგზავრობა? — უპასუხოდ დატოვა რძლის შეკითხვა. ჯიბეში ხელი ჩაიყო, შავი ფული ამოიღო. მეორე ხელი დააფარა ზედ და შვილიშვილს ყურთან აუჩხრიალა.

— კინოში მივდივართ, ხომ არ წამოხვალ? — მკითხა შვილმა.

— რა სურათია? — თითქოს არ იცისო, მიამიტად იკითხა.

— რავი, ომზეაო რაღაც, ბატალიონ... თუ რაღაცა...

— არა, მეყოფა მეორედ რომ შეგხვდებით, მიამბეთ, — ნელ-ნელა მოშორდა სანდრო.

„ხტაა, ხტაა, ხტაა, ხტაა!"

დაბინდულ ცას ახედა. ჭილყვავებიც სამხრეთისაკენ მიყრანტალებდნენ, — სად ამათი ბარბაცი და სად წეროების ხრმოლა! — გაიფიქრა სანდრომ, ნეტა თუ დაეწია, — გუნდს ჩამორჩენილი წერო გაახსენდა კვლავ. შეაჟრჟოლა. მხრები აამოძრავა. სახლს უახლოვდებოდა. ოთახში სინათლე არ ენთო. კარზე წერილი იყო მიწებებული. არც წაუკითხავს ბარათი, ალბათ მალე მოვალო, ეწერება, ნეტა რა ქნეს, ის ნავთიანი დედალი?

სარდაფში სინათლე აანთო. შიოდა. ჟოზეფინა-მსხლის პატარა ყუთს გადასწვდა, ერთი ცალი ამოიღო, ჩაკბეჩა დააპირა, მაგრამ ძალიან ცივი იყო მსხალი და ცოტახნით ჯიბეში ჩაიდო გასათბობად. წელს რა დიდხანს გასძლო — გაიფიქრა. მართლაც არც ერთ წელიწადს აპრილამდე არ მოჰყოლიათ ჟოზეფინა-მსხალი. დისერტაციის დაწერა შეიძლებაო, — კვლავ გაიფიქრა, — რაზე აღარ წერენ დისერტაციებს, ერთიანად დახრეს ქაღალდები.

ხალათი ჩამოიღო ლურსმნიდან და ტახტზე წამოწვა. იმ ადგილას, სადაც როიალი იდგა, ძალიან იყო ჩამოზნექილი ჭერი. — შეიძლება გასკდეს ერთ მშვენიერ დღეს. გაბზარული უკვე იქნება. იმსიმძიმე როიალს გაძლება არ უნდა!.. თვალი დახუჭა, ხალათი კარგად გადაიფარა. თვალი დახუჭა, მაგრამ ფიქრები უშლიდნენ ძილს. ისევ გაახილა თვალები, მსხალი ამოიღო და ფრთხილად უკბიჩა, — ალბათ ძალიან უყვარდა ვიღაც ქალი ამ ჯიშის გამომყვან აგრონომს სადღაც, საფრანგეთში და მისი სახელი უწოდა, ჟოზეფინა. მსხლის გემოს მიხედვით რომ ვივარაუდოთ, უბადლო ქალი იქნებოდა, — ჭერიდან მტვერი ჩამოიყარა. ფიცრებს თვალი გააყოლა და კვლავ როიალის სიმძიმისაგან დაზნექილ კუთხეს შეხედა.

— თუ ჩამოსანგრევია, ბარემ ჩამოინგრეს, — გაიფიქრა და გადაბრუნება დააპირა. ამ მოძრაობაზე რაღაც ქაღალდი აუშრიალდა უბეში და ახლა მოაგონდა წერილი, ორი დღის წინ რომ მოუვიდა. ჯერ ეგონა, რომ მაკინესი იქნებოდა, უამრავი წერილები მოსდიოდა ქალს და ესეც მისი ეგონა, მაგრამ კონვერტზე გარკვევით ეწერა სანდროს გვარი და სახელი. პურზე მიდიოდა და მაშინვე არ წაუკითხავს, რომ დავბრუნდები წავიკითხავო. მერე კი გადაავიწყდა. წამოჯდა. კონვერტს დახედა. ვინმე ვანო არშაკუნის გამოგზავნილი იყო. — ვანო, ვანო, ვანო... — ბევრჯერ მარცვლა ჯერ სახელი, ხოლო შემდეგ გვარიც. ვერაფრით ვერ გაიხსენა ამ პირის ვინაობა, სადაურობა. გახსნა კონვერტი. წერილი ნაბეჭდი იყო.

„ძვირფასო ამხანაგო!

გთავაზობთ საერთაშორისო თამაშს, რომელიც დაიწყო ჩეხოსლოვაკიაში და 1968 წელს ჟურნალ „სმენაში" მისი გამოქვეყნების შემდეგ ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა საბჭოთა კავშირში".

— აი ტემპი მესმის, — ჩაილაპარაკა თავისთვის და კითხვა განაგრძო:

„გრთავთ თამაშში, თქვენ სამი დღის განმავლობაში უნდა გაგზავნოთ 1 მანეთი ფასიანი წერილით ან საფოსტო პერევოდით. წერილი გადაეცემა 8.125 ამხანაგს თანხით 8.125 მან."

უცებ გაეცინა სანდროს, მოაგონდა ბავშვობაში ზედახორას რომ გააჩენდნენ ხოლმე ბიჭები. განსაკუთრებით გოგოების ჩათრევას ცდილობდნენ, მეტი იყო ინტერესი. საიდან იწყებს ადამიანი?! ბავშვობიდანვე ზედახორაობს, თითქო თავისი წილი არ შეხვდებოდეს ამ აუცილებელსა და გაუთავებელ თამაშში. ეს, შედარებით პატიოსანი კაციც კი, როგორც სანდროა, ორჯერ მოხვდა ასეთ ზედახორაში ქალის გულისათვის. პირველად სტუდენტობის დროს, ოპერის მომღერლის მაკოს ცეცხლი მოედო. რა თქმა უნდა, მაშინ ცარიელზე დასვეს, თავს მოვიკლავო, კაპეიკინს არწმუნებდა. ბოლოს, როდის-



როდის, ლამის ოცდაათი წლის შემდეგ მიეცა ნება ამ სიყვარულისა. ეჰ, სადღა იყო კოლორატურა! ძალზე იშვიათად გაუგონია სანდროს მაკოს სერიოზული სიმღერა სახლში. მანამდე კი, ოცდაათწლიანი უიმედო სიყვარულის განმავლობაში შესანიშნავი ქალი ნახა სანდრომ. ხელი მოაწერა, ქორწილიც გადაიხადა, სამი შვილიც შეეძინა, მაგრამ ცეცხლი მაინც სხვისგან ეკიდა. ამ ცეცხლში დაწვა ცოლიც, ის უწყინარი ქალი და თითონაც, ბოლოს მაინც ამ ცეცხლში შერგო თავი. ფიროსმანივით დაფერფლა კოლორატურამ, ხელიდან ხელში ნატარებმა მაკომ ერთი უწყინარი აგრონომი.

მართალია გვიან, მაგრამ მაინც შეურიგდნენ შვილები სანდროს. ის უწყინარი ქალი კი აღარსად იყო...

— სანდროო, მოვედიი, ამოდიი, — ერთი წამით შემოყო მაკომ თავი სარდაფში, თავისი მოსვლა აცნობა მეუღლეს და კიბეზე ააბაკუნა წვრილცხვირა და წვრილქუსლა ფეხსაცმელები.

სანდრომ ხელი ჩაიქნია და კვლავ წერილს ჩახედა:

„...ასევე გამოგიგზავნით თქვენ 3.125 ამხანაგი და მიიღებთ 3-5 კვირის განმავლობაში“...

ბიჭოს! 3.125 მანეთი მედება ჯიბეში ერთი თვის განმავლობაში! მინდა კია?! ოცი მანეთი მართებს ჩემი კაცს, ის ვერ გამომირთმევია და 3.125 მანეთის მშოვნელი ვარ?! ანდა რა ჯანდაბად მინდა! — ქვემოთ მოწერილ გვარებს დააცქერდა, ხუთი კაცის ვინაობა და მისამართი ეწერა წერილის ბოლოს: „ჭიჭიშვილი ირაკლი თევდორეს-ძე, ქ. თბილისი, გოცირიძის ქ. № 19-ა“, წარმოიდგინა, რომ ვინმე ირაკლი ჭიჭიშვილი, კისერჩამძვრალი, მხრებამოყრილი, საკმაოდ გამელოტებული პენსიონერი ზის სარდაფში, მოჭრიჭინე ტახტზე და 3.125 მანეთის მოლოდინში ყური ფხიზლად უჭირავს. გაეცინა და ახლა სხვა გვარები და მისამართები ჩაიკითხა. დანარჩენი ოთხივე გვარი, სახელი და მამის სახელი ისეთი მამა-პაპური და ისეთი დარბაისლური იყო, რომ სანდროს კიდევაც გაუკვირდა, ამათ რაღა გაუჭირდათ საამისოდო, — წერილი დაკეცა და ის იყო კონვერტში უნდა ჩაედო, რომ ახლადა შენიშნა პატარა კრიალა ფურცელი. სულ ბოლომდე ჩახია კონვერტი. ბარათი ამოიღო და სახტად დარჩა. წერილი მისი მეგობრის პეტო კაპეიკინის გამოგზავნილი იყო. მოსკოვში ვარო, წერდა პეტო. გვარი გამოვიცვალეო, ფიზიკის ინსტიტუტში ვარ... წერილები მომწერე ხოლმეო, ძველი მეგობრობა აღვადგინოთო, სთხოვდა, ერთი შეატრიალ-შემოატრიალა სანდრომ მეგობრის ბარათი, მერე კონვერტში ჩადო და გულდაწყვეტილმა ამოიოხრა... — საწყალი კაპეიკინი, რა უცნაურად ამეკვიატა მისი გვარი დღეს მთელი დღეა.

ის იყო დაწოლა დააპირა, რომ უცბად, სულ ახლოდან, სადღაც სახურავიდან, თუ ბაღიდან წეროების არეული, რაღაც გასაოცრად მახლობელი, უსასრულოდ სასიამოვნო მოთქმა-ღაღადი გაიგონა და მაშინათვე ფეხზე ადგა. წამით გაირინდა, მიაყურა — ნამდვილად სხდებიან აქ სადღაც, ჩემს ეზოში, არა, ბაღში, ბაღში, ბაღში, ბაღში! ნეტა კი დასხდებოდნენ! ნეტა არაფერმა არ შეუშალოს ხელი! არავინ დააფრთხოს! — გარეთ გამოვარდა, გაირინდა და ცას შეაჩერდა.

სახლსა და ხეებს შუა დაგუბებულ ნაცრისფერ სიბნელეში უამრავი წერო დაფარფატებდა. ციოდა. ახლად გამოსულ სანდროს ერთი შეაჟრჟოლა. ნერწყვის ყლაპვა უჭირდა ცაში მაცქერალს, ხორხი ეკეტებოდა. მერე უცებ წეროს მოაშორა თვალი და მიიხედ-მოიხედა, ფარდულს მიაშურა. ცოტახანს იფათურა შიგ, მერე გარეთ გამოვიდა, თივისა და ძენძოს დიდი კონა ეჭირა მკლავებში. შედარებით თავისუფალი ადგილი მოძებნა ბაღში, თივა გაშალა, კიდევ ერთი კონა გამოარბენინა, ისიც ზედ გადააფინა. ცოტა მოგრძო ზოლად გაშალა, რომ ერთბაშად არ მოჭკიდებოდა თივას ცეცხლი და დიდი ალი არ აელო. ასე გაშლილ თივას წყალი აპკურა და ასანთი გაჰკრა; ჯერ რძისფერი ბოლი აიკლაკნა ცაში და მერე ალმაც იჩინა ენა. ბარემ არ უნდოდა მებაღე სანდროს ცეცხლს მოშორებოდა, მაგრამ აქ დგომა აღარ შეიძლებოდა. სანდრო სარდაფში შებრუნდა, ფანჯარასთან სულ ახლოს მიიდგა სკამი და თვალთვალი უწყო: უფრო დაბლა აირივნენ წეროები. ახლა უკვე ნეტარებასავით ისმოდა მათი უბრალო სიმღერა. მერე კიდევ უფრო დაბლა დაიწიეს წეროებმა და ბოლოს ვეებერთელა თეთრი ფანტელებივით ჩამობარდნენ ხილის ბაღი სანდროს დანთებული ცეცხლის გარშემო.

ეს იყო შესანიშნავი ღამე სანდროს ცხოვრებაში. რაღაც არაჩვეულებრივი ნათელი ჩაუდგა სულში. ედემივით გადაიპენტა პატარა ბაღი თეთრად. ძირგანათებული თეთრი ბოლის სვეტი აღმართულიყო შუაგულ ედემში. „წავალ, უეჭველად წავალ“, — კბილებშუა გამოსცრა სანდრომ, და რაღაცას მაგრად მოუჭირა ხელი. ხახვი გაიფაშვა ძლიერ მუჭში და მწარე წვენი აათქორა. თვალები დაეწვა მებაღე სანდროს და მერე ცრემლმაც უწყო დენა. არ ტიროდა სანდრო, არა, ხახვის წვენი თავის საბაბით წვენს ახოულობდა. თავი დაუმძიმდა და რაფაზე დაეშვა.

სანდრომ ჩასთვლიმა... სიზმარში მულტფილმივით რაღაცა ნახა. ვითომც მაკარონის გრძელ ფეხებზე შემდგარი ქოზეფინა-მსხლები მწყობრ ჯარად მოდიოდნენ სანდროსაკენ. სანდროც სათითაოდ შეექცეოდა. თითქოს მდუღარეში უბანავიათო, ისეთი თბილი იყო ყოველი მსხალი.

დილით ტახტზე გაეღვიძა, გაუკვირდა, აქ როდის მოვედიო. ფანჯარას მიაშურა, დამწვარი ძენძოს შავი ზოლის მეტი აღარაფერი იყო ბაღში, ვილიამსსა და ჟოზეფინებს შორის. გარეთ გამოვიდა, ერთი მუჭა წყალი შეისხა ეზოს ონკანთან, ხელსახოცი ამოიღო ჯიბიდან და პირისახის წმენდით იმ ადგილს მიაშურა, სადაც გუშინ წეროები ისხდნენ. წეროს თეთრი სკორე ბატი-ბუტივით იყო მოდებული თივის ნამწვის გარშემო. საოცრად მხურვალე მზე ამოდიოდა. უმალვე თბებოდა ირგვლივ ყოველი. ხალათისამარა გამოსულ სანდროს ჯერ მკერდი გაუთბა, ხოლო როდესაც კიბეებზე ადიოდა, ზურგზე იგრძნო სიცხოველე.

— წავალ, უეჭველად წავალ, — ფიქრობდა სანდრო და თანდათან ანელებდა ნაბიჯს, რომ უფრო მეტი სიცხოველე მიეღო სხეულს.

არც ერთ მებაღეს მზის ამოსვლის სილამაზე არ გაუცდენია ალბათ.

მზედანათებულ ლოგინში გათხლაშულ ქალს აკვირდებოდა სანდრო, ქალს რომელსაც თავის დღეში არ უნახავს განთიადის მშვენიერება.

კაცმა რომ თქვას ოპერის მომღერალს დილის ხუთზე ვერააყენებ და არცაა საჭირო. მზის ამოსვლისას სძინავთ, მზის ჩასვლისას მღერიან...

— წავალ, უეჭველად წავალ, — ფიქრობდა სანდრო და კიბეებზე ეშვებოდა.

ბარე ასჯერაც უთქვამს გულში მებაღე სანდროს ეს სიტყვები.

ვერ მიდიოდა სანდრო, წასვლის დრო აღარ იყო.





# გორგასლის დაბრუნება

## თამარ ერისთავი

იქ, სადაც მეტეხთან
    კლდეა და ქვასალი,
ცხენს შემოაგელვებს
    ვახტანგ გორგასალი.

თუ მონატრებია
    ნაცნობი მთა-გორი,
სეიდაბადი და
    პატარა თაბორი.

ცა ლურჯი, უძირო,
    ღრუბელი ყირმიზა,
ტყეები უღრანი
    და ჯოგი ირმისა;

ან იქნებ ისარი
    აქვს მკერდში გაჩრილი,
სისხლი სდის და როგორც
    ირემი დაჭრილი —

დაეძებს თბილისის
    უებარ წყაროთა,
იმათი სითბოც ხომ
    მალამოდ კმაროდა;

ან იქნებ მოვიდა,
    მიწას სცეს თაყვანი,
ვით ერთი პირველი
    თბილისელთაგანი, —

ამ მიწას დაქცეულს,
    კვლავ ქცეულს ქალაქად,
მხრებით რომ ასწია
    ასწელთა ბარაქა.

და სადაც მარადი
    სინათლის მორევთან
ისევ დგას მომრევი
    უამრავ მომრევთა

თბილისის ლურჯი ცა
    და ფუძე ქვასალი,
ცხენს ალვირს მიუშვებს
    ვახტანგ გორგასალი.



# ტელეფონი და კონტინენტები



ა. კარბელაშვილი

წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: ქუთაისის ქსელის აბონენტი საკუთარ ტელეფონზე აკრეფს ჰავანის ტელეფონის ნომერს და დაელაპარაკება კუბაში ჩასულ მეგობარს, ანდა ტოკიოში მყოფი ქართველი სპორტსმენი სასტუმროს ნომრიდან პირდაპირ დაუკავშირდება ქუთაისს.

ამ შესანიშნავი იდეის მისაღწევად, რასაკვირველია, საჭირო იქნება სატელეფონო კავშირის მიერ გარკვეული ეტაპების გავლა.

უპირველესად, შესაძლებელი უნდა გახდეს ავტომატურად დარეკვა ყოველი ქვეყნის ფარგლების შიგნით, მაგალითად, შეიქმნას საბჭოთა კავშირის ერთიანი ავტომატური სატელეფონო ქსელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ერთი ქალაქის აბონენტს შეეძლება ავტომატურად დარეკოს ნებისმიერი სხვა ქალაქის აბონენტთან.

საბჭოთა ქვეყანაში ასეთი კავშირის განხორციელება გათვალისწინებულია 1980 წლისათვის. ამჟამად მრავალ ქალაქს შორის უკვე დამყარებულია ნახევრადავტომატური სატელეფონო კავშირი. აი, თუნდაც თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურიდან უკვე შესაძლებელია აიკრიფოს მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, მინსკის, ნოვოსიბირსკის და სხვა ქალაქების ნომრები.

მოსკოვის სატელეფონო ქსელის აბონენტები კი ბინებიდან პირდაპირ კრეფენ ლენინგრადის, კიევის და კალინინის ტელეფონის ნომრებს.

იმისათვის, რომ მოსკოველმა ლენინგრადელ მეგობარს დაურეკოს, რომლის ნომერია ა-5-25-55, იგი თავის ტელეფონზე ჯერ კრეფს კოდს — პირობით ნიშანს 91-91. ამ ნიშნის აკრეფისას, მისი ტელეფონი დაუკავშირდება ლენინგრადთან დამაკავშირებელ საქალაქთაშორისო ხაზს. შემდეგ, როცა აკრეფს მეგობრის ტელეფონის ნომერს, დენის იმპულსები უშუალო ზეგავლენას მოახდენენ ლენინგრადის ატს-ის ხელსაწყოებზე და ჩვეულებრივ დაირეკება მეგობრის ბინაზე.

თუ მოსკოველი მოინდომებს დაუკავშირდეს კიევს, მან წინასწარ უნდა აკრიფოს კოდი 91-92, თუ კალინინს — კოდი 91-93.

შემდეგი ეტაპი უნდა იყოს ევროპის ერთიანი სატელეფონო ქსელი. მაშინ, მაგალითად, ბათუმის ტელეფონის ქსელის აბონენტი პირდაპირ აკრეფს პრაღის, ვარშავის, პარიზის, ლონდონის ან სხვა ქალაქების ტელეფონის ნომრებს, და პირიქით, ევროპის ნებისმიერი სახელმწიფოს ქალაქიდან ავტომატურად დაირეკება საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქში.

ევროპის ერთიანი სატელეფონო ქსელის შექმნის მიზნით უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები. ჯერ კიდევ 5 წლის წინათ ნიუდელში შედგა სპეციალისტთა ასამბლეა, რომელმაც რჩევა მისცა სახელმწიფოებს ერთიანი ქსელის მოწყობისათვის. ამის შემდეგ ევროპის ქვეყნებს ინდივიდუალური ორნიშნა კოდები მიეკუთვნათ.

ევროპის ქსელის წინამორბედია ნახევრადავტომატური სატელეფონო კავშირის დამყარება თუნდაც მოსკოვსა და პრაღას შორის, მოსკოვსა და ვარშავას შორის. დღეს მოსკოველი ტელეფონისტი პირდაპირ აკრეფს ამ ქალაქების ტელეფონის ნომრებს და ელაპარაკება მათ. ასევე ვარშაველი და პრაღელი ტელეფონისტები პირდაპირ კრეფენ მოსკოველთა ნომრებს.

მსოფლიოს ერთიანი ავტომატური სატელეფონო კავშირის დროს ევროპის ქსელის რომელიც გნებავთ აბონენტი ბინიდან პირდაპირ დარეკავს თუნდაც ავსტრალიის რომელიც გნებავთ აბონენტთან. აფრიკიდან ავტომატურად დაირეკება ამერიკაში. ერთი სიტყვით, ჩვენ პლანეტაზე დადგმულ ერთ ტელეფონზე შესაძლებელი გახდება ავტომატურად აიკრიფოს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ამა თუ იმ ტელეფონის ნომერი.

საკონტინენტთაშორისო ავტომატური კავშირის საკითხებზე 1962 წელს კანადაში, ქალაქ მონრეალში სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტებმა დიდხანს იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ცალკეული სახელმწიფოებისადმი კოდების მინიჭებას.

ცხადა, ასეთი კავშირისათვის აბონენტს ტელეფონზე მოუხდება მრავალნიშნიანი ნომრის აკრეფა, შეიძლება დარეკვისას მან ნომერამკრეფზე თხუთმეტამდე ციფრი აკრიფოს. სამაგიეროდ ნომრის აკრეფის შემდეგ უშუალოდ გამოძახებულ აბონენტთან იწყებს ლაპარაკს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტელეფონის აპარატზე მრავალნიშნიანი ნომრის აკრეფასთან დაკავშირებით გამომგონებლები ბევრს ფიქრობენ, რათა კონსტრუქციულად შეიცვალოს თვით ტელეფონის ნომერამკრეფიც. მბრუნავი ნომერამკრეფის ნაცვლად უკვე შექმნილია ღილაკებიანი ნომერამკრეფები. ნომრის აკრეფა ღილაკებზე თითის დაწოლით ხდება. სულ 10 ღილაკია. ასეთი ნომერამკრეფი იმით არის მოსახერხებელი, რომ აბონენტი აღარ ელოდება დისკოს საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას, არამედ ზედიზედ აწვება ღილაკებს. ამ დროს ტელეფონის ხაზში დენის იმპულსები თანმიმდევრულად და ერთმანეთისაგან სათანადო ინტერვალით იგზავნება, თანაც თვით ტელეფონის აპარატი უფრო ლამაზად გამოიყურება.

საკონტინენტთაშორისო ავტომატური კავშირის დამყარებისას განსაკუთრებულ დაბრკოლებას წარმოადგენს კონტინენტებს შორის არსებული ზღვები და ოკეანეები, მათ შორის ყველაზე მეტად ატლანტის ოკეანე.

ატლანტის ოკეანეში პირველი სატელეფონო კაბელი 1956 წელს ჩაიდო. კაბელი ერთდროულად 32 სატელეფონო ლაპარაკს გადასცემს. შემდეგ, 1959 და 1963 წლებში დამატებით კიდევ ორი სატელეფონო კაბელი გაიყვანეს. მაგრამ, რომ იტყვიან, ეს ზღვაში წვეთია. სპეციალისტების გაანგარიშებით, მიმდინარე წელს ამერიკიდან ევროპაში 8 მილიონი კაცი ილაპარაკებს, 1970 წელს — 20 მილიონი, ხოლო 1980 წელს ატლანტის ოკეანე 100 მილიონმა ლაპარაკმა უნდა გადაკვეთოს.

ამიტომ არის, რომ კაბელების „დასახმარებლად" თანდათანობით მწყობრში შევლენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები. ახლახან ატლანტის ოკეანეს თავზე გაშვებულ მეკავშირე თანამგზავრს შეუძლიან 240 ერთდროული სატელეფონო ლაპარაკი გადასცეს ამერიკასა და ევროპას შორის.

უფრო ადრე, 1960 წელს რადიოსატელეფონო კავშირისათვის გაშვებულ იქნა მეკავშირე თანამგზავრები „კურიერი", „ექო", „ტელსტარი" და „რელე" დასავლეთ და აღმოსავლეთ ნახევარსფეროების დასაკავშირებლად. 1964 წელს კი — მეკავშირე თანამგზავრი „ექო-2", რომლის მუშაობას ერთდროულად აკვირდებოდნენ საბჭოთა, ინგლისელი და ამერიკელი მეცნიერები. დაკვირვებების მიზანი შორეული სატელეფონო კავშირის დამყარება იყო.

და აი, ახლახანს საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს — გაშვებულ იქნა მეკავშირე თანამგზავრი „მოლნია-1", რომელმაც საშუალება შექმნა ვლადივოსტოკის ტელეგადაცემა მოსკოვში მიეღოთ. მაგრამ პროგრამების გარდა, თანამგზავრზე დადგმულ აპარატურას შეუძლიან მრავალი ერთდროული სატელეფონო ლაპარაკი გადასცეს შორეულ ქალაქებს.

კონტინენტთა შორის ავტომატური ტელეფონის კავშირის განხორციელება, გარდა საკაბელო რადიოტელეური ხაზებისა და მეკავშირე თანამგზავრებისა, უსათუოდ მოითხოვს ქალაქების ავტომატური ტელეფონის სადგურებში დამატებითი აპარატურის დადგმას, და საერთოდ, ატს-ებში უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დამონტაჟებას. საკმარისია ითქვას, რომ ავტომატური კავშირის დროს აბონენტმა ლაპარაკის ღირებულება უნდა გადაიხადოს ქვითრების მიხედვით, რომელზეც ავტომატურად დაიბეჭდება ღირებულება. მართლაც, ასეთი კავშირის დამყარებისას ხომ ტელეფონისტები აღარ აღრიცხავენ როდის დაიწყო და როდის დაამთავრა აბონენტმა ლაპარაკი და მსოფლიოს რომელ კუთხეში დარეკა?!

ყველაფერი ეს „გონიერმა" ავტომატებმა თვითონ უნდა შეიტყონ, იანგარიშონ და აბონენტს გადასახადი დააწერონ.

დღეს არავის აეჭვებს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა ძირითადად უკვე შექმნეს საფუძველი საკონტინენტთაშორისო ავტომატური კავშირისათვის.

რასაკვირველია, პირველად ავტომატურ კავშირზე ზოგიერთ მიმართულებებით შეიძლება არ იყოს დიდი მოთხოვნილება, მით უმეტეს იმ ხალხებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ. მართლაც, თუნდაც თბილისსა და ტოკიოს, ანდა თბილისსა და რომს შორის ერთდროულად ბევრი აბონენტი არ ილაპარაკებს, მაგრამ დღეს ხომ უკვე არსებობენ მთარგმნელი მანქანები. ისინი უფრო სრულყოფილი გახდებიან მომავალში. ტელეფონში ქართული ლაპარაკი შეიძლება ავტომატურად ითარგმნოს და ტოკიოში მყოფმა იგი იაპონურ ენაზე მოისმინოს.

შემდგომ წლებში სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებს ხომ უფრო მეტი ურთიერთობა ექნება ერთმანეთთან კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში.

საერთაშორისო ავტომატური სატელეფონო ქსელი ნამდვილი რევოლუცია იქნება კავშირგაბმულობაში. იგი უფრო დააახლოვებს ერთმანეთთან ქვეყნებსა და ხალხებს, უფრო მოხერხებულს გახდის ერთმანეთთან ადამიანთა ურთიერთობას.

# ჩამქრალი ვარსკვლავები

თავქვე, კიბეზე ელისო ჩამორბის. ხელში მთის იების პირველი კონა უჭირავს. დღეს იგი მარტო ჩამოვიდა მთიდან, ვერც კოხტა ყარალაშვილი ჩამოიყვანა და ვერც ნიკოლოზ შენგელაია. იები მაინც მათი სახელით მიართვა, კირა ანდრონიკაშვილი მათი სახელით მიესალმა ნატოს.

ეს იყო 1949 წლის 11 აპრილს —მადლიერმა ხალხმა თავის ვარსკვლავს — ნატო ვაჩნაძეს მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში საღამო მოუწყო.

რაღაც კანონზომიერი იყო იმაში, რომ ნატოს იუბილე გაზაფხულზე გადაუხადეს. ქართული კინოს გაზაფხულისა იყვნენ ნატოც და ისინიც, ვინც კირა ანდრონიკაშვილს ვერ ამოუდგნენ გვერდში ნატოს იუბილეზე.

ჩვენი თაობის ადამიანებს მხოლოდ ისტორია არ გვაკავშირებს ამ ხალხის სახელებთან. ნატო ვაჩნაძე, კირა ანდრონიკაშვილი, კოხტა ყარალაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია — ეს ის ადამიანებია, რომლებსაც მარტო ეკრანიდან კი არ აუღელვებივართ: ქუჩაში რომ დაგვინახავს, თავზე აგვბნევია, დაგვდევნებივართ და სკოლის ნაცვლად ჩიტაძის ქუჩაზე ქოშინით ხან წინ გაგვისწრია,ხან გვერდით გავყოლივართ.

ჩვენი ბავშვობა დაკავშირებულია მათს სახელებთან და რაც არ უნდა ვეცადოთ ახლა, მაინც ობიექტურ მაყურებლად ჩვენ ვერ გამოვდგებით.

არის სურათები, რომლებსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყავლი გაუვიდათ, მაგრამ ჩვენ მაინც გვიყვარს ისინი, ჩვენ მონუსხულებივით ველით ნატოს მადლიანი სახის გამოჩენას, კოხტას მოქნილი ტანის, ვაჟკაცური მხარბეჭის, მიმინოსებური გამოხედვის დანახვას. ველით იმიტომ, რომ გვიყვარს, რომ ბავშვობიდანვე შევეზარდეთ მათ სახელებს.

ქართველმა მაყურებელმა ნატო პირველად 1923 წელს ნახა. ეს იყო ნენოს როლი „არსენა ყაჩაღში" და ნუნუ — „მამის მკვლელში". რაკი ერთხელ დაინახეს, ვის შესწევდა ძალა თვალი მოეწყვიტა მისი სახისათვის? ვინ არ მოჯადოვებულა მისი ეშხით, მისი უძირო თვალების ხავერდოვანებით! ნატოს სილამაზე მისი სახის განუმეორებელ და განუზომელ მიმზიდველობაში იყო, მის განსაკუთრებულ კდემასა და სინატიფეში.

ასე, ფილმი ფილმს მოჰყვებოდა და სახე სახეს ცვლიდა. ყოველი როლი, ნატოს შექმნილი, განსაკუთრებული იყო, ნატოსებური.

დრო და ცხოვრება კარნახობდა ნატოს, რომ ხელოვნება ძნელი და რთული საქმეა. იგი ადამიანისგან მოითხოვს დიდ ცოდნას, დაკვირვებას და დიდ შრომას. ნატო უკან არ იხევდა. მისი მასწავლებლები იყვნენ პერესტიანი, წუწუნავა, მარჯანიშვილი.

ნატო დაუზარებელი იყო მუშაობაში. „უკანასკნელი ჯვაროსნების" (რეჟ. ს. დოლიძე) გადაღების დროს მთებში, თავის ძუძუმწოვარა ბავშვით ხელში, ბევრი აღმართი აუვლია და მთის მცხუნვარე მზეს არა ერთგზის დაუწვია მისი ნაზი კანი. მაგრამ ნატო მსახიობი იყო, რომელიც მიზანდასახულად მიიწევდა წინ.

ნატო მალე მთელმა საბჭოთა მაყურებელმა გაიცნო.

ნატოს სახის ბუნებაში, მის მეტყველ პლასტიკურობაში, უნარში გადმოეცა უფაქიზესი ნიუანსები გმირის განცდებისა და შინაგან ცხოვრებისა— იყო რაღაც განსაკუთრებული, რაც მუნჯი კინოს ფორმისათვის და სპეციფიკისათვის ორგანული იყო.

ხმოვანი კინოსი ნატოს პირველად კიდევაც შეეშინდა, მაგრამ მას მაშინ გვერდით აღმოუჩნდა გამოცდილი რეჟისორი, რომელმაც გული გაუმაგრა. ნატოს ნენო მ. ჭიაურელის „არსენაში" ისეთი აქტიორული გამარჯვებაა, როგორისთვისაც ნატოს მუნჯი კინოს არც თუ ისე ბევრი სახის შექმნაში მიუღწევია. მალე ნატოს იწვევენ კიევში, მოსკოვში, ბერლინში, მუშაობს რეჟისორის ასისტენტად ცნობილ დოკუმენტალისტთან — რეჟისორ ესფირ შუბთან. ნატომ პირნათლად შეასრულა კ. მარჯანიშვილის ნაანდერძევი: იგი ნამდვილად პროფესიონალი კინომსახიობი გახდა.

მარჯანიშვილის როლი ქართულ კინოში კიდევ ერთი მადლითაა განზომილი — 1925 წელს იგი რუსთაველის თეატრის პირდაპირ გადაეყარა ერთ ახალგაზრდა პოეტს, რომელიც გამვლელებს თავის ლექსებს უკითხავდა, ჩაისვა ეტლში და სტუდიას მისი სახით ახალი რეჟისორის ასისტენტი შეხძინა.

ასე მოვიდა ქართულ კინოში შავგვრემანი, მკვირცხლი, თმახუჭუჭა, მაღალ-მაღალი ახალგაზრდა — ნიკოლოზ შენგელაია.

მოვიდა ენერგიული, ჭკვიანი კაცი, რომელმაც ძალიან მოკლე ვადაში აუღო კინოს. პირველი სურათი „გიული", რომელიც მან რეჟ. ლევ პუშთან ერთად გადაიღო, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, რათა დაუფლებოდა კინოხელოვნების სპეციფიკას.

1929 წელს შტუტგარტში, კინო-ფოტო გამოფენაზე ეიზენშტეინის „ძველი და ახალის", პუდოვკინის „ჩინგისხანის შთამომავალის" და დოვჟენკოს „არსენალთან" ერთად შენგელაიას „ელისოც" იქნა გატანილი.

ნ. შენგელაიამ ნამდვილი მხატვრის თვალით დაინახა, რომ დრომ წინ წამოსწია ხალხი, მასა; იგი არ ჩამორჩა დროს და ალექსანდრე ყაზბეგის მიერ მოთხრობილი ამბავი სახალხო კინოეპოპეად აქცია.

ამ ფილმის მონტაჟი საბჭოთა კინოს ისტორიაში შესულია, როგორც კლასიკური მაგალითი. ფილმის ხედვითი და წარმოსახვითი კომპონენტები კოლორიტულია, მაგრამ საოცრად ზომიერი.

აღსანიშნავია კიდევ ის, რომ ფილმი თავიდან ბოლომდე ჯანსაღი ოპტიმიზმითაა გამსჭვალული; ასეთი იყო თვითონ ნ. შენგელაია, იგი იმედით და გამარჯვების რწმენით ავსებდა მაყურებელს.

შენგელაიამ გაიმარჯვა იმითაც, რომ შესანიშნავად შეარჩია ფილმის გმირების შემსრულებელნი.

შველივით მოქნილი, ტანის მსუბუქი რხევით მიიჩქარის ვაჟიას შესახვედრად ელისო. მის მოძრაობაში ისეთი სილაღეა, ისეთი მოხდენილობა, იმდენი თავისუფლება, რომ უცებ ვერც კი ხვდები გული რამ შეგიკუმშა — ეს ის სევდაა დიდმა ყაზბეგმა და შემდეგ კი მსახიობმა რომ ჩააქსოვეს თავის ელისოს. და ეს იმხელა სევდაა, რომ მერე, მრავალი წლის მერე, როცა კირა ანდრონიკაშვილს გაიცნობ, როცა მოჯადოებული დარჩები ამ ქალის გონებით და სილამაზით, თავშეკავებულობით, ხალისით, სულიერი სიფაქიზით და ზნეობრივი სიმტკიცით, ასე გეჩვენება თითქოს თვითონ ყაზბეგმა აარჩია იგი თავისი საყვარელი ელისოს განსასახიერებლად.

რეჟისორული და აქტიორული გამარჯვებაა ყაზბეგის მეორე გმირის—ვაჟიას სახეც.

ლერწამივით ტანაყრილ ელისოს, მხრებგაშლილი ვაჟკაცი ამოუდგა გვერდით. ვინ დაივიწყებს კოხტა ყარალაშვილს, მის ათლეტურ აღნაგობას, მის ამაყ გამოხედვას, ვინ დაივიწყებს ვაჟიას გაბედულებას და სიდინჯეს, წინდახედულებას და სიფიცხეს. ვინ დაივიწყებს კოხტას მოძრაობის პლასტიკას, მის მხუბუქ ნაბიჯს, ვინ დაივიწყებს მის უშუალობასა და სისადავეს!

სიამაყით ივსებოდა ჩვენი გულები, როცა „დავით გურამიშვილში" გიორგი სარდლის სახეს შევცქეროდით, გვხიბლავდა დიდებული, კეთილშობილი მოხუცის ვაჟკაცობა, მისი ამოვსება და სიდარბაისლე. ცრემლები, რომელიც მაშინ დავღვარეთ, როცა ბრძოლის ველზე დაცემული გიორგი სარდალი თავის შვილს ემშვიდობება — ის ცრემლები ალბათ ჩვენი თაობის ვალის მოხდა იყო ჩვენი საყვარელი მსახიობის წინაშე.

გიორგი სარდალი კოხტა ყარალაშვილის უკანასკნელი დიდი გამარჯვება იყო კინოში.

კოხტა ყარალაშვილი 1947 წელს, კახეთის გზაზე, ავტომობილის კატასტროფის დროს დაიღუპა.

უცნაური დამთხვევა მოხდა — ნატოც, უკანასკნელად მოხუცი დავინახეთ ეკრანზე. იგი აკაკის ძიძას ასახიერებდა ნ. პიპინაშვილის ფილმში „აკაკის აკვანი".

ნატოს ძიძა მთელი მისი აქტიორული გამოცდილების და ოსტატობის ბუნებრივი შედეგი იყო. „მე მსურდა აკაკის ძიძის—მანოს სახეში გადმომეცა თავდაჭერილობა და სიმტკიცე, სიმშვიდე და სიბრძნე, რაც ქართველი ქალის ღირსებას წარმოადგენს", თქვა ნატომ და კიდეც მიაღწია საწადელს. მისი ძიძა—ქართველი ქალის კდემამოსილების და სინაზის ცოცხალი ხატია.

ნატომ გვიჩვენა აკაკის ძიძა ოცი წლის ახალგაზრდა გლეხის ქალის ასაკშიც და ოთხმოცი წლის მოხუცის ასაკშიც, როცა იგი აკაკის იუბილეზე ჩამოიყვანეს.

ნატო წერდა: „მე მოხუცი მანო უფრო შემიყვარდა, ვიდრე ახალგაზრდა. ვიკეთებდი სასინჯ გრიმს, ვცდილობდი ისე მოვქცეულიყავი და მემოქმედნა, როგორც ოთხმოცი წლის მანოს შეეფერებოდა. როცა გრიმიორთან ერთად გარეგნულ მსგავსებას მივაღწიე, გრიმგაკეთებული კინოსტუდიის დირექტორის მ. კვესელავას კაბინეტში შევედი, მან ვერ მიცნო. მაშინ შინ დავურეკე ბავშვებს: სოფლიდან მამათქვენის მოხუცი ბიცოლა ჩამოვიდა და რადგან მე არა მცალია, რაც შეიძლება გულთბილად მიიღეთ-მეთქი... მანქანაში ჩავჯექი, მანოს ტანსაცმელითა და გრიმით შინ წავედი. უმცროსმა შვილმა—გიორგიმ კარი გამიღო. მე მივესალმე მას, ისე როგორც ამას მანო ჩაიდენდა. ბინაში მიმიპატიჟეს, დავჯექი და როცა ლაპარაკი დავიწყე, მხოლოდ მაშინ მიცნო ჩემმა შვილმა".

ნეტა მოხუცი ნატო მარტო ეკრანზე არ გვენახა, ნეტა თბილისი მის ჭაღარას დაემშვენებინა! თავის ეშხს ის არასოდეს დაჰკარგავდა, მას მოხუცობაც დაშვენდებოდა.

ნიკოლოზ შენგელაიამაც ვერ შეაჯერა გული. „ელისოს" შემდეგ მან ბევრი რამ გააკეთა, მათ შორის ორი შესანიშნავი ფილმი — „ბაქოს ოცდაექვსი კომისარი" და „ნარინჯის ველი". მაინც ბევრი რამ დარჩა სათქმელი.

1943 წელს იგი კახეთის გზაზე, მანქანაში, საჭესთან გარდაიცვალა.

ოთხი ადამიანი გავიხსენეთ, ჩვენი კინოს ოთხი ვარსკვლავი და არც ერთ მათგანს თმის გაჭაღარავება არ დასცალდა.

მაინც მოასწრეს, თავისი თქვეს. ისე თქვეს, რომ ჩვენი ვალია გვახსოვდეს მათი სახეები და ვუმადლოდეთ მათ.

ლია წილოსანი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა

ნახატი გ. ოჩიაურისა



# „სიბრძნე სიცრუისა" სცენაზე

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები სიბრძნის დაუშრეტელი წყაროა. ამ ნაწარმოებში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის გონებამახვილობა და ცხოვრებისეული გამოცდილება.

საბას იგავების მოტივებზე დაწერილი ნანა ხატისკაცის პიესა „სიბრძნე სიცრუისა", რომელსაც წლევანდელ სეზონში რუსთაველის თეატრის სცენაზე კვლავ ნახავს ჩვენი მაყურებელი.

სპექტაკლი დადგეს ნ. ხატისკაცმა და თ. მაღალაშვილმა.

მხატვრული გაფორმება ეკუთვნის კ. იგნატოვს, მუსიკა—ნ. მამისაშვილს.

დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელია არ. ჩხარტიშვილი.



სპექტაკლის ცენტრალური ფიგურაა უსახელო უფლისწული. უფლისწულის როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ს. ლალიძე. მას კარგ პარტნიორობას უწევს თმაგაჩეჩილი გოგონას როლში ახალგაზრდა მსახიობი ი. გიგოშვილი.

სპექტაკლში მთლიანად ახალგაზრდობა მონაწილეობს. ძნელია მათი ცალცალკე გამოყოფა. ყველანი ისინი—გ. ხარაბაძე, ნ. ფირანიშვილი, რ. ჩხაიძე, გ. პიპინაძე, გ. ქავთარაძე, ნ. ფაჩუაშვილი, მ. თავაძე, კ. კავსაძე, გ. გოგავა, დ. პაპუაშვილი, გ. მატარაძე, ტ. ყველაიძე, მ. მაღლაკელიძე, თ. გაბუნია, ლ. გუდაძე და სხვები,—ერთ მთლიან საინტერესო სპექტაკლს ქმნიან.



სურათზე: მხატვარი კ. იგნატოვი

სცენები სპექტაკლიდან

ფოტო ო. თურქიასი და ე. კესოვისა









კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“

„ჰუმანიზმისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის“ — ამ დევიზით შეიკრიბნენ მოსკოვში, საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოხელოვნების საყოველთაოდ აღიარებული ოსტატები. იმ დღეებში კინომნახველთა რეზიდენციის — სასტუმრო „მოსკოვის“ ფასადზე მსოფლიოს 87 ქვეყნის სახელმწიფო ალამი ფრიალებდა. 34 საკონკურსო და 97 კონკურსგარეშე წარმოდგენილი მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმი, 85 მოკლემეტრაჟიანი ფილმი ნახეს საერთაშორისო ჟიურის წევრებმა, საზღვარგარეთელმა სტუმრებმა, უცხოელმა ტურისტებმა, მრავალმა ათასმა მოსკოველმა.

კრემლის ყრილობათა სასახლის დიდ ეკრანზე პირველი უჩვენეს ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, რომელიც სსრ კავშირმა სურათ „ომსა და მშვიდობასთან“ ერთად საკონკურსოდ წარმოადგინა. სურათის მსვლელობისას მრავალგზის გაისმა ტაში. ამავე დღეს უჩვენეს ვიტორიო დე სიკას ფილმი „ქორწინება იტალიურად“. და მოხდა ისე, რომ ამ ფილმებში მთავარი გმირების განმასახიერებლებმა — სერგო ზაქარიაძემ და სოფი ლორენმა კინოფესტივალის პირველსავე დღეს დაიმსახურეს კინოასპარეზობაზე დაწესებული პრიზები: მამაკაცისა და ქალის როლების საუკეთესო შესრულებისათვის.

შემდეგ ეს უმაღლესი ფირმანით დაადასტურა ავტორიტეტულმა ჟიურიმ. ამ საპატიო ჯილდოს მიღებისას ს. ზაქარიაძემ თქვა: — არ ვიცი, ვის უფრო ეკუთვნის ეს პრიზი: მსახიობს, რომელიც კინოაპარატის წინ მდგომი ხატავდა გმირს, თუ რეჟისორ რეზო ჩხეიძეს, რომელიც კინოაპარატის უკან იდგა და ილვწოდა ამ გმირის მხატვრული სახის შესაქმნელად“.

ოთარ სეფიაშვილი



ფესტივალის მონაწილენი — სოფი ლორენი და სერგო ზაქარიაძე

ფესტივალის მონაწილენი — ლუჩია ბოზე და მისი მეუღლე დომინგინი



რეჟ. გ. ალექსანდროვი, სოფი ლორენი და კარლო პონტი



# ქაღალდი, ასანთი და ყელსახვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ღირს კილო შესახვევი ქაღალდი? — ვეკითხებით ქაღალდის საწყობის ბუღალტერს.

— ჩვენ კილოობით არა ვყიდით, მაგრამ გეტყვით, აგერ მიწერია ფასები. აქ ჯერ ხარისხი უნდა გაითვალისწინოთ: არის ქაღალდი, ტონა ღირს 142 მანეთი და 28 კაპიკი, შემდეგ — 150 მანეთი და 92 კაპიკი, ყველაზე უკეთესი კი, „კრაფტს" რომ ეძახიან, ღირს 164 მანეთი და 82 კაპიკი, მაგრამ თქვენ კილოს მეკითხებით, არა? — ბუღალტერი ერთ წუთს დაფიქრდა, — კილო დაახლოებით 15-16 კაპიკი გამოდის.

მაგრამ რის თხუთმეტ-თექვსმეტი კაპიკი... თურმე არის ადგილები, სადაც ერთი კილო ქაღალდი უდრის ერთ კილო კარაქს ანუ 3 მანეთსა და 60 კაპიკს.

გიკვირთ, არა? მართლაც, საკვირველია. ვაჭრობის ვერც ერთ პრეისკურანტში ამას ვერ წაიკითხავთ და საერთოდ საქონელბრუნვის ისტორიას არ ახსოვს ასეთი შეფარდება. მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება და ყოველივე ამის დასადასტურებლად შორს წასვლაც არ მოგიხდებათ. საკმარისია ესტუმროთ ჩვენს მაღაზიებს..

აქ თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ საქონელს, ვთქვათ, კარაქს მუდამ მიემატება ხოლმე სქელი გასახვევი ქაღალდის წონა, რომელიც არც ისე იშვიათად — 15-20 გრამს შეადგენს, ხოლო ერთი გრამი ქაღალდი კი გათანაბრებულია ერთ გრამ კარაქთან.

მიუმატეთ ამას ისიც, რომ ხანდახან ისე აყენებენ სასწორს, რომ იგი 15-20 გრამს მეტს აჩვენებს.

ცხადია ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ საკმარისია გადახედოთ აქტებს, რომლებიც მილიციის მუშაკებს შეუდგენიათ, ამოიწეროთ იქიდან გვარები და თქვენ მიიღებთ საკმაოდ გრძელ სიას იმ ადამიანებისას, რომლებიც ქაღალდს კარაქის ფასად ასაღებენ.

ეს რა წვრილმანებს გამოჰკიდებიანო, შეიძლება იფიქროს მკითხველმა. კარგი წვრილმანია, თქვენმა მზემ. აბა იანგარიშეთ: მაღაზია, კარაქის გაყიდვის დროს, დღეში, სულ ცოტა, 10 კილო ქაღალდს ხომ ხარჯავს. ესეც თქვენი 10 კილო კარაქი ანუ 36 მანეთი, თვეში — 1080 მანეთი. აკი ცოტააო, აკი წვრილმანიაო!

მაშ რა ვუშველოთ საქმეს. აი, რა: ინსტრუქციაში ზუსტად და გარკვევით არის აღნიშნული, რომ სასწორის მეორე თეფშზე იმავე ქაღალდის იმხელავე ფარატინა უნდა იდოს. აი, ეს არ უნდა „ავიწყდებოდეთ" გამყიდველებს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი „გულმავიწყი" გამყიდველი დგას დახლთან.

* * *

მცხეთის ასანთის ფაბრიკა! ვინ მოსთვლის რამდენი ითქვა და დაიწერა ამ ფაბრიკაზე, ბევრი დირექტორი გამოიცვალა, მომხმარებელმაც დიდი ხანია აიყარა გული მცხეთის ასანთზე, მაგრამ ფაბრიკის ხელმძღვანელობა ისე შეეჩვია კრიტიკას, ყურადღებას არაფერს აქცევს — წერონ და იკითხონო.

შორეულ მოგონებებს ნუღარ გავყვებით: 1963 წლის სექტემბერში ფაბრიკა შეამოწმა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხარისხის ინსპექციამ, აღინიშნა, რომ ფაბრიკა არღვევს საქონლის გამოშვების დადგენილ სტანდარტს. და აი, შედეგებიც: ასანთის ღეროს თავები იმტვრევა, თვითეულ კოლოფში ნაცვლად ორმოცდაათისა, ორმოცი, ზოგჯერ ოცდაჩვიდმეტი ღეროა, კოლოფები არ იფუთება წყალგაუყონავი ქაღალდით, არღვევენ მზა პროდუქციის მარკირების წესებს და ა. შ.



გავიდა ორი წელი და სახელმწიფო ინსპექცია კვლავ დაინტერესდა მცხეთის ფაბრიკით. შემოწმებული იქნა 27.400 ცალი კოლოფი. არც ერთი მათგანი არ შეეფარდებოდა სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. თითქმის ორ წელს კი არა, ორ დღესაც არ გაუვლიაო, ისე ზედმიწევნით უცვლელად იყო ყველაფერი დარჩენილი. კვლავ დაიწერა აქტები, მოხსენებითი ბარათები, მაგრამ ყველაფერი ეს ისევ ქაღალდზე დარჩა.

რატომ არ ვარგა მცხეთის ასანთი? იმიტომ, რომ ფაბრიკის დაზგა-დანადგარები დრომოჭმული და გაცვეთილია, საწარმოო მოედანი ვერ აკმაყოფილებს ტექნიკური პროცესების ნორმალურად წარმართვას. საქმის გამოსწორება სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო. ეს არ მოხდა და ფაბრიკა კვლავ ძველ გზას ადგას. გამოდის, რომ თავს ვიტყუებთ, ვიცით რომ წუნია, მაგრამ მაინც ვაჩეჩებთ ხელში მომხმარებელს, ჩვენ ორიგინალობას როდი ვიჩემებთ. ზუსტად ასეთი აზრი ჰქონდათ საქართველოს ვაჭრობის სამინისტროში, მაგრამ მაინც არაფერი განახორციელეს.

სავაჭრო ორგანიზაციებს აეკრძალათ ამა თუ იმ საწარმოთა პროდუქციის მიღებაო, ხშირად ვკითხულობთ ვაჭრობის სამინისტროს დადგენილებებში, მაგრამ განა ეს შველის საქმეს! თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკას" გამოშვებული პროდუქცია ამასწინათ შეამოწმა სახელმწიფო ინსპექციამ. პროდუქციის 37574 პირობით ერთეულიდან 20140 ერთეული ე. ი. 80,2 პროცენტი არ პასუხობდა სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს, დარღვეული იყო ქსოვილის სიმჭიდროვე, ყოველ ათ კვადრატულ სანტიმეტრში მისაქსელს აკლდა 20-20 ძაფი... ფაბრიკას აეკრძალა ამ პროდუქციის გამოშვება. ეს იყო და ეს.

როგორც ჩანს, სათანადოდ არ სთხოვენ პასუხს, ვისაც ჯერ არს, თორემ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი 1005 მეტრ წუნდებულ ქსოვილს როდი გამოუშვებდა!

ერთი ცოდვაა, რომ წარმოება უხარისხო პროდუქციას უშვებს, მეორე კი, როცა წუნი ბაზარზე საგზურებს იღებს. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სავაჭრო ნაწარმს მომხმარებელი ახლოსაც არ ეკარება. უხარისხო მოპირკეთებამ და სხვა ნაკლოვანებებმა სახელი გაუტეხეს მევავეჯეებს. სავაჭრო ორგანიზაციები ერიდებიან ამ პროდუქციას და ხშირად საჭირო ხდება საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხის დამამუშავებელი, ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსის შ. ლასურაშვილის ხვეწნა-მუდარა, არ დაგვღუპოთ, მიიღეთ ჩვენი საქონელი სარეალიზაციოდო.

იშვიათად როდია, როცა წუნდებული პროდუქცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადის. მაგალითად, ვორონეჟში, „როსგალანტერეის" ბაზამ სასაქონლო ექსპერტიზის ბიურომ დაიწუნა თბილისის სუვენირებისა და მხატვრულ ნაკეთობათა ფაბრიკის საქონელი. ლაპარაკია ორასამდე კაპრონის ყელსახვევზე. მიზეზები სხვადასხვანაირი იყო: აკლდა ზომა, უხარისხოდ იყო დამუშავებული კიდურები. საინტერესო ის არის, რომ, სანამ ვორონეჟში მოხვდებოდა, საქონელს მთელი რიგი საფეხურები უნდა გაევლო, მაგრამ, როგორც ჩანს, ხარისხი ყველგან თვალდახუჭულებს შეუმოწმებიათ, თორემ შეატყობდნენ — ზოგი მაინც ისეთი იყო იმ ყელსახვევთა შორის, უნდა გაგეკრა ასანთი (ოღონდ არა მცხეთის) და წაგეკიდებინა ცეცხლი.

ძნელია სუვენირებად და მხატვრულ ნაკეთობებად ჩათვალო ფაბრიკის მიერ გამოშვებული სუფრები, თავსაფარები. ნაწარმი არაესთეტიკურია, აქვს მრავალი ნაკლოვანება. ტექნიკური კონტროლის განყოფილება კი ასეთ ნაცოდვილარ საქონელს ფართოდ უხსნის გზას. ფაბრიკის ხელმძღვანელები ყოველივე ამას გულდამშვიდებით შესცქერიან.

ყოველივე ეს შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ.

**ოთარ მაისურაძე**



## სიმღერის სათავე

**ილია აროსია**

ხსოვნის გარეშე დღე ხომ არ არის,
მიტომ გირჩია სიცოცხლის წუთმაც:
— უნდა გიყვარდეს სიტყვა ალალი
და მთელ ქვეყანას სიმართლე უთხრა;

გლეხის მარჯვენას ეთაყვანები,
გულიც რომ დაგაქვს მინდვრად გლეხური,
და როგორც წმინდად ელავს ყანები,
ნამუსის ქუდიც წმინდად გეხუროს!

ასე მკარნახობს ჩემი კალამიც,
დაუზარელი სულის ხატება
და გაიხსნება გზა უკვალავი, —
დღის ხვალინდელის გამონათება.

თითქოს სიმინდი სულში შრიალებს
აქოჩრილი და... ხან ნამიანი,
და სისხამ დილით ხელს რომ შეავლებ,
თითქო სუნთქავსო ადამიანი.

გამახსენდება: ვხნავდი, ვთესავდი,
მწვავდა მინდვრების გამოღვიძება,
ამ ალტაცებას მე იმ თვეს ვადრი,
რომელიც სიბრძნის ნაყოფს იძლევა.

კვლავ მზეს ვიფიცავ ჩემივე სოფლის,
ჩემი სოფლის და მისი მთა-ბარის,
მე მის მიწაზე მიღვრია ოფლი,
მკერდს რომ აანთებს იმ სხივთაგანი.

მიღვრია ოფლი — მშვენებად სოფლის...
ასე ალაღებს ჩემს სულს კალამიც:
წადილი გწვავს და გმირობად გყოფნის —
წმინდა სურვილებს გზებს უკვალავდე!

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი

# პასტერნაკი და ქართული პოეზია

ბორის პასტერნაკი ერთი იმ რუს საბჭოთა პოეტთაგანია, რომელიც თავისი ცხოვრებითა და პოეზიით მჭიდროთ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, ქართულ პოეზიასთან. იგი მეგობრობდა და ახლო ურთიერთობაში იყო ბევრ ქართველ პოეტთან, ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში; მან მრავალი ორიგინალური, გულთბილი ლექსი უძღვნა ჩვენს ქვეყანას; მასვე ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის, ვაჟას და აკაკის, აგრეთვე თანამედროვე ქართველი პოეტების ნაწარმოებთა მშვენიერი თარგმანები, რომლებმაც მსოფლიოში კიდევ უფრო გაუთქვეს სახელი დიდ ქართულ პოეზიას.

პირველი და ძირითადი ფაქტორი, რამაც განაპირობა ბ. პასტერნაკის (ისევე, როგორც ნ. ტიხონოვის, ნ. ზაბოლოცკის და სხვათა) „ქართული ლექსების“ წარმატება, მათი თარგმანების წარმატება — იდეური ბაზისი. რამაც, საერთოდ შესაძლებელი გახადა ეს თარგმანები და ახალ, ძმურ, თანაბარ საწყისებს დააფუძნა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, იყო საბჭოთა ეპოქის უდიდესი მონაპოვარი—ჩვენი ხალხების ლენინური თანამეგობრობა, ყოვლისშემძლე საბჭოთა პატრიოტიზმი; სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდა ნ. ტიხონოვი 1936 წლის თებერვალში; იგი აღნიშნავდა: „ქართველ პოეტებს ჩვენ ახლა გულითადი ძმებივით ვხვდებით, ოქტომბრის რევოლუციამ დაანგრია ის კედელი, რომელიც ცარიზმის მიერ იყო აღმართული. საქართველოს დიდი პოეზია დღეს საბჭოთა კულტურის საერთო საგანძურში შედის“.

საქართველომ, მისმა ხალხმა, მისმა ბუნებამ პასტერნაკის პოეზიაში წარუშლელი კვალი დასტოვა. უნდა წაიკითხოთ რუსეთიდან მოწერილი მისი წერილები, რომ დაინახოთ რა უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია ქართულ ბუნებას გამოჩენილ რუს პოეტზე, რა სულის სიმებს შეხებია მისას და აუღერებია: ურალში მყოფი პოეტი იგონებს 1933 წელს საქართველოში გატარებულ დღეებს და აღნიშნავს:

„საოცარია, ძლივს მოვასწარით აქ დამკვიდრება, რომ ხელახლა დაგვეწყო განცდა თქვენთან ერთად გატარებული ზაფხულისა, ჯერ არ დამმართნია, რომ ასე დიდხანს გამომყოლოდა და არ მომშვებოდა ძველი მოგონებანი. ჩვენ ბუნებას არ ვუდარებდით ერთმანეთს. ჩვენ წინასწარ, თითქოს მოლაპარაკებული ვიყავით, ერთხმად მოგვაგონდა კოჯორი და ისევ მოგვეძალა თბილისის, ოქროყანის, ქობულეთის, წაღვერისა და ბაკურიანის მოგონებანი“.

შემდეგ პასტერნაკი განაგრძობს:

„ეს არ არის მხოლოდ სამხრეთი და კავკასია, ე. ი. მარად უკიდეგანო და მარად სულისშემძრავი სილამაზე. ეს რაღაც სულ სხვაა, უფრო მეტი და მთელი ქვეყნიერების ზურგზე სანთლით საძებარი... სწორედ ასეთნაირად შევიგრძენით ჩვენ ახლა საქართველო და ხელახლა განგვაცვიფრა თქვენთან ერთად განცდილმა და თავს გადახდენილმა, ვითარცა ლეგენდამ და წარმოუდგენელმა საოცრებამ“.

ასეთი გულწრფელობითა და გულახდილობით აღსავსე წერილი გამოუგზავნა პასტერნაკმა პაოლო იაშვილს. განსაკუთრებული ადგილი ბ. პასტერნაკის შთაბეჭდილებებში უჭირავს თბილისს. იმავე წერილში ვკითხულობთ: „ახლა მივხვდი, რომ ურალში თურმე თბილისის გულისათვის ჩამოვედი... მე მადლობით ვიგონებ თბილისს და იმასაც ისე ვნატრულობ, როგორც საკუთარსა და ლვიძლს... ეს ქალაქი და ყოველივე რაც კი მე იქ ვიხილე, ჩემთვის იგივე იქნება, რაც იყო შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია და რილკე — ერთ-ერთი თავი ჩემთვის სამუდამოდ, მთელი სიცოცხლის მანძილზე მონიჭებული მფარველი გულისა“.

„რაც არ უნდა ჩავიფიქრო, მე საქართველოს გვერდს ვერ ავუვლი ჩემს მომავალ მუშაობაში და ყოველივე ეს (სახელდობრ რა—ახლა ამის განსაზღვრა მეძნელება) თქვენი განსაცვიფრებელი სამშობლოს გარშემო შემოიჯარება, როგორც რუსული ნაწილი ჩემი ცხოვრებისა შემოკრებილია მოსკოვის გარშემო“, წერდა პასტერნაკი ქართველ მეგობრებს. მართლაც, ყოველივე ეს, რის შესახებაც ლაპარაკია ბ. პასტერნაკის წერილებში, შემდგომ გადავიდა მის პოეზიაში და განსახიერებულ იქნა მშვენიერ ლექსებად.

1931-1936 წლებში ბ. პასტერნაკმა გამოაქვეყნა ლექსების მთელი ციკლი, მიძღვნილი საქართველოსადმი. ამ ლექსებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ბუნებას, რაც პოეტისათვის მხოლოდ ეგზოტიკური სიუცხოვისა და დატკბობის საგანი არ არის. ჩვენი მყინვარი და ზღვა, ჩვენი ტყეები და მდინარეები, მთა-გორაკები, მათზე შემორჩენილი ციხე-კოშკების ნანგრევებით პასტერნაკისათვის არის ნაწილი და წიბო ქართველი კაცის არსებობისა, ბუნება პასტერნაკისათვის, ისევე როგორც ნ. ბარათაშვილისათვის, რაღაც იდუმალის მაცნე-მაუწყებელია, რომელიც ერთი წუთით დატკბობისათვის როდი ეძლევა ადამიანს.

ბორის პასეტრნაკი ამ ლექსებში პოეტი წარმოგვიდგება როგორც ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომღერალი. ამ წანამძღვრებიდან გამომდინარე ხატავს იგი თავისი ქართველი მეგობრების — პაოლოსა და ტიციანის სახეებს. პ. იაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი ღრმა პატივისცემის გრძნობითა დაწერილი და ამ ჭეშმარიტად შესანიშნავი პოეტისა და ადამიანის შინაგან ბუნებას სრულად გადმოგვცემს:

არ მინდა ხსოვნა იმ ნეტარ დღეთა  
გადავიწყების წყალს გავაყოლო,  
ნეტავი ისევ გვამყოფა ერთად,  
რომ გადაგვხვიოთ ხელი, ბათლო.

თქვენი ხმა ამო, არ მოსაწყენი  
ველზე ტკბილ წყაროდ მოწანწკარებდა,  
მიწა მოხნული იწვა ჩემს წინა  
ჯერ დაუწერელ ლექსთა ბწკარედად.

პოეტი მგზნებარე სტრიქონებს უძღვნის თბილისს. იგი თბილისს უცქერის სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვა რაკურსით, ზამთარსა და ზაფხულში, განიცდის მის შუქჩრდილთა თამაშს. მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასია მისთვის ჩვენი მამადავითის მთა, რომელსაც იგი ხშირად იხსენიებს თავის ლექსებში.

ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული პოეზიის რუსულ ენაზე თარგმნის დიდ წარმატებაში, უნდა მივიჩნიოთ რუსი პოეტების ცოცხალი კონტაქტი ქართველ პოეტებთან, ის, რომ რუს მთარგმნელებს და ქართველ პოეტებს ჰქონდათ საშუალება ერთად ემუშავათ მშვენივრად შედგენილ ბწკარედებზე და ტრანსკრიპცირებულ ტექსტებზე.

1933 წლის ნოემბერში საქართველოში ჩამოვიდა რუს მწერალთა და პოეტთა დიდი ჯგუფი. ეს ჯგუფი საბჭოთა მწერლობის პირველი ყრილობის მოსამზადებლად, ქართველი მწერლებისათვის დახმარების გასაწევად იყო მოწოდებული და მან საფუძველი ჩაუყარა 30-იან წლებში ქართული პოეზიის რუსულ ენაზე გადათარგმნის საქმეს.

ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ნ. ტიხონოვი და ბ. პასტერნაკი, რომლებიც თბილისში გაეცვნენ და უფრო ახლო დაუახლოვდნენ ქართველ პოეტებს: მათ აქ მიიღეს პირველი ბწკარედები და პირველი რჩევა-დარიგებანი ქართველი კოლეგებისაგან.

როგორც ირკვევა, ბ. პასტერნაკს ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე მიუყვია ხელი ქართული პოეზიის თარგმნისათვის.

1933 წლის 23 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში იგი წერს ტიციანს: „მე მინდოდა მეთარგმნა ვაჟა-ფშაველას, თქვენი, პაოლოს, გაფრინდაშვილის, ლეონიძის, ნადირაძის, მიწიშვილის ლექსები, აგრეთვე მომეცა გალაკტიონ ტაბიძისა და გრიშაშვილის თარგმანების ნიმუშები. გარდა ამისა, პაოლომ მირჩია დამემატებინა ამათთვის შანშიაშვილი, აბაშელი, ლორთქიფანიძე, კალაძე და მაშაშვილი. მათ სასწრაფოდ უნდა მომაწოდონ ბწკარედები. ყოველივე ეს უნდა მქონდეს ხელთ ნოემბრის თვეში. გთხოვთ დამეხმაროთ ბწკარედის მიღებაში, მაგრამ მხოლოდ იმ პოეტებისაგან, რომლებიც მონდომებითა და სიამოვნებით მოეკიდებიან ამ საქმეს“.

გარდა ბწკარედისა, ბ. პასტერნაკი თხოვს ტიციანს ე. წ. ტრანსკრიპციებს— ლათინური ასოებით დაწერილ ქართულ ტექსტებს მახვილთა განაწილების აღნიშვნით... „თქვენ იცით, როგორი სახის ბწკარედები მესაჭიროება. თუმცა ქართულში მახვილი არ არის, მაინც ჩემი დიდი თხოვნა იქნებოდა, პირობითად მაინც აღგენიშნათ, როგორ იკითხება ესა თუ ის ლექსი“.

რუსმა მთარგმნელებმა, პირველ რიგში ბ. პასტერნაკმა და ნ. ტიხონოვმა, მიიღეს შესანიშნავი ბწკარედები და უაღრესად ზუსტი ტრანსკრიპციები, რომლებიც მათ აძლევდა, ერთი მხრივ მეტრისა და საზომის განსაზღვრას, ხოლო მეორე მხრივ — ქართული ბგერწერის რუსულად გადატანის საშუალებას. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა ქართველ პოეტთა მონაწილეობა ამ საქმეში. თვით საუკეთესო ბწკარედებისა და ტრანსკრიპციების შემდეგაც რუსი პოეტებისთვის, რომელთაც, როგორც წესი, — არ იცოდნენ ქართული ენა (ცოტა გაეგებოდა ბ. ლივშიცს) რჩებოდა ბევრი გაუგებარი ადგილი ქართულ ტექსტში — დაკავშირებული ქართულ რეალიებთან, ადათებთან, გეოგრაფიულ სახელებთან, თვით ქართული ორიგინალის მხატვრულ სახეებთანაც.

და, აი, ამ ტექსტების კომენტარებში მიდიოდა დიდი დრო, როგორც თბილისში, როცა აქ სპეციალურად ჩამოდიოდნენ რუსი პოეტები, ასევე ლენინგრადშიც და მოსკოვში, სადაც უხდებოდათ ყოფნა ქართველ პოეტებს.

ერთ წერილში ბ. პასტერნაკი ატყობინებს ტ. ტაბიძეს, რომ იგი სარგებლობს პ. იაშვილის ყოფნით ლენინგრადში და თხოვს მას კომენტარებს და ახსნა-განმარტებებს: „პაოლო ძალზე დაკავებული იყო და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მომაწოდა იმისა, რაც მე ვთხოვე. იგი შეუდგა ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ პროზაულ თარგმნას, მაგრამ ბოლომდე მიუყვანა ველარ შე-

ძლო. იმის გარდა, რაც მე ჟღენტს გავუგზავნე, პაოლოსაგან ვერაფრის მიღება ვერ შევძელი და არც ვამტყუნებ, პაოლო ისე იყო რიონჰესის საქმეებით დატვირთული".

ბწკარედების კომენტარებისა და რუსი მთარგმნელებისათვის გაურკვეველი, საძნელო ადგილების ახსნა-განმარტებაში, ქართველი პოეტების გარდა, დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ სხვა ქართველი ლიტერატორები, კერძოდ ტიციანის მეუღლე ნინო ტაბიძე, მაშინ ლენინგრადს მცხოვრები ლ. ვირსალაძე, ცნობილი ქართველი კრიტიკოსი ბესო ჟღენტი, რომელიც ორჯერ იხსენიება, პასტერნაკის წერილებში. ჯერ კიდევ 1933 წლის ოქტომბერში, ლენინგრადში იგი აძლევს ტ. ტაბიძის ლექსების კომენტარებს ბორის პასტერნაკს.

ბ. პასტერნაკი წერს ტ. ტაბიძეს: „თქვენი ლექსები აქ ძლიერ მოეწონათ და „გოდ XVI " № 3-ში იბეჭდება. პაოლოს ლექსები ჯერ არ მიმიცია, ხვალ ჩავაბარებ — ველარ დაველოდები მის განმარტებებს ერთი-ორი ბუნდოვანი ადგილის შესახებ, რომლებიც მთლად ვერ გავარკვიე. გუშინ და დღეს ვერაფრით ვერ დავიჭირე იგი ტელეფონით და ეგება ჟღენტი მოვნახო და ეს ლექსები რედაქციას გაურკვეველი ადგილებითაც მივცე, გასწორება ანაბეჭდებშიც შეიძლება. თუ ჟღენტი ნახოთ, გადაეცით, რომ შესაძლოა კორექტურა დამჭირდეს".

ბ. პასტერნაკის თარგმანები მიიღო და შეიყვარა საბჭოთა მკითხველმა. 1935 წლის დასაწყისში „ლიტერატურნაია გაზეტაში" დაიბეჭდა დ. მირსკის სტატია „ბ. პასტერნაკი და ქართველი პოეტები". დ. მირსკი ადარებს ერთმანეთს ნ. ტიხონოვისა და ბ. პასტერნაკის თარგმანებს ს. ჩიქოვანის ლექსებისა და ასკვნის, რომ „ჩიქოვანის ინდივიდუალურობა კარგადაა შენარჩუნებული როგორც ერთის, ისე მეორის თარგმანებში!" ასეთსავე დასკვნამდის მიდის დ. მირსკი, როცა ადარებს გ. ლეონიძის ლექსების პასტერნაკისეულ და ტიხონოვისეულ თარგმანებს.

მთარგმნელთა პირველ საკავშირო თათბირზე 1936 წელს ვ. გაფრინდაშვილი განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა ნ. ტიხონოვისა და ბ. ბასტერნაკის თარგმანებზე; ვ. გაფრინდაშვილი დაწვრილებით ლაპარაკობს ბ. პასტერნაკის მუშაობის იმ საოცარ მეთოდსა და უნარზე, რომელიც ერთიდაიმავე დროს ლექსს უნარჩუნებს ქართულის ყოველგვარ სპეციფიკას და კოლორიტს და, ამავე დროს, ახერხებს საკუთარ, ჭეშმარიტ პასტერნაკისეულ პოეზიადაც აღაქმევინოს იგი მკითხველს. ვ. გაფრინდაშვილი აღნიშნავს, რომ ბ. პასტერნაკის შესწორებანი თითქმის არსად არ არღვევს ორიგინალის სულს. ხოლო თუ სადმე ბ. პასტერნაკი მცირეოდენ გადაუხვევს ორიგინალის ტექსტს, ასეთი „კორექტივების" გარეშე ხომ, საერთოდ, წარმოუდგენელია ჭეშმარიტი შემოქმედებითი მუშაობა. ვ. გაფრინდაშვილი მიუთითებს იმასაც, რომ ბ. პასტერნაკი მართალია, ხან განავრცობს და ხან ამოკლებს ორიგინალის ტექსტს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთარგმნელი ლაღად და უპატიოდ ექცეოდეს ორიგინალს.

ვ. გაფრინდაშვილის აზრით, პასტერნაკი საოცრად უხამებს რუსულ ფორმას ქართულ შინაარსს, ისე რომ, თვით ქართველი პოეტიც კი ზოგჯერ გაოცებული რჩება. „პასტერნაკი წერს არა ასლს, არამედ პორტრეტს ორიგინალისას. თქვენ შეჰყურებთ საკუთარ ორეულს და გაოცებული ხართ".

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ბ. პასტერნაკის მიერ ვ. გაფრინდაშვილის ლექსის ბრწყინვალე თარგმანისა; აქ ავტორის სახეების მთელი სიღრმისეული პლასტები თარგმანში შესანიშნავად არის გადატანილი.

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კვლავ ლექსის წერა,
მსურს დავიფერფლო ვით ცეცხლი წმინდა
და ეს იქნება გედის სიმღერა.

ეს სტრიქონები ბ. პასტერნაკს ასე უთარგმნია:

Всегда мечтал: скажусь в строфе,
Да так, что словно душу выну;
Она, как дым аутодафе,
Мне станет песнью лебединой.

**«Дым аутодафе»** — ბ. პასტერნაკის ეს ბრწყინვალე სახე — მხოლოდ ქართული სახის განვითარებაა.

თუ რაოდენ პატივს სცემდა რუსი პოეტი გ. ლეონიძის ჭეშმარიტი ქართული თვითმყოფობით აღბეჭდილ პოეზიას, ამის საილუსტრაციოდ კმარა ბ. პასტერნაკის ქვემოთმოტანილი სტრიქონები, რომლებიც მას მიუწერია ტ. ტაბიძისათვის 1938 წელს, გ. ლეონიძის პოეზიის პირველ გაცნობისთანავე.

„გთხოვთ ჩემი მოკითხვა გადასცეთ ლეონიძეს და მის პოეზიას, რომელთაც მე დაბლა ვუკრავ თავს და თაყვანს ვცემ მდაბალი სალამით, — აგრეთვე მის მეუღლეს, მის მომავალს და მის სახლ-კარს. უფრო დაწვრილებით შემიძლია მოგახსენოთ: — მე ვეთაყვანები იმ სიყრმისეული ცეცხლის ნაპერწკლებს, რომლებიც მის ხელებს და მის ხელნაწერებს ელვასავით გაჰკრავს და მისი სულიდან მის პატარებს გადაეფინება თავზე".

საერთოდ პასტერნაკი, თავის თარგმანებში არსად არ არღვევს ქართული ლექსის საერთო რეალისტურ კოლორიტს, გადმოგვცემს მის სულს, პოეტის სახეთა მთელ სისტემას.

მანუჩარ ანთაძე




მოსალოდნელი ამინდი — აცხადებს დიქტორი, — ცვალებადი მოღრუბლულობა, ზომიერი ძლიერამდე ქარი.

ჩვენში, პრესაშიც და უბრალო საუბარშიც ხშირად გამოუთქვამთ აზრი, რომ ეს არ არის სწორი ქართული. მართლაც, დავუფიქრდეთ: გასაგებია, რის თქმა უნდათ ამინდის ბიუროს მუშაკებს — ქარი ზომიერი იქნება, თუმცა ცოტათი უფრო მაგრად დაუბერავსო. მაგრამ რაკი-ღა ზუსტი ფორმულა გვინდა, სწორი ქართულით ეს ასე უნდა ითქვას: „ზომიერი, თითქმის ძლიერი ქარი".

„ცვალებად მოღრუბლულობას" კი დასაწუნი არაფერი აქვს; იმ შინაარსის გამოსახატავად, რასაც ის გადმოსცემს, უკეთესს ვერაფრით ვერ მოძებნი, ისევე როგორც ვერ მოძებნეს იგი ვერც რუსულმა, ვერც გერმანულმა და ვერც ინგლისურმა ენებმა — ყველგან მიიღეს ეს ტერმინი — **Переменная облачность, Wechselnde Bewölkung, Variable clouds.**

და რაც მთავარია, ქართულადაც ძალიან ზუსტია და ცუდად არ ჟღერს.

ვინ მოსთვლის რამდენია ასეთი გადაუჭრელი და სადავო საკითხი ჩვენს ენაში. სწორედ ამიტომ მკითხველი არ შეიძლება სიხარულით არ შეხვდეს ვ. თოფურიას ახალ წიგნს „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი" („ნაკადულის" გამოცემა). თუ რაოდენად აქტუალურ საკითხებს აღძრავს ეს მცირე მოცულობის ნაშრომი, ეს ჩანს თვით ქვესათაურების უბრალო ჩამოთვლითაც კი; აი ეს საკითხებიც: „ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა", „ქართული ენის ძეგლები", „ქართული ლიტერატურული ენის განვითარების მოკლე მიმოხილვა", „ქართული ენა ჩვენი დედაენაა", „ქართული ენის გავრცელებულობა", „ქართული სახელმწიფო ენაა", „ლიტერატურული ენის ნორმათა დარღვევის მიზეზები", „ზმნის სადავო საკითხები", „როგორ უნდა გადმოიცეს ნასესხები და საკუთარი სახელები" და სხვ.

წიგნის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ყოველი დებულება თუ მოსაზრება აქ ილუსტრირებულია და დასაბუთებულია ცოცხალი ნიმუშებით. კერძოდ აღსანიშნავია, რომ ავტორს მოტანილი აქვს მაგალითები იმისა, თუ როგორ არ უნდა ვწეროთ და როგორ არ უნდა ვილაპარაკოთ, ე. ი. აქ წარმოდგენილია რამდენიმე ნიმუში უსწორო და უკანონო გამოთქმებისა.

ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ამგვარ მეთოდსა თუ ხერხს ხშირად კარგი შედეგი მოუტანია. მკითხველს აქ ჩვენ გვინდა გავახსენოთ ერთი ასეთი ამბავი. ამ ხუთიოდე წლის წინ გაზეთებში ხშირად გვხვდებოდა ფრაზა: „რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში მყოფი სიმინდი". მაგრამ საკმარისი იყო ერთი გაზეთის იუმორისტული რეპლიკა. იმის თაობაზე, რომ ეს ექვსსართულიანი კალკა ძალზე უკანონო და უხეიროა და რომ ქართულად გვაქვს შესანიშნავი ფორმა — ჰყინტი სიმინდი, და ამის შემდეგ ზემოთმოყვანილი უკანონო გამოთქმა გაქრა გაზეთების ფურცლებიდან.

ასეთი მაგალითები წიგნის ავტორსაც მოაქვს და ამასთან განმარტავს იმასაც, თუ როგორი უნდა იყოს სწორი გამოთქმა.

გადაჭარბებულ და წრეგადასულ პურიზმს სარგებლობა არავისთვის არ მოუტანია. არის საერთაშორისო ცნებები და ტერმინები, რომლებიც დამკვიდრებულია ყველა ენაში და ქართულშიც მათ მტკიცედ და სამუდამოდ მოიკიდეს ფეხი. მაგრამ ხანდახან, როცა შესაძლებელია და როცა შესატყვისი გვაქვს, მაშინ რატომ არ უნდა მოვერიდოთ უცხო სიტყვას. ასე, მაგალითად, ხშირად ამბობენ: „ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ხუთი ახალი სახლი საექსპლოატაციოდ გადაეცა". ექსპლოატაცია აქ ნიშნავს ხმარებას, მოხმარებას. მაშ რაღა საჭიროა ეს გაბრტყელებული და გრძელი „ექსპლოატაცია"?! სახლი გადაეცა სახმარებლად, მოსახმარებლად, საცხოვრებლად.

უკანონო და ქართულისათვის შეუფერებელი ფორმაა — ჰეგელთან, გერცენთან, ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა-ფშაველასთან... „ჰეგელთან ეს საკითხი სხვაგვარად დგას", „ჰეგელთან ვკითხულობთ". ისე გამოდის, თითქოს ვზივართ ჰეგელთან, ერთ ოთახში და ვკითხულობთ რამეს. კარგი, ვთქვათ, ესეც არაფერი, მკითხველი კონტექსტით მიხვდება და ასეთ უაზრობას არ იფიქრებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქართული ენის ბუნებას ეს არ შეჰფერის.

წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე უახლოეს ხანში დამზადდება მართლწერის სხვადასხვა სახელმძღვანელო და ორთოგრაფიული ლექსიკონი. ამგვარი ლექსიკონის უქონლობა მეტად აძნელებს ენის სიწმინდისათვის ბრძოლას. ამიტომ ჩვენი მკითხველი მოუთმენლად მოელის ორთოგრაფიულ ლექსიკონსაც და სახელმწიფო კომისიის დადგენილებებსაც ენის სადაო საკითხების თაობაზე.

თ. ძიძიგური



# თვალი პატიოსანი

ნამდვილი ამბავი

ოთარ დემეტრაშვილი

მხატ. დ. ერისთავი

## ხუთი ბრილიანტი

მიხეილ სეგედა გაოგნებული და ფერდაკარგული იჯდა სავარძელში, ორივე ხელი მიტყეპებულ მუხლისთავებზე დაებჯინა და მთრთოლვარე ხმით აძლევდა ჩვენებას პოლკოვნიკ ვლადიმერ ალხიმოვს.

— თქვენ მეკითხებით საიდან ვიცნობდი გოდერძი იაშვილს? მე მას არ ვიცნობდი.

პირველად ის თხუთმეტ სექტემბერს ვნახე. ღამის პირველი საათი სრულდებოდა. მეზღვაურთა კლუბიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი. ის იყო ვივახშმე და დასაწოლად ვემზადებოდი, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

ოთახში უცნობი კაცი შემოვიდა. ჭაღარა იყო, უკვე შუახანს მიტანებული. გამეცნო, გოდერძი იაშვილი ვარო, მითხრა და მერე დაუმატა — ახლახან ჩამოვედი აღმოსავლეთ ციმბირიდანო. ვკითხე რა გნებავთ-მეთქი ჩემგან, მან პასუხის ნაცვლად უხმოდ გამომიწოდა ოთხად მოკეცილი წერილი — ყველაფერს მაინდან გაიგებო.

სწრაფად ჩავიკითხე. ბარათი ჩემი ძველი მეგობრის — ივანე სოკოლოვსკის ხელით იყო დაწერილი. ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა სოკოლოვსკი ვალუტით ვაჭრობისათვის დააპატიმრეს. სასჯელი რომ მოიხადა, ციმბირში დარჩენა გადაწყვიტა. მერე, იმასაც მოვკარი ყური, რომ ივანემ პატიმართა კოლონიის უფროსის შინაბერა ქალიშვილი შეირთო, სახლიც აიშენა და რაღაც ძალზე სარფიან საქმეს მიჰყო ხელი.

„ამ ბარათის მომტანი გოდერძი იაშვილი სანდო ადამიანია, — წერდა სოკოლოვსკი. იგი ციმბირიდან ბათუმში გადადის საცხოვრებლად. ოდესაზე გაივლის, გინახულებს და ორიოდე სათამაშოს გიჩვენებს. დარწმუნებული ვარ, რომ სათამაშოები ძალიან მოგეწონება. ძვირს არ დაგიფასებს, თუ შეთანხმდებით, მალევე მაცნობე, და კიდევ შევეცდები ახალი საჩუქრები გამოგიგზავნო“.

სოკოლოვსკის კარგად ვიცნობდი და მივხვდი რა სათამაშოებს ჩამოიტანდა მისი გამოგზავნილი კაცი. მართლაც, სხვადასხვა ზომის ხუთი ბრილიანტი, გოდერძი იაშვილმა უხმოდ რომ დაალაგა მაგიდაზე, ბუნების იშვიათი საჩუქრები იყო. მათმა ელვარებამ უმალ მომჭრა თვალი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე არ ავჩქარებულიყავ. მაშინვე გამადიდებელი შუშა გადმოვიღე და გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს მინერალები საუკეთესო ხარისხისა იყო.

ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ორმა, ოც-ოც კარატიანმა ბრილიანტმა მიიპყრო. ალბათ დამეთანხმებით, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმის გაგებას, თუ რა ოინების წყალობით გახდა გოდერძი იაშვილი ასეთი აურაცხელი სიმდიდრის პატრონი. მთავარი ახლა ის იყო, რაც შეიძლება იაფად ჩამეგდო ხელში ეს ბრილიანტები.

ჩვენი ვაჭრობა გათენებამდე გაგრძელდა. გოდერძიმ, თავიდანვე ვიგრძენი, კარგად იცოდა თვითეული ბრილიანტის ფასი. ამ ლაპარაკში ისიც გავიგე, რომ გოდერძი თექვსმეტ სექტემბერს ოდესიდან გემით აპირებდა ბათუმში გამგზავრებას. უმალ გადავწყვიტე, აქ თუ ვერ დავითანხმებდი, თან გავყოლოდი. მეზღვაურთა კლუბში, სადაც ბუღალტრად ვმუშაობდი, მეორე დღეს მივედი და ვთქვი — ბათუმში ახლობელი ნათესავი გარდამეცვალა, და ორიოდე დღით უნდა გამანთავისუფლოთ-მეთქი. ამის ნებართვა რომ მივიღე, გოდერძის კვალდაკვალ ბათუმში გამგზავრების თადარიგს შევუდექი.

ჩემი გეგმა მარტივი იყო: ვიდრე გემი ბათუმში ჩავიდოდა, იმედი მქონდა, საშუალება მომეცემოდა გოდერძისთან თავისუფლად გამეგრძელებინა ვაჭრობა. იმ შემთხვევაში, თუ ინჟინერი ძველებურად გაჯიქდებოდა, წავიდოდი დათმობაზე, მივცემდი გოდერძის დასახელებულ თანხას და ხელში ჩავიგდებდი ხუთ პატიოსან თვალს, რომლებმაც დანახვის შემდეგ მოსვენება დამიკარგეს.

გოდერძისთან გემზე მხოლოდ ორჯერ მოვახერხე შეხვედრა. პირველად კვლავ არაფერი გამოვიდა, ვერ შევთანხმდით. სევასტოპოლს რომ მივაღწიეთ, გადავწყვიტე კვლავ მეცადა ბედი — მეორედ შევაღე გოდერძის ლუქსის კარი.

ჩემი ახალი ნაცნობი, როგორც იცით, კარიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ეგდო. მუცელში დანაჩაცემული კაცის დანახვამ თავზარი დამცა. მაშინვე ელვასავით გაიარა აზრმა, ვაითუ ეჭვი ჩემზე მოიტანონ-მეთქი. მით უმეტეს, რომ ბრილიანტების შესაძენად ფული ბლომად მქონდა წამოღებული. ეჭვი რომ აეღოთ და გავეჩხრიკეთ, უმალ ნახავდნენ ტყავის ჩემოდანში დასტა-დასტა ჩალაგებულ ასმანეთიანებს და ორივე ფეხით გამაბამდნენ მახეში.

ერთხანს გაოგნებული ვიდექი ლუქსის გამოღებულ კართან, მერე ჩემს კაიუტაში შევბრუნდი, ჩემოდანში დაუყოვნებლივ ჩავტენე პიჟამო და ჩემს თანამგზავრს პროფესორ ლეონტიევს არც კი დავემშვიდობებივარ, ისე გადავედი ხმელეთზე.

სევასტოპოლში ჟინჟღლავდა. სწრაფად გამოვედი პორტიდან და ტაქსების გაჩერებასთან დავდექი. ის-ის იყო მანქანაში ვაპირებდი ჩაჯდომას, რომ ვიტრინის წინ ბეჭებში მოხრილი ალექსანდრე დამარაცკი დავინახე.

ალექსანდრე ჩემი ოდესელი კარის მეზობელი იყო. სევასტოპოლში სამსახურის საქმეზე ჩამოსულიყო. ვიდრე მანქანა სასტუმროში მიგვიყვანდა, ჩემი მეზობელი დაღვრემილი მიამბობდა, რომ მისი ახალი „ვოლგა“ წინა ღამეს თურმე გაზის მილების ჩასაწყობად ამოთხრილ ორმოში ჩავარდა, წინა ნაწილი დაუზიანდა და ახლა ვიღაც ნაცნობი ხელოსნის ეზოში იდგა შესაკეთებლად.

სასტუმროში დაბინავების შემდეგ დამარაცკიმ ტელეფონით დარეკა და შეიტყო, რომ მისი მანქანა უკვე შეეკეთებინათ. ამ ამბავმა ჩემი თანამგზავრი ძალიან გაახარა. მითხრა, რაღა გინდა სასტუმროში, გავიდეთ ქალაქში, მოვითავოთ საქმეები და მერე მანქანით ოდესაში წავიდეთო.

დამარაცკის აზრი მომეწონა. სასტუმროს მორიგეს სასწრაფოდ უკანვე გამოვართვი პასპორტი, ფულით სავსე ჩემოდანი ილლიაში ამოვიჩარე და ორივენი მანქანის გამოსაყვანად გავემართეთ, მერე ბენზინის მარაგი შევივსეთ და ოდესისაკენ მიმავალ გზას დავადექით.

სეგედა შეჩერდა, მოღლილი თვალები გაუსწორა პოლკოვნიკს და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ათრთოლებული ხმით დაამთავრა:

— პატივცემულო უფროსო, ვფიცავ ყველაფერს ქვეყანაზე, დამიჯერეთ, „ცისარტყელას“ გემბანზე მხოლოდ ბრილიანტების შესაძენად ავედი. იმ კაცის სიკვდილში კი არავითარი ბრალი არ მიმიძღვის.

* * *

მიხეილ სეგედა ოდესის განაპირა უბანში ცხოვრობდა. მისი ბინის გულმოდგინე გაჩხრეკის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ერთი შეხედვით ეს ვითომდა ხელმოკლე ადამიანი, თურმე ზღაპრული სიმდიდრის პატრონი იყო.

პოლკოვნიკმა ალხიმოვმა მალე დაადგინა, რომ მიხეილ სეგედა წლების მანძილზე ეშმაკურად აზერხებდა დაახლოებოდა უცხოეთიდან ჩამოსულ ტურისტებს და ვალიუტით ვაჭრობა გაეჩაღებინა.

ყველაფერი ეს ძიებისათვის უკვე ცხადი იყო, მაგრამ ისიც ცხადი გახდა, რომ სეგედა „ცისარტყელას“ გემბანზე მხოლოდ ბრილიანტების შესაძენად ავიდა და გოდერძი იაშვილი მას არ მოუკლავს.

ყოველივე ამის შესამოწმებლად პოლკოვნიკმა ალხიმოვმა კრიმინალისტურ ლაბორატორიას მიმართა. იქიდან დაუდასტურეს, რომ მკვლელის მიერ ლუქსში დატოვებული თითების ანაბეჭდი სრულიად არ ემთხვეოდა სეგედას თითების ანაბეჭდს.

მაშ ვინ იყო მკვლელი? „ცისარტყელას“ კაფეს ოფიციანტი იგორ ვიშნევსკი? მასზეც ხომ ეჭვი იყო მიტანილი?

გულმოდგინე შემოწმების შემდეგ არც ეს ვარაუდი აღმოჩნდა სწორი და მართებული. ყველაფრიდან ჩანდა, რომ გოდერძის მკვლელი ვიღაც ძალიან ოსტატურად შენიღბული პიროვნება იყო, რომელიც ვლასოვს მოხერხებულად გაუსხლტა ხელიდან, და ადვილი შესაძლებელია, საბოლოოდ აურია გზაკვალი ძიებას.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მკვლელი?

პოლკოვნიკს უცებ სეგედას ნათქვამი გაახსენდა, რომ იაშვილი აღმოსავლეთ ციმბირიდან, დაბა ვოლკოვოდან ჩამოვიდაო.

ეგებ იმ დაბაში იციან რამე? ეგებ ამ გზით აეხადოს ფარდა ამ სიბნელით მოცულ საქმეს?

* * *

ლეიტენანტი ბორის მაცენკო უმალ ციმბირში გაემგზავრა, მან ერთი კვირა დაჰყო ვოლკოვოში; ამ ხნის მანძილზე იგი ვინ მოსთვლის რამდენ კაცს შეხვდა, ყველას გამოჰკითხა, ვინც კი იაშვილს იცნობდა და სულ მალე ამ კაცის მთელი ცხოვრება, როგორც ხელის გულზე, ისე გადაეშალა თვალწინ.

გოდერძი იაშვილი ციმბირში ოცდაცხრა წლის წინათ ჩამოსულიყო. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის აქეთ, ვოლკოვოში გამოეგზავნათ სამუშაოდ. აღმოსავლეთ ციმბირის ამ რაი-

* იხ. „დროშა“, № 6, 7, 8.

# „დროება“ და მისი რედაქტორი

„ტანმორჩილი... მაგრამ ასხმული... ფართო სახე, დიდრონი მოცისფრო თვალები, შავი გრუზა თმა და მაღალი შუბლი, იმ დროის მოწინავე ახალგაზრდათა მოდისამებრ — „წვეროსანი“, ხშირი, თითქმის შეერთებული წარბები, რომელიც მრისხანებას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ არა: ამ ადამიანმა მშვენიერი ყმაწვილური სიცილი იცოდა; იმდენსა და ისე გულით იცინოდა, რომ თვალებში ცრემლი წამოუვიდოდა ხოლმე“.

ასეთი მკაფიო შტრიხებით მოხაზული პორტრეტით იწყებს იოსებ ბოცვაძე თავის მონოგრაფიას სერგეი მესხზე. ეს მართლაც დროული და საჭირო ნაშრომია — ის როლი, რომელიც გაზეთმა „დროებამ“ და სერგეი მესხმა შეასრულეს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და პრესის ისტორიაში — აუცილებლად მოითხოვდა გულმოდგინე შესწავლას.

ი. ბოცვაძის მონოგრაფია სწორედ ამ მიზანს ისახავს.

სერგეი მესხი ეკუთვნოდა იმ შესანიშნავ ადამიანთა პლეადას, რომელმაც მაღლა ასწია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. მკვლევარი მართებულად მიუთითებს იმ წყაროებს, საიდანაც სათავეს იღებს სერგეი მესხის მსოფლმხედველობა და გვიჩვენებს, რომ ამ შესანიშნავი ადამიანის ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი ჩამოყალიბდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურად გაგებისა და დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების ზეგავლენით.

1869 წლის აპრილში სერგეი მესხი სათავეში უდგება „დროებას“. ამ გაზეთს შესწირა მან მთელი თავისი ძალ-ღონე, უფრო მეტიც, მთელი თავისი სიცოცხლე. სერგეი მესხი და „დროება“ განუყრელია ერთი-მეორესაგან. თოთხმეტი წლის დაუცხრომელი და უზომო ჯაფის შედეგად იგი დაავადდა და გარდაიცვალა 1883 წლის 16 ივლისს, აბასთუმანში. ამ წლების მანძილზე გაზეთი შეეხო ყველა საჭირბოროტო საკითხს, რომელსაც საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება აყენებდა. ი. ბოცვაძის წიგნში საკმაოდ ვრცლადაა დახასიათებული ს. მესხის ეს მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

1873 წლის ივლისში სერგეი მესხი ევროპაში გაემგზავრა, ამ ხანებში „დროებას“ რიგრიგობით რედაქტორობდნენ ნ. ნიკოლაძე და კ. ლორთქიფანიძე. ს. მესხი გაეცნო ევროპის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას; აღსანიშნავია, რომ პარიზში იგი იმ დროს ჩავიდა, როცა ქვაფენილებს ჯერაც არ შეშრობოდათ კომუნართა სისხლი. პარიზი კვლავ ღელავდა, და სერგეი მესხი ოცნებობდა კვლავ ატეხილიყო ბრძოლის ცეცხლი. „ჩვენს კვარტალში საუკეთესო ბარიკადს გავმართავო“. თავისთავად ეს ფაქტი ბევრ რამეს მეტყველებს და უფრო ცხადად წარმოგვიდგენს ამ შესანიშნავი ადამიანის სულიერ სამყაროს.

წიგნში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ გულმხურვალე და მგზნებარე პატრიოტი იყო სერგეი მესხი. საზღვარგარეთ გამგზავრებისას მან თან თამარ დედოფლის სურათი წაიყოლა. „როდესაც თამარ დედოფალს შევჩერებივარ, — წერდა იგი, — მე მახსენდება უნებლიედ ჩემი საყვარელი, მშვენიერი, მაგრამ დატანჯული სამშობლო. ჩემი ბუნებით მდიდარი, მაგრამ კაცისაგან დალარიბებული და აოხრებული საქართველო! და ეს მხოლოდ ერთი შეხედვა თამარ დედოფლისა მე მაგონებს, რომ ამ ჩემს სამშობლოს დახმარება, ხელები მშველელნი და კაცები სჭირია“.

სერგეი მესხი თვითონ ეკუთვნოდა იმ კაცთა რიცხვს, რომელნიც ყველაზე მეტად სჭირდებოდნენ საქართველოს. ეს იყო მართლაც „ხელი მშველელი“, შესანიშნავი მოღვაწე იმ თაობისა, რომელსაც დიდი ილია ედგა სათავეში და რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ და სოციალურ ბრძოლებში შესანიშნავად გამოიყენა მხატვრული ლიტერატურა, როგორც ყველაზე ბასრი და ელასტიური იარაღი განმათავისუფლებელი იდეების დანერგვისა და გავრცელებისათვის.

წიგნში ჩანს სერგეი მესხი, როგორც გამოცდილი და გულისხმიერი რედაქტორი, გონებამახვილი მოაზროვნე და ქვეყნის მოჭირნახულე, როგორც ძალზე კვალიფიციური კრიტიკოსი ლიტერატურისა. მისი მოსაზრებები ლიტერატურის შემეცნებითს მნიშვნელობაზე, მწერლობის ეროვნულ ფორმასა და კოლორიტზე, მხატვრული ნაწარმოების ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობაზე, ხელოვნების იდეურობასა და ხალხურობაზე დღესაც ინარჩუნებენ თავის აქტუალობას; ამ სფეროში სერგეი მესხი წარმოგვიდგება, როგორც თვალსაჩინო წინამორბედი ჩვენი დღევანდელი კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობისა.

ტ. მეგრელიშვილი

ონში გეოლოგებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში აღმოაჩინეს ალმასის საბადო. ჩვენს დროში ეს მიყრუებული ვოლკოვო სწრაფად გაიზარდა, აქ აუარებელი ჩამოსული ხალხი ტრიალებდა.

ახალგაზრდა ინჟინერი ჯერ ალმასის მოპოების სამმართველოში მუშაობდა. მან თავისი შრომისმოყვარეობით უმალ მიიპყრო უფროსების ყურადღება. სულ მალე დააწინაურეს. ბრიგადის ცვლის უფროსად დანიშნეს და ალმასის მოპოების ერთ-ერთი ყველაზე ძნელი უბანი ჩააბარეს.

გოდერძი მალე დაქორწინდა. მისი მეუღლე ანა გუძენკო სათნო და მეოჯახე ქალი გამოდგა. იგი აქვე მუშაობდა ექიმად. ხმები დადიოდა, რომ გოდერძის გაცნობამდე ანას ვიღაც გეოლოგი უყვარდა, მაგრამ ინჟინრის ვაჟკაცურმა გარეგნობამ, მისმა თავდაჭერამ და ენაწყლიანმა საუბარმა ანა თავიდანვე მოხიბლა. ქალიშვილი ჩამოშორდა თავის შეყვარებულს და სულ მალე გოდერძის გაჰყვა ცოლად.

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ომი დაიწყო, გოდერძი ჯარში გაიწვიეს. ფრონტიდან გოდერძი შინ ყავარჯნებით დაბრუნდა. როცა მკურნალობის შემდეგ ნატყვიარი თეძო მოუშუშდა და ფეხზე წამოდგომა შეიძლო, ინჟინერი ალმასის მოპოების სამმართველოში გამოცხადდა და ისევ თავის ძველ ადგილზე — საბადოებზე დაიწყო მუშაობა.

ლეიტენანტმა მაცენკომ გაიგო, რომ გოდერძი ოჯახის ერთგული კაცი იყო, უყვარდა ცოლი და შვილად აყვანილი პაწია გოგონა — ალა. ორი წლის წინათ, როცა გოდერძი შავი ზღვის სანაპიროზე დასვენების შემდეგ ვოლკოვოში დაბრუნდა, იაშვილების ოჯახი რატომღაც აირია და ცოლ-ქმარს შუა უთანხმოება ჩამოვარდა.

გამოიცვალა გოდერძი, კუშტი და გულჩათხრობილი გახდა. ახლა სულ იმის საბაბს ეძებდა ცოლთან ჩხუბი და აყალმაყალი აეტეხა. ერთ დილას კი გოდერძიმ გადაჭრით უთხრა ანას, რომ გადაწყვეტილი აქვს მიატოვოს ოჯახი და საქართველოში გადავიდეს საცხოვრებლად.

თქვა და შეასრულა კიდეც. ზუსტად ორი თვის შემდეგ გოდერძი, უშვილობის მოტივით გაეყარა ცოლს, თავი დაანება სამსახურს და დასავლეთისაკენ მიმავალ მატარებელს გაჰყვა.

ლეიტენანტმა მაცენკომ რამდენჯერმე დაჰკითხა ანა გუძენკო. ნამტირალევი და თვალებჩაწითლებული ქალი, როგორც ჩანდა, მწვავედ განიცდიდა ქმართან გაშორებას. ლეიტენანტის შეკითხვებზე ანა ყრუ, მუდამ ცრემლნარევი ხმით იძლეოდა პასუხებს და თვითონაც არ იცოდა, თუ რატომ დასჭირდა გოდერძის ასე სულმდაბლურად გაქცეოდა ოჯახს. მხოლოდ ის ახსოვდა, რომ მისი ქმარი გადაკრულად რაღაც სერიოზულ მიზეზს ასახელებდა და გარკვევით კი არაფერს ამბობდა.

ლეიტენანტმა ახლა სოკოლოვსკის დაუწყო ძებნა. ეს ის კაცი იყო, ვინც გოდერძის მიხეილ სეგედასთან ბარათი გაატანა; მაგრამ სოკოლოვსკი სწორედ იმ დღეებში გარდაცვლილიყო. ლეიტენანტმა საფოსტო განყოფილებაში შეიარა და უკანასკნელი თვეების ფოსტის აღრიცხვა შეამოწმა. აქ მას უთხრეს, რომ გოდერძი იაშვილი ბოლო ხანებში ხშირად იღებდა წერილებს, რომლებზეც გაკრული, ხელით იყო წარწერილი „მოკითხვამდე“.

მართალია, ამ ბარათებს არასოდეს არ ჰქონდა გამომგზავნის მისამართი, მაგრამ მაცენკოს ხელში დაგროვებული ფაქტები საფუძველს აძლევდა ადამიანს შორეულად მაინც მიენიშნებინა თუ ვისი ხელით შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი ეს ბარათები.

ფოსტის მუშაკების დახმარებით მაცენკომ მალე დაადგინა, რომ გოდერძი იაშვილმა ვოლკოვოს საფოსტო განყოფილებიდან უკანასკნელ ორი წლის მანძილზე შვიდჯერ გაგზავნა ფული. ამ ფულს გოდერძი, როგორც წესი, ყოველთვის ბათუმის ცენტრალურ ფოსტაში ვინმე ლარისა საფრონოვას სახელზე გზავნიდა.

ლარისა საფრონოვა, რომელიც აჭარის დედაქალაქში სანაპიროს ჩიხის ნომერ პირველ სახლში ცხოვრობდა, ეჭვი არ იყო, გოდერძისთან რაღაც საიდუმლო ძაფებით იყო დაკავშირებული და ადვილი შესაძლებელია ციმბირში გაგზავნილი წერილებიც სწორედ მისი ხელით იყო დაწერილი.

ვინ იყო ეს ლარისა? რა ურთიერთობა ჰქონდა მას გოდერძი იაშვილთან? რისთვის იყო განკუთვნილი საკმაოდ მოზრდილი თანხა, რომელსაც იაშვილი თითქმის ყოველ სამ თვეში ერთხელ უგზავნიდა ამ ქალს?

ეს კითხვები მოულოდნელად წამოიჭრა ლეიტენანტის წინაშე. საჭირო იყო მასზე პასუხის გაცემა, ეგებ ამ გზით გარკვეულიყო ჭეშმარიტება.

• • •

სევასტოპოლიდან საიდუმლო პაკეტის მიღების შემდეგ აჭარის სამძებრო განყოფილების მუშაკებმა გადაწყვიტეს, რომ ლარისა საფრონოვას დაკითხვისაგან თავი შეეკავებინათ. ქალი ჯერჯერობით მშვიდად გრძნობდა თავს, დაკითხვის შემდეგ კი, თუ რაიმე დანაშაული მიუძღვოდა, იგი შეშფოთდებოდა და ყოველნაირად შეეცდებოდა ეშმაკურად შენიღბულიყო.

თვალყურის დევნება კი საჭირო იყო, მაგრამ ამასაც ერთხანს შედეგი არ მოყოლია. არც საფრონოვა, არც ვიშნევსკი საეჭვოს არაფერს ჩადიოდნენ. ერთ დღეს კი, როცა ყოველგვარი იმედი თითქმის უკვე დაკარგული იყო, დამნაშავეებმა მათთვის გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს.

მათი ამ შეცდომის წყალობით ძიებამ სწორი კვალი იპოვნა, ოპერატიულმა მუშაკებმა შესძლეს შენიღბული დამნაშავისათვის მიეგნოთ. ეს პიროვნება მალე იძულებული გახდა გამოტეხილიყო და გულახდილად ეთქვა, რომ გოდერძი იაშვილი მისი ხელით იყო მოკლული.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



გიორგი წერეთელი, ანასტასია წერეთელი-თუმანიშვილი და ელიკო წერეთელი (გიორგი წერეთლის ქალიშვილი).

დედაჩემის, ნიკო ნიკოლაძის ოჯახთან, სამოციანი წლებიდან დაწყებული, არაერთი შესანიშნავი ადამიანი იყო დაკავშირებული. მათ შორის, პირველ რიგში, გიორგი წერეთელი მინდა გავიხსენო. დავიწყებ იმ წლებიდან, რა დროიდანაც მე მახსოვს გიორგი ჩვენს ოჯახში. 1892 წლის გაზაფხულზე ჩვენ თბილისში ჩამოვედით. სწორედ იმ ხანებში გიორგის დაბადებიდან ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ამ თარიღს, ცოტა უფრო გვიან, მეორე საგულისხმო თარიღიც დაერთო: ქართველი ქალების საზღვარგარეთ პირველი გამგზავრების ოცწლეული (1873-1893); ორივე ეს თარიღი გიორგი წერეთელმა ჩვენს ოჯახში აღნიშნა: ლაპარაკობდა თავის პედაგოგიურ მუშაობაზე, თავის მოწაფეზე — დედაჩემზე. იმ ხანებში გიორგი უკვე უჩიოდა მოახლოებულ სიბერეს: — შენ კიდევ ერთი წელი გრჩება, ჩემო ნიკო, — ეხუმრებოდა იგი მამას, — აკაკი და მე კი უკვე ნახევარ-ნახევრ საუკუნეს ვათრევთ ზურგით, ე. ი. ერთად მთელ მეცხრამეტე საუკუნეს. არ გებრალებით? დრო დადგა, ჩვენს შვილებსაც ვაგრძნობინოთ ამისი ფასი და ნათელი „კვალიც“. იქნებ მათაც გამოჰყვეს ჩვენი თაობის ბრძოლის ზნე და თერგ-გარეული სისხლი... გახსოვს „მორბის არაგვი“, — მომიბრუნდა იგი მე, როგორც თავის „ახალ მოწაფეს“.

მორბის არაგვი არაგვიანი
და თერგს მისძახის, მომეცი ბანი!

— აბა, თუ მიხვდები, ვისია ეს ლექსი?“

გიორგი წერეთელი იშვიათი პედაგოგი იყო, იცოდა როგორ მოპყრობოდა ბავშვებს, ძალიან ხშირად უყვარდა წარსულის მოგონება და ყველას გვიტაცებდა ხოლმე ამ წარსულით.

ჯიხაიშიდან თბილისში რომ ჩამომიყვანეს, სულ პატარა ვიყავი (7 წლის), მთელი რვა თვე ვიავადმყოფე, მალარიის დაუწეველი სიცხით გონება მქონდა დაბინდული. მაგრამ მაინც გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი, მაგონდება რა დღესასწაული იყო ხოლმე ჩემთვის „ბიძია გიორგის“ ყოველი შემოსვლა დედაჩემთან, რომელიც მე არ მშორდებოდა. გიორგი უსათუოდ გამამხნევებდა: ყოჩაღად იყავი, თბილისი მალე წამოგაყენებს ფეხზეო. დედას კი რამე საინტერესო ხუმრობით მიმართავდა, რომელსაც ჩემი ყურადღებაც უნდა მიეპყრო. მაგალითად: ასე ანტი-რახმეტოულად* რატომ ანებივრებ შენს ქალსაო? მისმა თაობამ ხომ მალე თქვენ უნდა შეგცვალოთ, 70-იანი წლების ქალთა რაზმიო. და დაიწყებოდა მათი გადაფრენა ჟენევის ლაჟვარდოვანი ტბის ნაპირებზე, ე. ი. მათს „შვეიცარიულ წარსულში“.

ამ მზიანმა მოგონებებმა ჩემი საყვარელი „დედას ალბომიც“ მთლიანად გამიცოცხლეს იმ ზამთარ-ზაფხულს: ლაპარაკია დედაჩემის შვეიცარიული ფოტოგრაფიების კოლექციაზე, რომელშიაც სულ ახალგაზრდა დედა და მამიდები ასეთი სასაცილო მოდებით იყვნენ წარმოდგენილი, ჟენევაში გადაღებული. მამა კი, სამოციანელთა გრძელი თმით და დობროლუბოვისებური სათვალეებით, სულ არ ჰგავდა თავის თავს; გიორგი, პირიქით, უსათვალოდ იყო აქ წარმოდგენილი.

რამდენი სხვადასხვა ჯურის ხალხი იყო იმ ალბომში შეყრილი: პეტრე მელიქიშვილი და ვასილ პეტრიაშვილი, ისინიც სულ ახალგაზრდები! ფრანგი კომუნარები — ჩვენებთან ახლო დამეგობრებულები ჟენევაში; ტკაჩოვი („კოლოკოლის“ სამაგიერო თავისი „ნაბატით“) და შლისელბურგის ცოცხალთა სამარეში ჩამწყვდეული ნიკოლოზ მოროზოვი, იმ დროს ოცი წლის ყმაწვილი; ბისმარკის პრუსიის მიერ სიკვდილმისჯილი, შვეიცარიაში გახიზნული კარლ ფოხტი და მისი აღტაცებული მსმენელები, ჟენეველი სტუდენტები; ციურიხის „ულლის“ დამაარსებლები და ჟენევის „ულლელები“; ვერა ფიგნერის ციურიხელ „ქალთა ფერეინის“ ჟენევური ნაწილი; იტალიიდან დაბრუნებული და იაპონიაში მიმავალი, გარიბალდის რუსი თანამებრძოლი, ბრძოლებში დაჭრილი ლევ მეჩნიკოვი... ყველა ესენი, აღბეჭდილნი ალბომის ფურცლებზე — ცოცხლად დამიყენა თვალწინ გიორგი წერეთლის წარმოსახვამ და მჭევრმეტყველურმა საუბარმა. გიორგის თქმით, ამ ალბომის გმირთაგმირი ჯუზეპე გარიბალდი იყო. ორმოცდაათი წლის გიორგი თითქოს ბობუკად იქცეოდა ხოლმე, როცა ამ სახელოვან იტალიელზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, მამა კი ხუმრობით, გულკეთილად, უსათუოდ კლაკს გაჰკრავდა გარიბალდის „პრიმიტიულობას“ და მისი ათასეულის მთელ ისტორიას. რამდენი ცხარე კამათი მოგვისმენია ამ თემაზე, იტალია-ავსტრია-საფრანგეთის რუკების წინ!

ცხადია, რომ ამ საკითხში ჩვენ ყველანი გიორგის მხარეზე ვიყავით. მამას აზრები კი პროფანაციად მიგვაჩნდა, მეტადრე მაშინ, როდესაც მამამ „ქალების და პოეტების გმირი“ უწოდა გარიბალდის; თუ არ ვცდები, ილია ჭავჭავაძეც მაშინ ჩვენსას იყო. ყველამ ერთხმად განუცხადა მამას პროტესტი. ის კი იღიმებოდა თავისთვის და შესცქეროდა კედელზე გარიბალდის დიდ ფერად პორტრეტს, რომელიც მან თვითონ ჩამოიტანა იტალიიდან.

— ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, — მხიარულად წამოიძახებდა ახეთ შემთხვევაში გიორგი წერეთელი, რაც მე მამშვიდებდა და მახარებდა, —

# წერილი და შეხვედრები

პროფ. რუსუდან ნიკოლაძე

ნუ დაივიწყებ, ოლიკოჯან, — ხშირად უმეორებდა იგი დედაჩემს, თავის მოწაფეს თბილისის „კეთილშობილ ქალთა“ ინსტიტუტიდან, — რომ ნიკომ გარიბალდის სამშობლოს ზღვის ტალღებით შეგაცურათ ქართველი ქალები ბრძოლის დიდ ოკეანეში... ხოლო პირველი ნათლობა კი, გახსოვს, ნევის ნაპირებზე მიიღეთ...

საოცრად გულში ჩამწვდომი სიტყვით ხატვა იცოდა გიორგი წერეთელმა. მას განსაკუთრებული უნარი ჰქონდა დიდისა და პატარის ანთებისა თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილით. მას ამაში ტოლი არა ჰყავდა და აკაკი ხუმრობით „მწვანე ჯეჯილის“ ცეცხლის მომდებს უწოდებდა — არიქა, წყალი, „პოდჟიგატელი“ მოდისო! — დაიძახებდა ხოლმე მის დანახვაზე.

გაიმერლებული რუსიციზმები თერგდალეულთა ამ წრის საყვარელი ჟარგონი იყო: დაუნაზადე, ჩისტი გულით მიპასუხე, ნუ ხინტრობ, ზახრაბუსტის მენდალი გეკუთვნის, პიანიცა ცენზორის მზემ, წააგულავ-წამოაგულავე და ა. შ. აკაკიც და გიორგიც ამ გამოთქმებს, ცხადია, მხოლოდ ხუმრობის დროს მიმართავდნენ.

წარსულიდან გიორგი წერეთელი ყველაზედ უფრო სიყვარულით იხსენებდა თერგდალეულთა „მეორე ათწლეულს“, უფრო ზუსტად, 70-იან წლებში გამოსულ „ახალ ახალგაზრდობას“ (1869-1877), რომლებსაც 1871-73 წლებიდან ქალებიც მიემატნენ (ოლიმპიადა და ეკატერინე ნიკოლაძეები, ოლღა გურამიშვილი, მაშიკო წერეთელი, ეკატერინე მელიქიშვილი და სხვ.). გიორგი წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ჩვენი ქალების ევროპაში, კერძოდ შვეიცარიაში ყოფნას 1873-1876 წლებში; მათს დაწინაურებაში „ძველმა ახალგაზრდებმაც“ (ე. ი. სამოციანელებმაც) მეტად ცხოველი მონაწილეობა მიიღეს, მეტადრე თვით გიორგი წერეთელმა. დამახასიათებელია მისთვის, რომ იმ წლებში ისიც დაუბრუნდა სტუდენტობას და თითონაც დაიწყო „ხელახლა სწავლა“ გერმანიაში, თავის დასთან და ცოლთან ერთად.

ამ მოგონების დაწერა გამაბედვინა დედაჩემის, ოლგა გურამიშვილ-ნიკოლაძის (1855-1940) ფოტო-არქივის და ჩემი ახალგაზრდობის ჩანაწერების მასალამ; მინდოდა გიორგი წერეთლის მოღვაწეობის ეს მხარეც გაშუქებულიყო. სამწუხაროდ, თვით მას არ დასცალდა არც ამ ამბების აღწერა, არც მის მიერ დედასთვის შეპირებული რომანის შექმნა, რომელშიც მას სურდა გამოეყვანა მოწინავე ქართველი ქალი, რომლის აღზრდას და ცოდნით შეიარაღებას მან ამდენი დრო შესწირა თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლებიდან.

* რახმეტოვი — გმირი ნ. ჩერნიშევსკის რომანისა „რა ვაკეთოთ“.

# გიორგი და ჩვენი ოჯახი

გიორგი წერეთელი არა მარტო ნათესაურად იყო მამაჩემის ოჯახთან დაახლოვებული (მისი პირველი ცოლი ოლიმპიადა ჩემი მამიდა იყო), მას მრავალი გულის სიმიც აკავშირებდა ჩემს დედ-მამასთან. და არა მხოლოდ ის, რომ მისმა და ნიკო ნიკოლაძის მეგობრობამ სრულ ნახევარსაუკუნეს გასტანა (1850-1900), არც ის, რომ დედაჩემი გიორგის საყვარელი მოწაფე იყო ქალთა ინსტიტუტიდან. ყველაზე მთავარი აქ შვეიცარიაში ერთად გატარებული წლები იყო. ამ პერიოდში მეგობრების პირადი ბედი სხვადასხვა გზით წარიმართა. ნიკოლაძის ოჯახური საქმეები ამ წლებში კარგად მიდიოდა, გიორგის კი იმავე წლებმა ორი უძვირფასესი ადამიანი წაართვა თითქმის ერთდროულად: მისი საყვარელი დაი, მასზედ ბევრად უფრო ახალგაზრდა მაშიკო წერეთელი (1854-1882) და ჩვენი შუათანა მამიდა, ოლიმპიადა (1852—1884) — მისი ერთგული თანამგზავრი ათი წლის მანძილზე, მისი სამი ბავშვის დედა.

ორივენი, რძალიც და მულიც ფილტვების დაავადებამ იმსხვერპლა. და ამ დანაკარგმა კიდევ უფრო დააახლოვა გიორგი დედაჩემთან, რადგან მაშიკო და ოლიმპიადა დედას უახლოესი მეგობრები იყვნენ, სიხარულიც და მწუხარებაც საერთო ჰქონდათ. მაშიკო გურამიშვილების ოჯახში გარდაიცვალა, თბილისში, დედაჩემის დედის, ბებია ქეთევანის ხელში... ბებიას ის მთელი სულითა და გულით უყვარდა. და გიორგიც ამას არ ივიწყებდა.

ოლიმპიადაც ძალიან დაახლოებული იყო დედასთან, როგორც შვეიცარიაში ყოფნის დროს, ისე აქ, თბილისში, ჯერ კიდევ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე: ორივე სხვადასხვანაირად ლამაზი და სულიერად აღგზნებულები, ერთი ცხრამეტი წლის მეოცნებე ტატიანა იყო, მეორე კი ეს-ეს არის ქალთა ინსტიტუტის ტყვეობიდან თავდაღწეული თექვსმეტი წლის მშფოთვარე და მგზნებარე ქალიშვილი. მათი შეხვედრა და დამეგობრება ერთი იყო, აქ თითქოს საწინააღმდეგო პოლუსების მიზიდვის კანონი მოქმედებდა. ოლიმპიადას უფროსი ძმა, მამაჩემი იმ დროს ქუთაისში იყო. ყველა ისინი ახლა შვეიცარიაში წასასვლელად ემზადებოდნენ; ნიკო ნიკოლაძე გამგზავრების მთავარი მომწყობი და „ხაზინის გამგე“ იყო, გიორგი წერეთელი კი ამ საქმის მთავარი სულისჩამდგმელი.

ნიკო ნიკოლაძე აღტაცებული დარჩა თავისი დის არჩევანით, თავისი სიძით. სამი-ოთხი თვის შემდეგ მან ზღაპრული მოგზაურობა მოუწყო მათ ფოთიდან ციურიხამდე. ეს იყო 1873 წლის იანვარში; ამ მგზავრობის შესახებ ჟურნალ „დროშაში“, 1963 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა ნ. მოროზოვის მოგონება „ისინი მომხიბვლელნი იყვნენ“. ნეაპოლამდე მათ ბოსფორ-სტამბოლით და ხმელთაშუა ზღვით იმგზავრეს, იქიდან კი, ალპებამდე იტალიის გზით, სადაც მათ თვენახევარი დააგვიანდათ „აყვავებული ფორთოხლების ქვეყ“... მათი „ემანსიპაცია“ ასეთი წარმტაცი ზღაპრით დაიწყო. ამან მეოცნებე ოლიმპიადა კიდევ უფრო მჭიდროდ დააახლოვა მის თბილისელ მეგობართან — მაშიკოსთან, სანამ მათი გამგზავრების მთავარი წამომწყები გიორგი, „დროებისა“ და „კრებულის“ გამოცემის მიზნით, თბილისში მძევალივით იყო დატოვებული. ნოემბერში კი ისიც დაეწია დანარჩენებს. და დაიწყო მათი „შვეიცარიადა“, რომელმაც სამი წელი გასტანა...

ამით აიხსნება, რომ ორივე მეგობარი, ნიკო და გიორგი ყოველთვის განსაკუთრებული სიხარულით იგონებდნენ იმ წლების იტალიასა და შვეიცარიას, უსათუოდ ორივე ქვეყანას ერთად, იგონებდნენ უფრო სხვა გრძნობით, ვიდრე იმავე წლების პარიზს, ნიკო ნიკოლაძის უფრო ხშირ ადგილსამყოფელს. ეს იმიტომ, რომ პარიზში მამას მარტო უხდებოდა „ახალი ახალგაზრდობის“ საქმეების წარმართვა, საქართველოში დატოვებულ მეგობრებთან მიწერ-მოწერის გზით, ქართული ჟურნალიზმისათვის ახალი, ევროპული გზის გასაკაფავად. დანარჩენები კი, გიორგისთან ერთად, შვეიცარიაში იყვნენ, ჟენევის ტბის ლაჟვარდ ნაპირებზე... „უღელის“ 1874 წლის კონფერენციაც იქ, ივლისში ჩაატარეს ისე, რომ ნიკო მას არ დასწრებია.

საინტერესოა, რომ 90-იან წლებში გიორგი ხშირად იხსენებდა ამ ახლო წარსულს, რასაც მისი მეგობრები შემდეგ მიზეზს აწერდნენ: 1891 წლის აგვისტოში გიორგიმ მეორე ცოლი ითხოვა, ანასტასია თუმანიშვილი (1849—1932); ამის შედეგად, როგორც ცნობილია, ის აქტიურად ჩაერია „კვალის“ საქმეებში. „კვალისა“ და შემდგომ კი „მოამბის“ გამოცემის დაწყებამ 1892—1894 წლებში თურმე ძალიან აამოძრავა და ისევ დააახლოვა წინა ათწლეულით ოდნავ გაფანტული „დროება“-„კრებულის“ მეგობრები: გიორგი, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე (ქუთაისში); მათთანვე იყო მათი „გამოზრდილი“ და საკმაოდ შეთხელებული ქალთა რაზმი.

თბილისში, 1890-იან წლებში ჩვენს ოჯახთან დაახლოებული იყვნენ კიდევ დედას ორი ჟენეველი მეგობარი, ერთი იყო ანა ვლადიმერის ასული დობროვსკაია, სამხედრო ექიმის დობროვსკის ქალი და ექიმ ხუდადოვის ცოლი, მეორე კი — ცნობილი ლევ ტიხომიროვის და, მარიამ (მარუსია) ტიხომიროვა, მარკგრაფის ცოლი.

ოლიმპიადას გათხოვების და გიორგისთან ერთად გერმანიაში გადასვლის შემდეგ, 1875 წელს დედა და მაშიკო ყველაზე უფრო ამ ორ თბილისელ ქალთან იყო დამეგობრებული. განსაკუთრებით უყვარდა დედაჩემი დობროვსკაიას, რომელიც ხშირად დადიოდა ჩვენთან და ძალიან კარგად იყო როგორც გიორგისთან, ისე მამაჩემთანაც; მარკგრაფის ცოლი თავისი ქალის აღზრდით იყო გატაცებული და ამიტომ მე არ მაინტერესებდა.




ჟენევის ტბა

შვეიცარიაში ნამყოფი ქალებიდან კიდევ კეკე მელიქიშვილი-მესხიც იყო ჩვენი ხშირი სტუმარი (1852—1928); ეს იყო პეტრე და სტეფანე მელიქიშვილების დაი, მაგრამ მას არ უყვარდა იმ დროის მოგონება; მას სხვა შთაბეჭდილებები ჰქონდა იმ წლებიდან, ვიდრე ჩვენებს. ამიტომ ჩვენ, ბავშვებს, იგი არ მიგვაჩნდა „ჟენეველ“ ქალად. ჩვენთვის იგი ჩვენი საყვარელი „ჯეჯილის“ თანამშრომელი „დეიდა კეკე“ იყო, რომელსაც საბავშვო ლიტერატურა აინტერესებდა ყველაზე უფრო, და რომელსაც „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში საკუთარ სახლზე უფრო ხშირად ნახავდით. იგი ტასო წერეთელთან და „დეიდა კატოსთან“ — ეკ. გაბაშვილთან იყო განსაკუთრებით დაახლოებული, ბევრად მეტად, ვიდრე გიორგისთან, ან ოლიმპიადასთან.

ქუთაისში კი ჟენეველ ქალთა რაზმიდან მარტო მამიდა კატო რჩებოდა (ნიკოლაძე), ისიც იმჟამად ბევრად უფრო დაინტერესებული თავისი ადგილობრივი „ქალთა წრის“ საქმიანობით, ვიდრე შორეული წარსულით.

სამაგიეროდ, ქუთაისში 1880-იან წლებიდან უფრო ძლიერი იყო რუსეთში განსწავლულ ქართველ ქალთა რაზმი, ჟენეველებზე ერთი ათწლეულით უმცროსი. ეს იყო ოთხმოციან წლებში ნევას ნაპირებზე კურსდამთავრებულ ბესტუჟეველთა ჯგუფი; ორი მათგანი მამაჩემის დეიდაშვილები იყვნენ: ელისაბედ და ეფემია ხელთუფლიშვილები, ერთი ისტორიკოსი და მეორე — მათემატიკოსი, მესამე კი ჩვენი უმცროსი მამიდა იყო, ბუნებისმეტყველი ფროსიკო ჭიჭინაძე, ცნობილი პედაგოგის, ალექსი ჭიჭინაძის ცოლი (ზაქესის მშენებლის, ბესარიონ ჭიჭინაძის დედა).

ეს მამიდები პირველი ქართველი მსმენელები იყვნენ პეტერბურგის ცნობილ ქალთა ბესტუჟევის კურსებზე, ე. ი. საერთოდ პირველი ქართველი ქალები იყვნენ რუსეთის უმაღლეს სკოლაში. ეს იყო 1879—1885 წლებში, ე. ი. მიხაილოვსკის და „ოტეჩესტვენიე ზაპისკის“ ხანაში, რომელიც მამამ და დედაჩემმა იქვე გაატარეს 1881 წლიდან, ამ ჟურნალთან მჭიდროდ დაკავშირებულ მწერალთა წრეში. მამას, ამ ჟურნალის რედაქციის წევრს, იმ დროის სპეციალური ალბომიც ჰქონდა (ამჟამად მის არქივშია დაცული). როგორ გვიყვარდა, გიორგი იმ ალბომს რომ დაუწყებდა ფურცვლას, დედასთან და მამასთან საუბრის დროს...

ამ შთაბეჭდილების ქვეშ, მამიდების თვალით დანახული პეტერბურგიც სულ იმ დროის გამოჩენილი მწერლებით სავსე ადგილად მეჩვენებოდა. თუმცა მამიდები სულ სხვა წრეში ბრუნავდნენ იქ, სტუდენტურ წრეში. 1902 წელს ოდესიდან თბილისში გზად გამოიარა პეტრე მელიქიშვილმა. მაშინ მე გიმნაზიაში ვსწავლობდი. მელიქიშვილის საუბრებმა მწერლობიდან ჩემი ყურადღება ქიმიისაკენ გადაიტანა და ამან სულ სხვა მიმართულება მისცა ჩემს წარმოდგენას იმდროინდელ ნევის ნაპირებზე; ეს მიმართულება იყო ქიმიურ-აკადემიური, რომელმაც გიორგის დახმარებით, დროებით სულ დამიჩრდილა მამას საყვარელი სახელები, მწერლების სახელები და კიდევ უფრო აამაღლა ჩემს წარმოსახვაში ეს ჩემი „რუსული ორიენტაციის“ მამიდები; გამოირკვა, რომ მათ თვით მენდელეევის ლექციებიც კი ესმინათ, იმ დრომდე, ვიდრე მოხდებოდა აღმაშფოთებელი ფაქტი — მენდელეევის გაძევება უნივერსიტეტიდან 1890 წელს. პრაქტიკუმიც მის ასისტენტთან ჰქონდათ გავლილი. ქალთა უმაღლესი კურსების პირველ ლაბორატორიაში, სერგის (ამჟამად ჩაიკოვსკის) ქუჩის სარდაფებში, ჯერ კიდევ ვასილის კუნძულზე გადასვლამდე. მამიდა ფროსიკოს იმ ჯგუფის სურათიც ჰქონდა თავის არქივში დაცული...

მენდელეევის დევნამ იმ წამსვე გამახსენა ჩვენი სამოციანელების დევნა, რეპრესიები მათ მიმართ. ეს იყო გიორგი წერეთლის კომენტარების შედეგი. მან გატაცებით გვიამბო, მას და მამაჩემს როგორ უსმენიათ პეტერბურგში 1869 წელს, უნივერსიტეტში ახლად პროფესორად არჩეული მენდელეევისათვის, მისი პერიოდული კანონის გამოქვეყნების და დაცვის პირველსავე თვეებში! ეს იყო დრო, როცა მამა და გიორგი წერეთელი ემზადებოდნენ სადიპლომო გამოცდების ჩასაბარებლად, რაც გიორგიმ კარგად დაამთავრა. მამას კი, ევროპაში უკვე დოქტორის ხარისხმიღებულს, მეხუთე თუ მეექვსე გამოცდის შემდეგ უარი ეთქვა დამთავრებაზე, რადგან დაიწყო ნეჩაევის მიმდევრების დევნა და მამა შინ დაბრუნდა, ქუთაისში „ახალი ახალგაზრდობის“ საქმეებში ჩასაბმელად.

(გაგრძელება იქნება)

ბიბლიოთეკა

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## გზა და ჰაერის ბალიშები

საქალაქო ტრანსპორტის საკითხი კაცობრიობას ოდითგანვე აწუხებს. ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ, 46 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იულიუს კეისარი იძულებული იყო აეკრძალა დღისით ეტლების მოგზაურობა რომში. მას შემდეგ მდგომარეობა ამ მხრივ ბევრი არაფრით შეცვლილა; პირიქით, ტრანსპორტი სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს; ახლა ავტომობილებმა ლამის მთელი დედამიწის ზედაპირი დაიპყრონ. მომავალში ამ მხრივ მდგომარეობა უფრო გართულდება.

ასეთი მძიმე მდგომარეობიდან ყველაზე უკეთესი გამოსავალი, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, იქნება საათში 100-150 კილომეტრის სისწრაფით მოძრავი გზები-კონვეიერები. მათი აღწერა სცადა ჰერბერტ უელსმა თავის ფანტასტიკურ რომანში „როცა მძინარეს გაეღვიძება“, მაგრამ მწერალს ნათლად არც ჰქონდა წარმოდგენილი ამ საკითხთან დაკავშირებული ტექნიკური სიძნელეები.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ფანტასტიკური ჩანაფიქრის განხორციელებაზე მეცნიერები იწყებენ ფიქრს. ასე ხდება გზა-კონვეიერის მიმართაც. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აქ საზრუნავი ის არის, თუ როგორ დასხან და გადმოსხან ამ მოძრავ გზებზე ადამიანები.

დიდ მანძილზე მოგზაურობისათვის კი ალბათ ყველაზე გამოსადეგი იქნება ჰაერის ბალიშებზე შემდგარი მანქანები და ხომალდები. ასეთი ექსპერიმენტები წარმატებით ტარდება უკვე დღესვე. ამასთან, ეს დიდ ტექნიკურ რევოლუციას გამოიწვევს: საჭირო აღარ იქნება გზები, და ადამიანები პირველად მიიღებენ მოძრაობის აბსოლუტურ თავისუფლებას — სულ ერთი იქნება საით წახვალ, უდაბნოში თუ ღრანტეებში. სამხრეთ ამერიკის პამპასები, აფრიკის სავანები და უდაბნოები, ანტარქტიდის ყინულოვანი ველები, ქვეყნები, რომლებიც დღემდე იტანჯებიან უგზოობით, მიიღებენ სწრაფ და იაფ ტრანსპორტს, რომელიც წარმოუდგენლად დააჩქარებს მათი ეკონომიკის განვითარებას. საჭირო აღარ იქნება სატვირთო ხომალდები, ისინი ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევენ ზღვის ტალღებზე მქროლავ თავის ბევრად მსუბუქ და სწრაფ მეტოქეებს, რომლებსაც არ დასჭირდებათ ტალღებსაწინააღმდეგო მტკიცე კორპუსები და არ შეეშინდებათ არც რიფებისა და არც წყალქვეშა კლდეების. საათში 300-500 კმ სისწრაფის დროს ისინი თვითმფრინავებზე ბევრად საიმედონიც კი იქნებიან — ძრავის უწესივრობის შემთხვევაში ასეთი ხომალდი რბილად დაეშვება მიწაზე ან წყალზე.

ჰაერის ბალიშიანი ხომალდები სრულებით შეცვლიან ჩვენი პლანეტის გეოგრაფიას. თავიანთ მნიშვნელობას დაკარგავენ საზღვაო არხები. პანამა, სუეცი, ჰიბრალტარი და ლამანში აღარ ჩაითვლებიან მსოფლიო ზღვაოსნობის საკვანძო წერტილებად; თავიანთ მნიშვნელობას დაკარგავენ მსხვილი საზღვაო და საოკეანო ნავსადგურები. ტვირთის გადატანა მოხდება პირდაპირ — წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე.



## ყველაფერს განაგებს მ ზ ე

ისინი ბავშვობის წლებიდანვე მეგობრები იყვნენ. როცა წამოიზარდნენ, ერთი ასტრონომი გახდა, მეორე — ავტოინსპექტორი. ერთხელ ავტოინსპექტორს ასტრონომი ესტუმრა. ავტოინსპექტორის სამუშაო მაგიდასთან გრაფიკი ეკიდა.

— როდის აქეთ დაინტერესდი მზის სხივების აქტიურობით? — ჰკითხა გაოცებულმა ასტრონომმა.

— რას ამბობ, — მიუგო ავტოინსპექტორმა, — მე მანდ აღრიცხული მაქვს ის ავარიები, რომლებიც ჩემს უბანზე მოხდა ერთი წლის მანძილზე.

მაშინ ასტრონომმა ჯიბიდან თითქმის ისეთივე გრაფიკი ამოიღო და უთხრა:

— მე კი წლის მანძილზე მზეზე წარმოქმნილი ლაქები მაქვს აღრიცხული. ჩემი უბანი, მოგეხსენება, მზეა!

განცვიფრებულმა მეგობრებმა დაიწყეს თავიანთი გრაფიკების შედარება სხვადასხვა წლების მიხედვით და ყველგან საკვირველ მსგავსებას პოულობდნენ. ისინი დაინტერესდნენ ასეთი უცნაური დამთხვევებით და კონსულტაციისათვის სპეციალისტებს მიმართეს. სპეციალისტებმა ყველაფერი განმარტეს.

თურმე მზის ლაქები დედამიწაზე იწვევენ მაგნიტურ ქარიშხლებს. ადამიანი ამ ქარიშხლებს ვერ გრძნობს, ასტრონომიული ხელსაწყოები კი ზუსტად აღნიშნავენ მათ. ამ ქარიშხლების დროს ადამიანი მთვრალივით ხდება, უფრო სწორედ, ძილმორეულივით. ქვეითად მოსიარულეს ეს დიდ ზიანს ვერ მოუტანს, შოფერმა კი შეიძლება ავარია მოახდინოს — ასეთ დროს ის მოდუნებულია და ველარც ხელ-ფეხს იმორჩილებს ძველებურად.

ამის შემდეგ ასტრონომი უფრო დაკვირვებით აღრიცხავდა მზეზე ლაქებს, ინსპექტორი კი უმალ აფრთხილებდა შოფრებს — მაგნიტური ქარიშხალია მოსალოდნელიო. და იცით რა მოხდა? ავარიების რიცხვი ამ უბანზე მკვეთრად შემცირდა.

ეს ამბავი მოხდა დასავლეთ გერმანიაში; ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის დაკვირვებაც, რომლებიც იქაური სამედიცინო ინსტიტუტის მუშაკებს უწარმოებიათ.

—ჩვენ შევამჩნიეთ—ამბობენ ექიმები, — რომ თვითმკვლელობათა რიცხვი საგრძნობლად იზრდება მზის მაღალი აქტიურობის დღეებში.

აღმოჩნდა, რომ მზე დედამიწაზე წარმართავს არა მარტო სიცოცხლეს, არამედ სიკვდილსაც. ზემოხსენებული ინსტიტუტის მუშაკმა განაგრძო: „მოგეხსენებათ, ლექციების დროს გვამები გვჭირდება, მაგრამ არის დღეები, კითხულობ ლექციებს, ჩვენებით კი ვერაფერს უჩვენებ სტუდენტებს. მაგრამ თუ დილით ადექი და უკანასკნელი ცნობების მოსასმენად რადიომიმღები ჩართე, ხოლო იქ ტკაცა-ტკუცი გაისმა, დარწმუნებული იყავი, ორ გვამს მაინც მოიტანენ. მაგნიტური ქარიშხლების დროს იზრდება სიკვდილიანობა გულსისხლძარღვთა დაავადებებისაგან, ფილტვების ავადმყოფობისაგან და ა. შ.“.

ეს ცნობები აოგნებენ ადამიანს. მედიცინის მუშაკები მომაკვდინებელ დასკვნებს აკეთებენ. არ გინდა დაუჯერო მათ, მაგრამ ფაქტებს სად გაექცევი?! ამასწინათ, ამერიკელმა მკვლევარებმა იპოვეს უტყუარი ურთიერთკავშირი მზის აქტიურობის დინამიკასა და... ფსიქიატრულ საავადმყოფოებში დაკავებულ საწოლების რაოდენობას შორის.

ბიოლოგები მიუთითებენ, რომ მზის ამგვარი ციკლიურობა განაპირობებს მარცვლეულის მოსავალს, თევზის ჭერას, კალიების მომრავლებას და ა. შ. მედიცინის მუშაკები, არქივების გადასინჯვის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მზის ციკლიურობა ასეთსავე გავლენას ახდენს შავი ჭირის, ხოლერის, ყვავილის ეპიდემიების გაჩენაზე. ასევე დამოკიდებულია მზისაგან ეპილეფსიური შეტევების რაოდენობაც.

ერთი სიტყვით, მზე ჩვენს ცხოვრებაში ერევა არა მარტო წელიწადის დროთა შეცვლის გზით. მისი კავშირი ბიოსფეროსთან ბევრად უფრო ფართოა და, რაც მთავარია, ყოველთვის არ შეიმჩნევა. საკითხი, თუ სახელდობრ როგორ გავლენას ახდენს მაგნიტური ველი ბიოსფეროზე, ექსპერიმენტულად უნდა გადაწყდეს.



## მწვანე ზეთი და ლურჯი სიცივე

ოთახში, რომელსაც ნარინჯისფერი კედლები აქვს და თერმომეტრი თხუთმეტ გრადუს სითბოს უჩვენებს, ადამიანი თავს კარგად გრძნობს. მაგრამ თუ კედლები ლურჯია, ოთახში კაცი დიდხანს მშვიდად ვერ გაძლებს, მას მალე შესცივდება.

ბრიტანეთის ენციკლოპედიის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც ექსპერიმენტულ მასალებზეა აგებული, ადასტურებენ, რომ მწვანე ზეთი, რომელიც ფერის გარდა არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი ზეთისაგან, ადამიანს უგემური ეჩვენება.

ცივი და თბილი ტვირთი ადამიანს იმ ტვირთზე უფრო მძიმე ჰგონია, რომლის ტემპერატურა თითქმის არ იგრძნობა. ხოლო ტვირთი, რომლის აწევის დროს ადამიანს მუსიკა ან წაგრძელებული, ავაჯით წარმოთქმული ბგერა ჩაესმის, უფრო მსუბუქია იმავე მოცულობის ტვირთზე, რომელსაც სიჩუმეში იღებენ (აი, საიდან წარმოიქმნა რუსული სიმღერა „დუბინუშკა“. მას ხომ ბურლაკები მძიმე ტვირთის ზიდვის დროს მღეროდნენ).

თუ ხელს სუსტი ელექტროდენით გავაღიზიანებთ — ე. ი. ზემოქმედებას მოვახდენთ შეხების გრძნობაზე, ადამიანს სმენა გაუუმჯობესდება, უკეთ რომ ვთქვათ, იგი ჩვეულებრივზე დაბალ ბგერებს გაიგონებს. კაშკაშა სინათლეზე ადამიანს საჭმელი უფრო გემრიელი ეჩვენება. დეგუსტატორებს, რომელთაც გემო უკიდურესად განვითარებული აქვთ, ურჩევნიათ თვალდახუჭულებმა გასინჯონ საჭმელი, რათა გარეშე შეგრძნებებმა საჭმლის გემოს გაგებაში ხელი არ შეუშალონ.

# ფეხბურთელები კავშირის ნაკრებიდან

გურამ ფანჯიკიძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილიელთა მწვრთნელი ფეოლა, მხატვარი გ. ფირცხალავა და ჟურნალისტი გ. ფანჯიკიძე.

პელე პირველად ვარჯიშზე ვნახე. მისთვის კარგი საჩუქარი მქონდა წაღებული და მოუთმენლად ველოდი ამ შესანიშნავ ფეხბურთელთან შეხვედრას. როგორც მკითხველებს ახსოვთ, ამ ორიოდე წლის წინ ჟურნალ „დროშის" ფურცლებზე გამოქვეყნდა პელეს ავტობიოგრაფიული ჩანაწერები — „მე, პელე". შემდეგ ეს მოგონებანი გამომცემლობა „ნაკადულმა" ცალკე წიგნად გამოსცა. მე წაღებული მქონდა როგორც წიგნები, ასევე „დროშას" რამდენიმე ნომერი, სადაც პელეს ჩანაწერები მდიდრულად იყო დასურათებული.

მოედანზე პირველად ბრაზილიელთა სახელგანთქმული მწვრთნელი ფეოლა გამოვიდა. მან მოედანი დაათვალიერა, სახეზე კმაყოფილება გამოეხატა. შემდეგ, კანტი-კუნტად ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ. ყველაზე დიდი გამოცოცხლება გარინჩას გამოჩენამ გამოიწვია. პელე ყველაზე გვიან გამოვიდა. ორასამდე ფოტორეპორტიორი მას ირგვლივ შემოეხვია, ისეთი ზედახორა იყო, ხალხს შეეშინდა — პელეს მოახრჩობენო. მასთან მისვლაზე და დალაპარაკებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

პელესთან საუბარი ვარჯიშის დამთავრებამდე გადავდე და ფეოლას გვერდით მივუჯექი. იგი განცალკევებით იჯდა და წვრთნაში არ ერეოდა, მხოლოდ ფეხბურთელების თამაშს აკვირდებოდა.

— თქვენ თვითონ ტექნიკურად არასდროს არ ავარჯიშებთ გუნდს? — ვკითხე მე.

— ტექნიკურად ჩვენს ბიჭებს მწვრთნელი არასდროს არ ავარჯიშებს. თუ ისინი კარგად არ ფლობენ ტექნიკის ილეთებს, არა აქვთ კარგი გადაცემა და დარტყმის დროს ვერ ხმარობენ ორივე ფეხს, მათ არ შეუძლიათ იოცნებონ არამც თუ ნაკრებში ჩარიცხვაზე, ძლიერ გუნდებში მოხვედრაზეც-კი. გარდა ამისა, მე გვერდით მყავს რამდენიმე მწვრთნელი, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ გუნდის ვარჯიშს.

— თქვენ მოსკოვში ოცდაორი ფეხბურთელი ჩამოიყვანეთ, რამდენიმე უძლიერესი ფეხბურთელი ბრაზილიაში დატოვეთ; გარდა ამისა, იტალიის საკლუბო გუნდებში გამოდიან ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ამირალდო, ჟაირი, ალტაფინი, ამ ფეხბურთელებს შორის ლონდონის ჩემპიონატში ვის მიანდობთ ნაკრების ბედს?

— როცა მწვრთნელს ძალიან დიდი არჩევანი აქვს, მგონი უფრო დიდ გასაჭირშია, ვიდრე მაშინ, როცა არავინ ჰყავს ასარჩევი. ფეხბურთის გუნდი ორკესტრსა ჰგავს, სადაც ყველა ინსტრუმენტს თავისი პარტია აქვს, თუმცა ყველა ერთ მელოდიას კი ასრულებს.

მთავარია ფეხბურთელები ისე შეარჩიო, რომ ისინი უსიტყვოთ უგებდნენ ერთმანეთს ტაქტიკური აზროვნების დროს და ავსებდნენ ერთმანეთს ტექნიკური ბრძოლის პროცესში.

მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია მშვიდად იყოს; იგი აუცილებლად ითამაშებს ლონდონში. ეს კაცი პელეა; პელე არა მარტო ბრწყინვალე სოლისტია, იგი დიდებული პარტნიორიცაა, რაც მაინცდამაინც არ ახასიათებთ სამხრეთ-ამერიკელ ფეხბურთელებს.

— თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რა ტაქტიკური სიახლენი გექნებათ ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში?

—ტაქტიკურ სიახლეზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გუნდის შემადგენლობა გაირკვევა. აი, სწორედ აქ გამოჩნდება ხოლმე მწვრთნელის ოსტატობა.

ყველა ფეხბურთელის თვისებებს გათვალისწინება სჭირდება და საბრძოლო გეგმაც ამის მიხედვით შემუშავდება. თუმცა, ძირითადად, ალბათ, არ ვუღალატებთ მოთამაშეთ ასეთ განლაგებას 1-4-2-4, რომლებიც მსოფლიოში ბრაზილიური სისტემის სახელით მონათლეს.

ფეოლას სიტყვებში რაღაც გვენიშნა, როცა ფეხბურთელები ფუნქციების მიხედვით სულ სხვანაირად მოიხსენია. ჩვენ და მთელი საფეხბურთო მსოფლიო მიჩვეულია ასეთ გამოთქმებს — მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი. ფეოლამ კი თავისი მოთამაშეები ასე მონათლა: დასაყრდენი ნახევარმცველი, მეოთხედდამცველი, ნახევართავდამსხმელი, ბომბარდირი; ეს რაიმე ახალი ტაქტიკური სქემის მიხედვით შემოღებული „თანამდებობებია", თუ მოთამაშეთა ინდივიდუალური თვისებებია გათვალისწინებული?

ამაზე საკუთარ თავს პასუხი მატჩის დროს გავეცი, როცა დასაყრდენი ნახევარმცველის დუდუს და ნახევართავდამსხმელის გერსონის თამაშს ვაკვირდებოდი. ეს ახალი „თანამდებობები" ნამდვილად ფეხბურთელთა ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინების საფუძველზე იყო შემოღებული.

ბრაზილიელთა თამაშს ადრე მხოლოდ რამდენიმე კინოფილმით და პრესით ვიცნობდი. რა ტაქტიკური სიახლენი შეიმჩნეოდა მათ თამაშში? პირველ რიგში, ყურადღება მიიქცია ფლანგების განსხვავებულმა ტაქტიკურმა მანევრმა. შვეციასა და ჩილში ბრაზილიელები ფლანგებიდან უტევდნენ, მოსკოვში კი გარემარბები ცდილობდნენ შეტევის ფრონტი რაც შეიძლება ფართოდ გაეშალათ. ამ დროს პელე და ფლავიო ცენტრიდან შედიოდნენ.

როგორც კი მოედანზე გარინჩა გამოვიდა, გარემარბის სამოქმედო ტაქტიკაც შეიცვალა. იგი ორჯერ გავიდა ფრთიდან (ბურთი სულ სამჯერ მიიღო) და ძველებურად ბურთი კარს გასწვრივ ჩასჭრა. აქედან კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნის გამოტანა შეიძლება: ფეოლა გუნდის საბრძოლო გეგმის შედგენის დროს ფეხბურთელების მოქმედებას საკუთარ ფორმულას კი არ უმორჩილებს, არამედ ფორმულას იმ ფეხბურთელების ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით ადგენს, რომლებსაც კონკრეტულ მატჩში ანდობს ნაკრების ბედს. ეს კი, იმავე მატჩში, სამწუხაროდ, ნაკლებად აჩნდა საბჭოთა ფეხბურთელების მოქმედებას.

— კიდევ ერთი კითხვა. თქვენი შვედური ნაკრები უფრო ძლიერი იყო 1958 წელს, თუ თქვენი დღევანდელი გუნდი?

— ბრწყინვალე ფეხბურთელები იყვნენ ნილტონ სანტოსი, ზიტო, ვავა და ზაგალო. მაგრამ შეიძლება მათი შემცვლელების პოვნა, რაც შეეხება დიდის — მე მისი შემცვლელი არსად არ მეგულება.

ბრაზილიელთა ვარჯიშმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მძლეოსნური ვარჯიშების შემდეგ, რომელსაც საოცრად რიტმულად და ლამაზად ასრულებდნენ. ისინი პირდაპირ ორმხრივ თამაშზე გადავიდნენ. თამაშობდნენ ორ შეხებაზე (ფეხბურთელს უფლება აქვს ერთ ჯერზე ბურთს მხოლოდ ორჯერ შეეხოს). თამაშის ასეთ მეთოდს ბრაზილიელები „ლოისტოკეს" ეძახიან. ვარჯიში ისე ლამაზად, ისე დაძაბულად მიდიოდა, ბევრმა უკანასკნელ წუთამდეც კი ვერ გაიგო, რომ თამაში მხოლოდ ორ შეხებაზე იყო. ბრაზილიელებისათვის ერთი შეხებაც კი საკმარისი იყო, რომ ბურთი სავსებით დაემორჩილებინათ, ხოლო მეორე შეხებაზე კი ასრულებდნენ ზუსტ და ძალზე მახვილგონივრულ გადაცემებს — ჰაერში მფრინავ ბურთზე ცრუ მოძრაობას ისე საოცრად აკეთებდნენ, რომ ბურთს არც კი ეკარებოდნენ, მოწინააღმდეგესაც ატყუებდნენ და ორი შეხების უფლებასაც იტოვებდნენ.

ვარჯიშის შემდეგ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მომავალ მატჩში გამარჯვება ბრაზილიელებს დარჩებოდათ.

როცა ვარჯიში დამთავრდა, მე უცერემონიოდ მოედანზე გავიჭერი და პელესთან მივედი. პელემ დიდი ყურადღებით დახედა „დროშის" ნომრებს, მაგრამ ხეირიანად ვერც კი მოასწრო საქმის ვითარება გაეგო, რომ მოედანზე ისევ გამოჩნდა ფოტორეპორტიორების ლაშქარი. პელემ ჟურნალები ხელში მომაჩეჩა და თავს გაქცევით უშველა.

პელესთან დაწყნარებული საუბრის საშუალება მხოლოდ მატჩის შემდეგ შევძელი სასტუმრო „ლენინგრადსკაიაში".

იგი ჟურნალებმა და წიგნებმა ძალიან გაახარა.

— ეს მართლაც რომ შესანიშნავი საჩუქრია, — თქვა მან.

პელეს ერთადერთი კითხვა მივეცი:

— იყო თუ არა ეს პირადად თქვენი და თქვენი გუნდის საუკეთესო თამაში?

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, — გაიცინა პელემ, — მაგრამ ეს თამაში არ შეიძლება ყოფილიყო ჩვენი საუკეთესო მატჩი; მართალია, ტროპიკებში ვცხოვრობთ, მაგრამ ახლა ბრაზილიაში შუაგული ზამთარია, იქიდან გავემგზავრეთ ალჟირში, მერე პორტუგალიაში, შვეციაში და ბოლოს მოსკოვში. ჰავის ასეთი კონსტრასტული ცვლილებანი, რომ აღარაფერი ვთქვათ მომქანცველ მოგზაურობაზე, ბიჭებზე ძალიან მოქმედებს. მართალია, ყველგან გულღიად გვხვდებიან, მაგრამ ისე მაინც ვერ ვვარჯიშობთ, როგორც შინ. მე ბრაზილიაში ყოველდღიურად 6-8 საათს ვვარჯიშობ. ამ მოგზაურობისას კი დღეში მხოლოდ ორ საათს ვახერხებდით წვრთნას, ძილი მიყვარს, სიმსუქნისკენ მიდრეკილებაც მაქვს და ფეხბურთელისათვის შეუფერებლად მოვიმატე, ახლა მე ხუთი კილოგრამი მაქვს დასაკლები. მოდით, თქვენ დაასკვენით, იყო თუ არა ეს ჩვენი ყველაზე კარგი თამაში!

იუმორი

# „სე ან ფრანსე“



კაცმა რომ თქვას, არა მიშავს-რა, ვარ ჩაცმულ-დახურული, როგორც ღლევანდელ ინჟინერს შეეფერება.

შარშანწინ, როცა პალტო დამიძველდა, მუქი რუხი ფერის რატინის პალტო შევიძინე.

ჩემმა მეუღლემაც მაშინვე მოინდომა რატინის პალტო.

ერთ კვირას გავუძალიანდი, ვუხსნიდი, ვემუდარებოდი:

— ქალო, შარშან ხომ შეიკერე ლურჯი დრაფის პალტო. ჯერ ეგ გაცვითე, ერთი ორიოდე წელს კიდევ გაგიძლებს-მეთქი!

თქვენც არ მომიკვდეთ, შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი: — შარშან კიდევ იყო მოდაში ასეთი პალტოები, ახლა ვინღა ატარებს ასე შეკერილს და ლურჯი ფერისას, სირცხვილით ქუჩაში ველარ გამივლიაო. შენთვის სწრაფად იშოვე რუხი რატინი! ამის მერე კიდევ იტყვი სინდისი მაქვსო?

— ქალო, სინდისი კი მაქვს, მაგრამ ფული, ფული სად ვიშოვო? სინდისი და ფული ერთად ვერ თავსდებიანო, ხომ გაგიგონია...

— რას მიედ-მოედები! მაშ, ვისაც რატინის პალტოები აცვიათ, უსინდისოები არიან?

გამიშრო სისხლი, ამომწოვა ტვინი, ცოტა მე მქონდა ფული, ცოტაოდენი ვისესხე და ვუყიდე რატინის პალტო.

არ გასულა ერთი წელი და ისევ დადგა ჩემი განკითხვის დღე. „სირცხვილით სად გამოვყო თავი, — აწუწუნდა ცოლი, — ვილას აცვია რუხი რატინი, ახლა მწვანე და მრავალფერადი „ბუკლეა“ მოდაში, უცხოურად შეკერილიო.

ავლელდი და შევყვირე: — რამ გადაგრია, ქალო! ჯერ ეგ ორი პალტო გაცვითე, რომელიც გაქვს, ერთი ოთხიოდე წელი მაინც მოიცადე და შემდეგ ვილაპარაკოთ!

ამის თქმა და მეხის გავარდნა ერთი იყო.

— რაო, ოთხი წელიო?! შე მათხოვარო, შე ინჟინრების გლახავ, შე... შე... ნაპოეტარო!

ვაწყნარე და ვერ დავაწყნარე, მოკლედ, ოჯახი მენგრეოდა, მაგრამ ისევ გადავრჩი. ანაზდად ერთი ბედნიერი აზრი დამებადა თავში—ცოლი დავაიმედე: კარგია, რაკი-ღა ასეა, გიშოვნი-მეთქი.

მაშინვე გავეშურე პირველი მაისის რაიონში, საგაზაფხულო-საზაფხულო ვაჭრობის პავილიონებისაკენ, იქ, სადაც ახლა გადაფასებულ-ჩამოფასებულ სამრეწველო საქონელს ყიდიან; ერთ პავილიონში დავინახე, მაგრამ რა დავინახე — პალტო მწვანე, ხასხასა, ტარხუნისფერი, სისხლივით წითელი ლაქებით დაჩითულ-დაჩიტული, მოკლედ, ისეთი ბდღვიალა, რომ ყველაზე წყნარ კამეჩსაც კი გააგიჟებდა.

ახლო მივედი, ეტიკეტს დავხედე, უწინ — 90 მან., შემდეგ — 60 მან., ახლა — 30 მანეთი ღირს, ზომა — 56. ზედგამოჭრილია!

„თბილისის სამკერვალო ფაბრიკა“... ელდა მეცა. თბილისის ფაბრიკის შეკერილს არ ჩაიცვამს, ვიცი, ჩემი ჩიტუნიას ხასიათი.

გავქანდი პლეხანოვის პროსპექტზე, მზატანსაცმლის მაღაზიაში, ნაცნობ სექციონერთან. ღმერთს არ შეეხვეწებიან ისე, როგორც მას შევეხვეწე: — გრიშაჯან, ასე და ასეა ჩემი საქმე, მიშველე რამე, იმპორტული ტანსაცმელის იარლიყი მომეცი.

— ვა! ავაძრო და შენ მოგცე?! მერე მე რა ვქნა? ხათაბალის თავი მაქვს, მერე რა დავაკრა? აქაური საქონლის იარლიყი და ეტიკეტი თუნდაც წონით წაიღე. უცხოურს ვერ მოგცემ... ჩიმ ტა!

—ბიჭო, აწყობილი საქმე მეშლება ერთი იმპორტული ბრჭყვიალა ეტიკეტის გულისთვის... მოდის სამი ბოთლი თავისი ვახშმით, ოღონდ მიშოვე! — ველრიჯები გრიშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, ბიჭო? —რა, ძმაო, მე ექვსი დავდგამ, ოღონდ თავს დამანებე!—

ამ ლაპარაკში გალანტერიის გამყიდველი თინა შემოგვესწრო.

— მოიცა, რა იარლიყი გინდა?

უცხოური-მეთქი, ვუპასუხე.

— მოდი, მე გაჩვენებ, თუ გამოგადგება, წაიღე. ალბათ გინდა გაყიდვო რამე...

ფრანგული წინდების მუყაოს კოლოფებზე ხელისგულის ოდენა მოვერცხლილ-მოოქროვილი იარლიყები დამანახვა. ზედ რაღაც ფრთიანი ვეფხვი ეხატა წარწერით: „სე ან ფრანსე, მარსელი“. გავკეთდი კაცი, ეს არის, რაც მინდოდა.

თინამ დიდი ხათრით ორი იარლიყი ამიძრო და მომცა. ჩავიხუტე უბეში და გავქანდი გადაფასებულ-ჩამოფასებული პავილიონისაკენ.

ვიყიდე ის ავსტრალიის თუთიყუშის ფერი პალტო 30 მანეთად და პირდაპირ ჩვენს საკონსტრუქტორო ბიუროში მივიტანე, წითელი ტუშით ჩვენს მხატვარს ვიქტორს ჩავაჭიკჭიკებინე ზეჭდურად ფასი — 136 მან. ერთი იარლიყი შიგნიდან პალტოს სარჩულზე დავაწებე, მეორეს ძაფი გავუყარე და გარედან ღილზე ჩამოვკიდე, ორ ფურცელ სახაზავ ქაღალდში გავახვიე და ზონრით შევკარი. დღის ბოლოს გაბრწყინებული სახით ციმციმ მივართვი ჩემს მეუღლეს სახლში.

— აბა გამოიცანი, რა მოგიტანე? ძლივს ვიშოვე, ბაზაში მხოლოდ ხუთი ცალი მიიღეს. უკანა კარიდან გამომატანეს: „არავინ დაგინახოს, რომ ფრანგული პალტო მიგაქვს, თორემ შენც დაგიჭერენ და ჩვენცაო“. აი ასე წვალებით ვიშოვე ეს პალტო, ჩემო ფისუნი! — თან ზონარი გავხსენი. მოჰკრა თუ არა იარლიყს თვალი, ჯერ გარეთ და მერე შიგნით, ფრთიანი ვეფხვით და წარწერით „სე ან ფრანსე“, მაშინვე გაიბადრა, გადამეხვია და ატიტინდა:

— დედა, დედა, რას ვხედავ, რას!— ატრიალებდა ხელში პალტოს, — პალტო კი არა, მუსიკაა... რა ფერთა შეხამებანი, რა ნაქსოვი! როდის ისწავლიან ჩვენი უშნოები ასეთ რამეს. ეჰ, ვერც როდის!

„სილ ვუ პლე, მადამ!“ — ვიმეორებდი ჩემთვის გუნებაში.

**მიხა შილდელი**

## ცნობისმოყვარის კუთხე

1. დაასახელეთ გვარი მეცნიერისა, რომელიც 16 წლის ასაკში აკადემიკოსად აირჩიეს, იმავე წელს უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩარიცხეს სტუდენტად, ხოლო 18 წლის რომ გახდა, პროფესორად მიიწვიეს ისტორიიის კათედრაზე.

2. დაასახელეთ გვარი გამოჩენილი ფიზიკოსისა, რომელიც განათლებით იურისტი იყო. რით ისახელა მან თავი ფიზიკაში?

3. ეს ფიზიკოსი, იმავე დროს, ქალაქის თავი იყო. რომელი ქალაქია ეს და რატომ იხსენება მისი სახელი ესოდენ ხშირად დავით გურამიშვილის ბიოგრაფიაში.

4. დაასახელეთ გვარი ფილოსოფოსისა, რომელიც პროფესიით მეჩექმე იყო.

5. დაასახელეთ გვარი გამოჩენილი ხელოვანისა, რომელიც დამარხეს გარდაცვალებიდან 56 წლის შემდეგ.

გარეკანის პირველ გვერდზე: ლიანა ისაკაძე. ფოტო ო. თურქიასი და ე. პეხოვისა.

მეოთხე გვერდზე: ვაშლის ბაღში. ფოტო ფ. ფერეხვარისა (უნგრეთი).

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IX-65 წ. გამომც. № 98, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 2844, უე 03385

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმის შემდეგ

ფოტო ს. მამასახლისისა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა